"რემბომ" პროკურატურას მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა A2
გამჭვირვალე ბიუჯეტი სკოლებში A8
მეცნიერება და ტექნიკა B6

24 საათი
www.24hours.ge
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 6 მაისი, 2004 წელი. №106 (655) ფასი 50 თეთრი

# ასლანი გაიქცა

ასლან აბაშიძე გადადგა. ინფორმაცია აჭარის აწ უკვე ყოფილი მეთაურის კარიერის ლოგიკური დასასრულის თაობაზე ღამის ორ საათზე გავრცელდა. რამდენიმე წუთში ეს ინფორმაცია, ჟურნალისტების წინაშე, აბაშიძის გარემოცვის წევრმა, ქობულეთის ყოფილმა გამგებელმა ტარიელ ხალვაშმა დაადასტურა.

იმის მიუხედავად, რომ მთელი დღის მანძილზე აბაშიძის გადადგომას ყველა ელოდა, თავად აჭარის ყოფილმა ლომმა გადაწყვეტილება რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანთან იგორ ივანოვთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ მიიღო. ივანოვის ჩამოსვლამდე აბაშიძე ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავს იკავებდა - როგორც ჩანს, უკანასკნელ წუთამდე რუსეთის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, თუმცა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა მშვიდი ტონი იმაზე მიანიშნებდა, რომ მათ წინასწარ იცოდნენ, თუ როგორ წარიმართებოდა აბაშიძისა და ივანოვის დიალოგი, რომლის ფინალურ ნაწილს უკვე პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიაც დაესწრო.

იმის მიუხედავად, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო, აჭარის უმაღლესი საბჭოს წინ შეკრებილი ორმოცდაათიოდე მხარდაჭერის წინაშე ასლან აბაშიძე მხოლოდ ორიოდე წუთით წარდგა და მათ დაშლისაკენ მოუწოდა. ამასთან, მას გადადგომის თაობაზე განცხადება არ გაუკეთებია. იგი, ფაქტობრივად, გაიპარა ბათუმიდან. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ასლან აბაშიძე იგორ ივანოვთან ერთად მოსკოვში გაფრინდა.

გადადგომის თაობაზე ოფიციალური განცხადება აბაშიძეს არც ბათუმის დატოვების შემდეგ გაუკეთებია. მის მაგივრად ეს ინფორმაცია, საბოლოოდ, უკვე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე დაადასტურა.

თავად ბათუმში, მთელი ღამის განმავლობაში, მოსახლეობა ქუჩაში იყო გამოსული და გათავისუფლებას ზეიმობდა. აბაშიძის მცირერიცხოვანი მხარდამჭერები კი ჩუმად დაიშალნენ.

*24 საათი*

# საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური განცხადება

ქართველებო! ასლანი გაიქცა! აჭარა თავისუფალია! - გილოცავთ ახალი ეპოქის დასაწყისს!

რასაც ვამბობდით, რომ საქართველო უნდა გამთლიანდეს, საქართველო უნდა დადგეს ფეხზე, - დღეს ამისკენ მთავარი და ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

მინდა მივულოცო ყველას, ვინც დღეს ბათუმის ქუჩებში დგას, ვინც ბოლო თვეების განმავლობაში ჩვენთან ერთად მუშაობდა იმაზე, რომ აჭარა განთავისუფლებულიყო და დაბრუნებოდა საქართველოს.

მინდა მივულოცო ყველას, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში სეპარატიზმის აღკვეთის პირველი წარმატებული პრეცედენტი სწორედ საქართველოში დაფიქსირდა. ეს მთელი მსოფლიოსთვის არის მნიშვნელოვანი. ვერავინ შეაჩერა ქართველი ხალხის ნება ახლა და ვერავინ შეაჩერებს ჩვენ ნებას, გამარჯვებისკენ ლტოლვას მომავალში.

ეს არის ნათელი მაგალითი არა მხოლოდ დღევანდელი თაობებისთვის, არამედ საქართველოს ისტორიისთვის, საქართველოს მომავლისთვის. ჩვენ გვეხსნება აღმშენებლობის უზარმაზარი პერსპექტივა.

საქართველო უნდა დადგეს ფეხზე. დღეს დაიწყო ახალი ეპოქა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

მინდა მივულოცო ყველას და ვთხოვო ბათუმში ჩვენს წარმომადგენლებს, დაცვის ქვეშ აიყვანონ ყველა სტრატეგიული ობიექტი, დავამყაროთ ქალაქში წესრიგი, დავამყაროთ სიმშვიდე, არ დავუშვათ დარბევები, არ დავუშვათ იარაღიანი ხალხის თარეში არსად, - აჭარაში და მთელ საქართველოში.

ჩვენ ახლა გვჭირდება სიმშვიდე, სიწყნარე და ახალი ცხოვრების დაწყება. უკვე თენდება ახალი დღე - გიორგობის დღესასწაული და საქართველო არის გამარჯვებული. დიდი მადლობა.

# მთელი მსოფლიო აღტაცებით უყურებს აჭარლების გმირობას!




*ასლან წადი! - ეს იყო მთავარი სიტყვები, რომელიც გუშინ ბათუმში ისმოდა.*

## აჭარასთან დაკავშირებული მოვლენების ქრონიკა

■ გუშინ დილით აჭარის ტელევიზიის ქართული საინფორმაციო რედაქციის თანამშრომლებმა სამსახური დემონსტრაციულად დატოვეს. მიუხედავად ამისა, აჭარის ტელევიზიის მაუწყებლობა მაინც გაგრძელდა, ძირითადად, რუსული საინფორმაციო რედაქციის ხარჯზე. აჭარის ტელევიზიის თანამშრომლების მიერ სამთავრობო მედიის მიტოვებას და ხალხის მხარეზე გადასვლას წინ უძღოდა გუშინწინ, ღამის 04.00 საათზე, აჭარის რადიოს მაუწყებლობის შეწყვეტა.

■ გუშინ დილით ხულოს რაიონის გამგეობაში მხოლოდ გამგებელი შოთა აბაშიძე გამოცხადდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ხულოს გამგეობის მთელი შემადგენლობა გადადგა. ისინი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ მიმდინარე აქციას შეუერთდნენ.

■ აჭარის ტელევიზიის შეფი იური კრივარუკი თანამდებობიდან გადააყენეს და მის ადგილზე უშიშროების სამინისტროს იზოლატორიდან გათავისუფლებული, აჭარის ტელევიზიის ყოფილი უფროსი პაატა კაკაურიძე დანიშნეს.

■ აჭარის პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ვაჟა ვერულიძე თანამდებობიდან გადადგა და ოპოზიციის მიტინგს შეუერთდა. პოსტი დატოვა აჭარის განათლების მინისტრმა ანზორ შაქარიშვილმაც. "პედაგოგების დარბევის შემდეგ, არ მქონდა მორალური უფლება, ამ თანამდებობაზე მშვიდად მემუშავა," - აღნიშნა მან და 300 თანამშრომელთან ერთად მიტინგს შეუერთდა.

■ საზოგადოებრივი ორგანიზაცია "სამოქალაქო საზოგადოების დარბაზი" აჭარის პრობლემებთან დაკავშირებით მშვიდობიანი პროტესტით გამოსული ხალხის პოზიციას სრულად იზიარებს. ორგანიზაციის გამგეობა აჭარის ტერიტორიაზე მშვიდობიანი პროტესტით გამოსულ ხალხს სრულ მხარდაჭერას უცხადებს და თვლის, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხელისუფლება ვალდებულია, ხალხის აზრი გაიზიაროს. ორგანიზაციის ერთი წევრის, იურისტ დავით უსუფაშვილის თქმით, ასლან აბაშიძე და მისი მთავრობა უნდა მიხვდეს, რომ საკითხი გადაწყვეტილია და ხალხს ეს ხელისუფლება არ სურს.

■ ორგანიზაცია "ჩვენი აჭარას" ლიდერები - ედვარდ სურმანიძე, კობა ხაბაზი, ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოლაიდელი და მათი მომხრეები გუშინ, დაახლოებით 11.30 საათზე ჩოლოქის ხიდთან მივიდნენ, რომელიც კვირას ააფეთქეს. დედაქალაქიდან ჩასულ ოპოზიციური ძალების წარმომადგენლებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურ ასლან აბაშიძის დაქვემდებარებაში მყოფი სპეცრაზმელები მდინარე ჩოლოქთან ჰაერში გამაფრთხილებელი სროლით დახვდნენ.

■ გადადგა აჭარის სოცუზრუნველყოფის მინისტრი გულიკო შერვაშიძე, უნივერსიტეტის წინ მიმდინარე მიტინგს კი 800-მდე ექიმი შეუერთდა. მიტინგზე მივიდნენ აჭარის სახელმწიფო კაპელის წარმომადგენლებიც, რომელიც ასლან აბაშიძემ უშუალო პატრონაჟით ჩამოაყალიბა. სახანძრო მანქანებზე კი, საიდანაც გუშინწინ ჭავლით ხალხს არბევდნენ, გუშინ უკვე სახელმწიფო დროშები ფრიალებდა. მეხანძრეები პოლიციელებს მომიტინგეების დასაცავად კორდონის გაკეთებაში ეხმარებოდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## შევარდნაძის რჩევა გიორგობის წინა ღამეს

ვერიკო თევზაძე

ბათუმის ქუჩებში მიმდინარე საპროტესტო აქციების პარალელურად, გუშინ კანცელარიაშიც დიდი ვნებათაღელვა იყო. ყოველ საათს აქტიური შეხვედრები იმართებოდა პრეზიდენტ სააკაშვილთან. ამასთან ერთოდა სააკაშვილის სატელეფონო საუბრები პრეზიდენტ პუტინთან და თეთრი სახლის ადმინისტრაციასთან. პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ თითქმის მთელი დღე კანცელარიაში გაატარა. პრეზიდენტის საგანგებო განცხადების გაკეთებამდეც და შემდგომ პერიოდშიც, პარლამენტის თავმჯდომარე და პრეზიდენტის პრესსამსახური, მიხეილ სააკაშვილის სახელით, პრესას პერიოდულად აწვდიდნენ ინფორმაციას.

დილიდანვე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა მასმედიას აუწყა, რომ საქართველო "ყველა სცენარისათვის მზად არის". პრეზიდენტიც და პარლამენტის თავმჯდომარეც მთელი დღის განმავლობაში ხაზგასმით აღნიშნავდნენ - საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ დაპირისპირება ცენტრსა და ასლან აბაშიძის ხელისუფლებას შორის მშვიდობიანად დასრულდესო.

ჯერ კიდევ შუადღისას უშიშროების საბჭოს მდივანმა ვანო მერაბიშვილმა აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასლან აბაშიძის გარემოცვას, მისცა შანსი არჩევანის გასაკეთებლად, ჯანსაღი გადაწყვეტილების მისაღებად.

ნინო ბურჯანაძე ტელეფონით რამდენჯერმე ესაუბრა ასლან აბაშიძეს და ურჩია, რომ გადადგომა არის ყველაზე გონივრული ნაბიჯი როგორც ავტონომიის ლიდერის, ასევე მთელი ქვეყნისთვის. ბურჯანაძე ბოლომდე იტოვებდა იმედს, რომ აბაშიძე ამ ნაბიჯს, ადრე თუ გვიან, გადადგამდა.

სააკაშვილის საუბრებს პუტინთან და თეთრ სახლთან მოჰყვა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის იგორ ივანოვის ვიზიტი საქართველოში. წინასწარ გავრცელებული ინფორმაცია არ გამართლდა და ივანოვი, თბილისის ნაცვლად, ბათუმში ჩაფრინდა.

ივანოვის აჭარაში ჩასვლამდე, ასლან აბაშიძემ აჭარის ტელევიზიით საკმაოდ რიხიანი ხმით განაცხადა, რომ იგი გადადგომას არ აპირებს. ნინო ბურჯანაძემ აჭარის მეთაურის ამგვარი გამოსვლა ივანოვის მოლოდინში დროის გაყვანის მცდელობად შეაფასა და კიდევ ერთხელ გამოთქვა იმედი, რომ ასლან აბაშიძე თავისი ნებით გადადგება.

გუშინდელი მოვლენების ფონზე საკმაოდ საინტერესო იყო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სატელევიზიო გამოსვლა. შევარდნაძემ განაცხადა, რომ არანაირი თანამდებობა არ ღირს სერიოზულ დაპირისპირებად, რომელსაც შეიძლება სავალალო შედეგები მოჰყვეს. თუ არა შევარდნაძეს, მართლაცდა, სხვასვის უნდა ერჩია გიორგობის წინა ღამეს ასლან აბაშიძისთვის, რომ ბოლო წუთებში მაინც მიეღო გონივრული გადაწყვეტილება და გადამდგარიყო.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 ფოსტა | A7 სამართალი | A8 საზოგადოება
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება და ტექნიკა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## "აჭარის მოსახლეობა ნამდვილ გმირობას იჩენს"



*ბათუმის მხარდამჭერი აქცია თბილისში.*

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, "კმარას" აქტივისტები, ჩვეულებრივი მოქალაქეები, გუშინ, საღამოს ცხრა საათზე, თბილისის მერიის შენობასთან მივიდნენ და საპროტესტო აქციით მხარი დაუჭირეს აჭარის მოსახლეობას.

მერიის წინ გუშინ ასობით სანთელი დაინთო. **"ჩვენ ღმერთს ვთხოვთ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდეს,"** - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ხელმძღვანელი თინა ხიდაშელი მერიასთან თავის შვილთან ერთად მივიდა. **"ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ აჭარის მოსახლეობამ თავი მარტო არ იგრძნოს,"** - განაცხადა მან.

**"აჭარის მოსახლეობა ნამდვილ გმირობას იჩენს",** - აღნიშნავდნენ გუშინდელ აქციაზე. **"ნოემბერში ჩვენ გაცილებით ნაკლები საფრთხე გვემუქრებოდა, ვიდრე დღეს აჭარის მოსახლეობას,"** - ამბობს "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი სოზარ სუბელიანი.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, აქცია თბილისში იმიტომ ჩატარდა, რომ აჭარაში ჩასვლით სიტუაცია არ დაიძაბოს და რამე პროვოკაცია არ მოხდეს.

*24 საათი*

## "ასლან აბაშიძე უნდა გადადგეს"



*აბაშიძის მიმართ გადადგომის მოწოდება ომბუდსმენის ოფისიდანაც გაისმა.*

აჭარაში მიმდინარე მოვლენებს არასამთავრობო სექტორიც ეხმაურება.

**"ასლან აბაშიძე დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს... უნდა დაინიშნოს აჭარის სახელისუფლებო ორგანოების რიგგარეშე არჩევნები..."** - აღნიშნულია განცხადებაში, რომელიც ორგანიზაციამ "სამოქალაქო საბჭო ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის" გუშინ მიიღო. განცხადებას ხელი მოაწერეს პეტრე მამრაძემ, გიორგი ხუციშვილმა, გიორგი ნიჟარაძემ, მამა ზაზა თევზაძემ, პასტორმა ზაალ ტყეშელაშვილმა, ეპისკოპოსმა მალხაზ სონღულაშვილმა და სხვებმა.

პეტრე მამრაძის თქმით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის დადებითი ტენდენცია, რაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში შეიმჩნევა. **"ოფიციალური რუსეთი აბსოლუტურად სხვაგვარად იქცევა, ვიდრე ეს ადრე იყო. მე მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ აჭარაში განლაგებული რუსული ბაზა ჩაკეტილია და საქართველოს შიდა საქმეში ჩარევას არც აპირებს. ეს, მეტწილად, საქართველოს ხელისუფლების დამსახურებაა,"** - აღნიშნა მამრაძემ.

აჭარის ლიდერს იგივეს ურჩევენ ომბუდსმენის ოფისში შეკრებილი, ოცდაათამდე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც. საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირა სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ ლომსაძემ. **"მივმართავთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს - შეჩერდეს, გამოიჩინოს გონიერება, შეწყვიტოს ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა, დაემორჩილოს საქართველოს ხელისუფლებას და მრავალათასიანი მოსახლეობის მოთხოვნას,"** - აღნიშნულია მიმართვაში, რომელიც სახალხო დამცველის აპარატმა და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გუშინ ერთობლივად მიიღეს.

ლომსაძის თქმით, სახალხო დამცველის აპარატს გადაწყვეტილი აქვს, დღეს აჭარაში ჩავიდეს, რათა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაში მედიატორის როლი შეასრულოს.

*ვიკა ბუკია*

### საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა აჭარაში მიმდინარე მშვიდობიანი აქციის მონაწილეებისადმი

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები სრულ თანადგომას ვუცხადებთ აჭარაში ასლან აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ მიმდინარე მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს. ბათუმში მიმდინარე მოვლენებმა და აჭარელი მოსახლეობის მასობრივმა პროტესტმა დაადასტურა, რომ აჭარაში მაცხოვრებელი საქართველოს მოქალაქეები მზად არიან პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარი მომავლის წინაშე და საკადრისი პასუხი გასცენ აჭარისა და სრულიად საქართველოს განვითარებისა და შემდგომი წინსვლისათვის ხელისშემშლელ აბაშიძის დიქტატორულ რეჟიმს. ტირანია ღიად მოქმედებს საკუთარი მოსახლეობისა და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ. ასეთ მოქმედებებს გამართლება არა აქვს და მათ ისტორია შესაბამის განაჩენს გამოუტანთ.

დღეს კი, ასლან აბაშიძის გადადგომას მოითხოვს არა მხოლოდ ათიათასობით აჭარის მაცხოვრებელი, არამედ სრულიად საქართველო. ნოემბრის დღეებში თბილისში დიქტატურის წინააღდეგ მებრძოლმა საქართველომ ცალსახა უარი უთხრა ყველას და ყველაფერს რაც ქვეყნის განვითარებას, დემოკრატიასა და საქართველოს დემოკრატიული ქვეყნების ერთიან ოჯახში შესვლას შეუშლიდა ხელს. სამწუხაროდ, ვარდების რევოლუცია არ აღმოჩნდა საკმარისი ქართველი ხალხის გმირობის შესაფასებლად.

დღეს არის გადამწყვეტი მომენტი საქართველოს გადარჩენისთვის. სწორედ ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა ვთქვათ საბოლოო და გადამწყვეტი სიტყვა აბაშიძის ეპოქის დასრულებაში.

ვერ ვმალავთ აღფრთოვანებას აჭარის მოსახლეობის მიერ გამოვლენილი სამოქალაქო გმირობის მიმართ, თითოეული იმ ადამიანის მიმართ, რომელიც დღეს ქუჩაში იბრძვის აჭარის დემოკრატიული მომავლის დასაცავად. დღეს თითოეული ჩვენგანის ვალია, ჩვენი ხმა მივაწვდინოთ სრულიად საქართველოს და ერთად მოვუწოდოთ ასლან აბაშიძეს, დაემორჩილოს საკუთარი თანამოქალაქეების ნებას.

***111 ხელმომწერი -***
***არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები***

## მრავალეროვანი საქართველო გმობს აბაშიძის რეჟიმს

გუშინ ეთნიკურ უმცირესობათა სათვისტომოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით, საერთო-სამოქალაქო მოძრაობამ "მრავალეროვანი საქართველო", გაავრცელა მიმართვა, რომელშიც დაგმობილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ქმედებები, რომლებიც ზიანს აყენებს ქვეყნის მოსახლეობასა და სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრიობას.

"აჭარის ხელმძღვანელობის მიერ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლებისადმი შემდგომი დაუმორჩილებლობისა და მოსახლეობის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მოვუწოდებთ ჩვენი ორგანიზაციის ფილიალების წევრებს, აგრეთვე რეგიონის მთელი მრავალეროვანი მოსახლეობის წარმომადგენლებს, გააააქტიურონ თავიანთი ძალისხმევა აჭარაში მშვიდობიანი გზით დემოკრატიული გარდაქმნებისათვის." - ნათქვამია მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერს 40 ორგანიზაცია.

*24 საათი*

## კახელები აბაშიძის წინააღმდეგ



*მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიტინგი გურჯაანში.*

**"ფეოდალების ბოგინი საქართველოშო უნდა შეწყდეს. დროა ასლან აბაშიძე გონს მოეგოს და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდეს,"** - აი ასეთი შეძახილები ისმოდა გუშინ გურჯაანში გამართულ საპროტესტო აქციაზე, რომელშიც ასობით მოსწავლე-ახალგაზრდა და პედაგოგი იღებდა მონაწილეობას. ისინი აღშფოთებას ვერ ფარავდნენ აჭარაში მიმდინარე მოვლენებზე: **"ასლან აბშიძე ერის მოღალატეა. იგი მიჩვეულია სხვისი სისხლის ღვრას,"** - იმუქრებიან გურჯაანელი პედაგოგები.

მიმდინარე ორმა დაძაბულმა დღემ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კახელი ბავშვებიც კი პოლიტიკაზე აალაპარაკა. ისინი შეშფოთებას გამოთქვამენ მიმდინარე მოვლენებზე და თანატოლებს თანადგომას ჰპირდებიან. აბაშიძის სახელის ხსენება კი მათ სირცხვილად მიაჩნიათ: **"აჭარლების სატკივარი ჩვენი ტკივილია. თუ ასე გაგრძელდება, მე ჩემს უცხოელ თანატოლებთან შემრცხვება ვთქვა, რომ მეც ქართველი ვარ და ასლან აბაშიძეც,"** - ამბობს მეათე კლასელი გულიკო იმერლიშვილი.

აჭარლების მხარდამჭერი აქციები გუშინ რეგიონის მასშტაბით გაიმართა. თანადგომის მიზნით გუშინვე ასობით კახელი აჭარისკენ გაემართა.

*24 საათი*

## "რემბომ" პროკურატურას მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა

თბილისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ელგუჯა ჯინჭარაძე, მეტსახელად -"რემბო" ჩამოვიდა. იგი გენერალურ პროკურორ ირაკლი ოქრუაშვილს და უშიშროების მინისტრის მოადგილეს გიგი უგულავას შეხვდა. როგორც ოფიციალური წყაროები იუწყებიან, "რემბომ" საქართველოს მთავრობას აჭარაში შექმნილ ვითარებაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა. თავად ელგუჯა ჯინჭარაძე აცხადებს, ასლან აბაშიძეს სერიოზული შეიარაღება აქვს. სამართალდამცავები არ გამორიცხავენ, რომ თუ ასლან აბაშიძის წინააღმდეგ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, შესაძლოა, ჯინჭარაძემ შესაბამისი ჩვენებებიც მისცეს. სწორედ ელგუჯა ჯინჭარაძის სახელს უკავშირდება აჭარაში მოქმედი შეიარაღებული ფორმირებების არსებობა და მრავალი მიტინგის დარბევა. ელგუჯა ჯინჭარაძის თქმით, ბათუმში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის ჯარისკაცები ავტონომიის შიდა საქმეებში არ ერევიან. რუსეთის ბაზა ჩვეულ რეჟიმში მუშაობს და ნეიტრალიტეტს იკავებს.

*24 საათი*

## რიჩარდ მაილსი საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას არ აპირებს

საქართველოში აშშ-ს ელჩი აჭარაში შექმნილ დაძაბულ ვითარებას ქვეყნის შიდა პრობლემას უწოდებს და საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას არ აპირებს. ამის შესახებ რიჩარდ მაილსმა სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, იგი ბათუმში ჩასვლას არ აპირებს. "ჩვენ არ გვგონია, რომ აჭარაში სამხედრო ოპერაცია განხორციელდება," - განაცხადა მაილსმა. ევროსაბჭოს სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში პლამენ ნიკოლოვი კი აცხადებს, რომ აჭარაში არსებული ვითარება შეშფოთებას იწვევს და ესკალაციის თავიდან აცილება აუცილებლად უნდა მოხდეს.

*ინტერ-პრესი*

## ევროკავშირი აჭარაში შექმნილი ვითარებით შეშფოთებულია

ევროკავშირი აჭარაში შექმნილი მდგომარეობის გამო შეშფოთებას გამოთქვამს და საქართველოს მთავრობას და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მოუწოდებს, აჭარაში არსებული საკითხების გადასაწყვეტად მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებები გამოიყენონ.

ევროკავშირის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ურთიერთობები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და დანარჩენ საქართველოს შორის საქართველოს კონსტიტუციის ჩარჩოებში უნდა განვითარდეს, რომელიც ცნობს აჭარის ავტონომიას. განცხადებაში ევროკავშირი შეშფოთებას გამოთქვამს აჭარის ხელისუფლების მიერ 2 მაისს რეგიონის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ხიდების დანგრევისა და აჭარის ფაქტიური ბლოკირებით გამოწვეული სოციალური შედეგების გამო. ევროკავშირი მიმართავს ბათუმს, აღადგინოს ყველა სატრანსპორტო კომუნიკაცია აჭარასა და დანარჩენ საქართველოს შორის.

*ინტერ-პრესი*

## LINKS-ის აზრით, ასლან აბაშიძე უნდა გადადგეს

აჭარაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, გუშინ განცხადება გააკეთა ბრიტანულმა არასამთავრობო ორგანიზაცია LINKS-მა. "ბოლო 72 საათის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა ბოლომდე ამოწურეს ის კეთილი განწყობა, რომელიც მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებას გააჩნდა აჭარის ხელისუფლების მიმართ. მოვიდა დრო, როცა ასლან აბაშიძე უნდა გადადგეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტიდან და აჭარაში, ევროსაბჭოს ზედამხედველობით, ექვსი კვირის ვადაში, არჩევნები ჩატარდეს", - ნათქვამია განცხადებაში.

ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ დოკუმენტში გამოთქმულია სურვილი, რომ აჭარის მოსახლეობას "მიეცეს საშუალება, თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება თავისუფალ არჩევნებში და თვითონ აირჩიოს თავისი ხელისუფლება, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით".

*24 საათი*

## "ტირანია უნდა დასრულდეს"



*პედაგოგები ტირანიის წინააღმდეგ.*

*"საქართველოში ტირანია დაუშვებელია!" - ამ ლოზუნგის ირგვლივ გუშინ, თითქმის, ყველა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები გაერთიანდნენ. ბათუმში მოსწავლე ახალგაზრდობისა და პედაგოგების დარბევის ფაქტს თბილისის, გორის, ახალციხის, სამტრედიისა და თელავის პედაგოგები ფართომასშტაბიანი საპრორესტო აქციებით გამოეხმაურნენ. გუშინვე თბილისის მერიასთან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები შეიკრიბნენ და აჭარელი თანატოლების მხარდასაჭერად ბათუმისკენ გაემგზავრნენ.*

**"ჩვენ მანამდე არ ჩამოვალთ აჭარიდან, სანამ ტირანი ასლან აბაშიძე არ გადადგება. ახალ საქართველოში დამპყრობლებისა და დიქტატორების ადგილი არ არის. იმის შემდეგ, რაც აბაშიძემ თავის ხალხს გაუკეთა, ამ ქვეყანაში დარჩენის უფლება აღარ აქვს. თუკი აჭარის ტერიტორიაზე არ შეგვიშვებენ, საპროტესტო აქციას ჩოლოქთან გავმართავთ. საქართველოს ყველა რეგიონის სტუდენტები აჭარელ თანატოლებს თანადგომას ვუცხადებთ და ამ თანადგომას აჭარაში ჩასვლით დავადასტურებთ,"** - აცხადებდნენ ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტში შეკრებილი სტუდენტები, რომლებმაც შემდეგ მერიასთან გადაინაცვლეს და ჩოლოქისკენ გაემგზავრნენ.

გუშინდელ საპროტესტო აქციას ის ახალგაზრდებიც შეუერთდნენ, რომლებსაც პოლიტიკურ ბატალიებში მონაწილეობა არასდროს მიუღიათ. მათი მიმართვები უფრო მეტად გიორგი აბაშიძის მისამართით გაისმოდა. **"გიორგი აბაშიძეს, როგორც ჩვენს თანატოლს, ვურჩევთ, რომ მამამისს არასხელმწიფოებრივ და არაქართულ საქმიანობაში ხელი შეუშალოს. იმედია, მას, წაკითხული თუ არა, მოსმენილი მაინც აქვს ცნობილი ანდაზა - "ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა". მისი კარგი შვილობა ის იქნება, თუკი მშობელ მამას ამბიციების ჩაცხრობაში მიეხმარება და ერთ კეთილ რჩევას მისცემს - დროზე დატოვოს აჭარა,"** - აღნიშნეს კონსერვატორიის სტუდენტებმა.

სტუდენტების პარალელურად, აჭარის წარმომადგენლობის წინ საპროტესტო აქციებს მართავდნენ პედაგოგებიც. განათლების პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მანანა კობახიძის თქმით, მთელი რეგიონების მასშტაბით გუშინ დაწყებულ აქციებს დღეს ბათუმში უნდა გადაენაცვლა.

**"რაც გუშინ მოხდა, ის აღარ უნდა განმეორდეს. ბოლოს და ბოლოს, საქართველო უნდა გაერთიანდეს და აჭარაში ერთპიროვნული ტირანია დასრულდეს. ის ხელისუფლება, რომელიც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ აღმართავს ხელს, ამავე ხალხმა უნდა გააძევოს ქვეყნიდან",** - მიაჩნიათ პედაგოგებს. აჭარის წარმომადგენლობასთან საპროტესტო აქციის გამართვა იმ მიზნით გადაწყდა, რომ მათი სიტყვები ჰამლეტ ჭიპაშვილს ადრესატისთვის გადაეცა, თუმცა აჭარის წარმომადგენლობაში გუშინ არავინ ყოფილა.

*თამარ დვალი*

## აფხაზეთის სახალხო კრებამ მიიღო ახალი კანონი "პრეზიდენტის არჩევის შესახებ"

აფხაზეთის პარლამენტმა, აზრთა სხვადასხვაობისა და მწვავე დაპირისპირების მიუხედავად, პირველი მოსმენით მიიღო კანონი "პრეზიდენტის არჩევის შესახებ", რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის აფხაზეთში ცხოვრების 5-წლიანი ცენზი შენარჩუნდა.

პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტი, 5-წლიანი ცენზის შენარჩუნების გარდა, შემოდგომისათვის დანიშნული აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე ითვალისწინებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსკოვსა და რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები აფხაზი მოქალაქეები აფხაზეთში 2004 წლის 3 ოქტომბრისათვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებზე მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

მიღებული კანონის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ აფხაზეთის შინაგან საქმეთა ექსმინისტრი, მოსკოვში მცხოვრები აფხაზური დიასპორის ხელმძღვანელი ალექსანდრე ანქვაბი და რუსეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრის, სერგეი შოიგუს მეგობარი ნოდარ ხაჟბა.

*ინტერ-პრესი*

## ფინანსურმა პოლიციამ სამეგრელოში რამდენიმე ულიცენზიო საწარმო აღმოაჩინა

ხობისა და ზუგდიდის სავაჭრო ადგილებში მრავლადაა ულიცენზიო და ფალსიფიცირებული სასმელები. ეს კი ხელს უშლის ლიცენზირებული წარმოებების მიერ გამოშვებული სასმელების რეალიზაციას. ამასთან, ასეთი პროდუქცია საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელოს განყოფილებამ რამდენიმე ულიცენზიო წარმოება აღმოაჩინა. "სამეგრელოს ბაზარი გაჯერებულია ფალსიფიცირებული, ულიცენზიო სასმელებით, რაც ბიუჯეტში გადამხდელი ლიცენზირებული წარმოებების მიერ გამოშვებული სასმელების რეალიზაციას უშლის ხელს და მომხმარებლებისთვის მავნეა", - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში. მათ ზუგდიდსა და ხობში სამი უკანონო საწარმოს მიერ გამოშვებულ ფალსიფიცირებულ ლიმონათსა და წვენებს მიაგნეს, რომლებიც მაღაზიებში 8-10 თეთრად იყიდებოდა.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ამოღებულ პროდუქციას უახლოეს დღეებში ექსპერტიზა ჩაუტარდება და ფალსიფიკაციის დადგენის შემდეგ ულიცენზიო პროდუქციის მწარმოებლები სისხლის სამართლის წესით დაისჯებიან.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა მიესალმება აფხაზური პარლამენტის გადაწყვეტილებას პრეზიდენტობის კანდიდატთათვის აფხაზეთში ცხოვრების 5-წლიანი ცენზის შენარჩუნების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურმა მოძრაობამ "ერთიანმა აფხაზეთმა", რომლის წევრიც იგი არის, პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა, სერგეი შამბა შემოდგომისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ გამორიცხავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისი მოსკოვს "ჩარჩო" ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რუსულ-ქართულ მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდის გამართვას 15-20 მაისს სთავაზობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედი პარტია "ვირქის" ლიდერი დავით რსტაკიანი დარწმუნებულია, რომ ახალქალაქში სამშაბათს მომხდარი ინციდენტი, როდესაც ადგილობრივ სომხურ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ აჭარლებს შორის ჩხუბი მოხდა, "გაუგებრობაა" და "არანაირად არ უკავშირდება აჭარაში მიმდინარე მოვლენებს". რსტაკიანის თქმით, "ინციდენტი საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მოხდა, რაც ადგილობრივი ხელისუფლებისა და პოლიციის ჩარევის შედეგად მთლიანად აღიკვეთა". **პრაიმ-ნიუსი**

### ოფიციოზი

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №363

*2004 წლის 3 მაისი ქ. თბილისი*

დ. დოიჯაშვილის თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და მისთვის თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების დაკისრების შესახებ.

1. გათავისუფლდეს დავით დოიჯაშვილი თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.
2. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 85 2-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნამდე დავით დოიჯაშვილს დაეკისროს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №365

*2004 წლის 3 მაისი ქ. თბილისი*

მ. ნოზაძის თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და მისთვის თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების დაკისრების შესახებ.

1. გათავისუფლდეს მამუკა ნოზაძე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.
2. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 85 2-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნამდე მამუკა ნოზაძეს დაეკისროს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №366

*2004 წლის 3 მაისი ქ. თბილისი*

ზ. რუხაძის თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და მისთვის თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების დაკისრების შესახებ.

1. გათავისუფლდეს ზურაბ რუხაძე თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.
2. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 85 2-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნამდე ზურაბ რუხაძეს დაეკისროს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №367

*2004 წლის 3 მაისი ქ. თბილისი*

მ. სონღულაშვილის თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და მისთვის თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების დაკისრების შესახებ.

1. გათავისუფლდეს მამუკა სონღულაშვილი თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.
2. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 85 2-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნამდე მამუკა სონღულაშვილს დაეკისროს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №369

*2004 წლის 4 მაისი ქ. თბილისი*

გ. მელაძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს გიორგი მელაძე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარედ.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №370

*2004 წლის 4 მაისი ქ. თბილისი*

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული ოპერატიულ-საინფორმაციო ჯგუფის შექმნის შესახებ.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებათშორისი საქმიანობის კოორდინირებისა და ინფორმაციის ოპერატიული ურთიერთგაცვლის მიზნით:

1. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატთან შეიქმნას ოპერატიულ-საინფორმაციო ჯგუფი (შემდგომში - ჯგუფი).
2. ჯგუფის შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე - ჯგუფის უფროსი, სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე, ეროვნული უშიშროების საბჭოს პოლიტიკური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.
3. ჯგუფის ფუნქციები:

ა) საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანი შეთანხმებული პოზიციის შემუშავება კონკრეტულ პოლიტიკურ მოვლენასთან დაკავშირებით;

ბ) საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებებს შორის ინფორმაციის ოპერატიული მიმოქცევის კოორდინაცია ცალკეულ უწყებებში დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებებისა და მოსალოდნელი ვიზიტების შესახებ ჯგუფის დანარჩენი წევრების ინფორმირება;

გ) უმაღლესი დონის ოფიციალური ვიზიტების დროს შიდაუწყებრივი საქმიანობის კოორდინაცია;

დ) საზოგადოებისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით ობიექტური ინფორმაციის მიწოდება.

4. ჯგუფის შეხვედრები გაიმართოს სისტემატურად, თვეში ერთხელ ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში. ჯგუფის უფროსის გადაწყვეტილებით, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება მოწვეულ იქნეს ჯგუფის რიგგარეშე სხდომა.
5. ჯგუფის უფროსის რეკომენდაციით ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ სხვა პირები.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №371

*2004 წლის 4 მაისი ქ. თბილისი*

მ. მამალაძისათვის იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრს მამუკა მამალაძეს მიენიჭოს იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდება.

*მიხეილ სააკაშვილი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მთელი მსოფლიო აღტაცებით უყურებს აჭარლების გმირობას!

## საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადება

მე მინდა გავაკეთო განცხადება ისტორიულ დღესთან და იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც განვითარდა საქართველოში.

სულ ცოტა ხანში ჩემი ბრძანებით სპეციალური ტექნიკა აიღებს ჩოლოქზე ყველანაირ ბარიერებს და ერთხელ და სამუდამოდ, სამარადისოდ დამთავრდება შიდა საზღვრების და გამყოფი ხაზების სიტუაცია საქართველოსა და მის უმშვენიერეს კუთხეს - აჭარას შორის!

საქართველოს ისტორიაში ვერასოდეს ვეღარავინ ვეღარ გაყოფს საქართველოს და აჭარას ვერანაირი ბარიერით და მე ამას უზრუნველვყოფ, სანამ პირში სული მიდგას და სანამ ამ აზრზე იქნებიან ჩვენი უსაყვარლესი აჭარლების მომავალი თაობები!

აჭარლებმა გუშინ და დღეს აჩვენეს გამბედაობის და გმირობის არნახული მაგალითები!

მთელი მსოფლიო აღტაცებით უყურებს აჭარლების გმირობას!

მე მინდა გავაკეთო განცხადება, რომ იმისთვის, რათა ავიცილოთ თავიდან თუნდაც ერთი ქართველის სისხლის უაზრო დაღვრა, მზად ვარ მივცე სრული ხელშეუხებლობის გარანტიები ასლან აბაშიძეს და მისი ოჯახის წევრებს. მზად ვარ, შევუქმნა მათ სრული უსაფრთხოების გარანტიები საქართველოს შიგნით და მივცე მათ საშუალება, თუ ისინი გადაწყვეტენ, დატოვონ საქართველოს ტერიტორია და გაემგზავრონ უცხოეთის ნებისმიერ ქვეყანაში.

დღის განმავლობაში მე ორჯერ მქონდა სატელეფონო საუბარი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან, ასევე მქონდა საუბარი თეთრ სახლთან ვაშინგტონში. მე ვთხოვე რუსეთის პრეზიდენტს (და ისინი განიხილავენ ამ თხოვნას, ჩვენ საბოლოო პასუხი ჯერ არ მიგვიღია, მიუხედავად პრესის ინფორმაციისა), რომ მიანიჭონ პოლიტიკური თავშესაფარი აბაშიძეს და მე აღარ მოვითხოვ მის გადმოცემას უკან საქართველოში!

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაქვს ბევრი პრეტენზია, უამრავი დანაშაულია ჩადენილი, მე ჩემს თავზე ვიღებ ამას, იმიტომ, რომ ჩვენ თავიდან უნდა ავიცილოთ ნებისმიერი სისხლისღვრა საქართველოში. ნებისმიერი სისხლისღვრა იქნება საქართველოსთვის ტრაგედიის მომასწავებელი და ჩვენ ეს არ გვჭირდება!

რა თქმა უნდა, ეს პირობა შესრულდება იმ სიტუაციაში, თუ ასლან აბაშიძე გადადგება თავისი ნებით და დატოვებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის სავარძელს!

როგორც მე არაერთხელ განვაცხადე, ჩვენ არ ვაპირებთ შევეხოთ აჭარის ავტონომიას, მაგრამ გარდამავალ პერიოდში მე შემომაქვს აჭარაში პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობა, დაინიშნება დროებითი საბჭო, რომელიც მართავს აჭარის ტერიტორიას მანამ, სანამ უახლოეს პერიოდში არ ჩატარდება ადგილობრივი მმართველობის არჩევნები და არ აირჩევა ის ადგილობრივი მმართველობა, რომელიც უნდა აჭარის მოსახლეობას!

აჭარლებმა მთელ მსოფლიოს დაანახეს, რომ ისინი არიან ნამდვილი პატრიოტები საქართველოსი! ისინი არიან ქართველი ერის საუკეთესო წარმომადგენლები!

მათ ყველას აჩვენეს, რომ მომავალში ვერასოდეს აჭარაში ვერ გავა ვერანაირი სეპარატისტული თამაშები, ვერც ერთი ძალა ვერ გამოიყენებს ჩვენს აჭარლებს საქართველოს საწინააღმდეგოდ!

აჭარლებმა გადაიტანეს გმირული ბრძოლა საქართველოსთვის!

მე მზად ვარ, ასევე, მივცე ხელშეუხებლობის გარანტია (და ამის შესახებ მე ვუთხარი სატელეფონო საუბრისას) ჯემალ გოგიტიძეს და აჭარის უშიშროების მინისტრს სოსო გოგიტიძეს, ისევე როგორც მივეცი უსაფრთხოების გარანტიები და იმუნიტეტის გარანტიები სხვა თანამდებობის პირებს. ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან ერთად, თუ საჭიროა ჩვენ კანონსაც მივიღებთ ამისთვის.

ამ წუთებში მიმდინარეობს იარაღის ჩაბარების პროცესი და ჩვენ შევძლებთ, რომ ეს პროცესი უმტკივნეულოდ წარვმართოთ.

ხვალ არის გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული!

ისევ გიორგობა!

მართლაც საქართველოს მფარველობს უზარმაზარი ძალა!

ის რაც მოახერხა ქართველმა ხალხმა რამდენიმე თვეში ორჯერ, შარშან ნოემბერში და ახერხებს ახლა, ამ დღეებში, არის უპრეცედენტო შემთხვევა მსოფლიოს ისტორიაში!

მთელი მსოფლიო სატელევიზიო არხებით უყურებს ახლა საქართველოს!

ჩვენ ვართ მართლაც ამაყი და ძალიან ნიჭიერი ერი!

ჩვენ ვართ უნიკალური ერი!

ვერც ერთმა ერმა მსოფლიოში ვერ შეძლო რამდენიმე თვის განმავლობაში ორი უსისხლო რევოლუციის ჩატარება გართულებების გარეშე და ღმერთმა ჰქნას, რომ ამჯერადაც ასე მოხდეს!

მე მადლობელი ვარ თქვენი, გულის ფანცქალით ველი იმ წუთებს, როდესაც ჩავალ ჩემს ბათუმში, ჩემს აჭარაში, ჩემს გმირ თანამემამულე აჭარლებთან, რომლებმაც დაუმტკიცეს ყველას, რომ ისინი არიან ამ ქვეყნის ყველაზე დიდი პატრიოტები!

დღესაც, ამ წუთებშიც, ეს ხალხი შეკრებილია ბათუმის ცენტრში, მე ქედს ვიხრი თითოეული თქვენგანის წინაშე!

მთელი საქართველო იხრის ქედს თითოეული თქვენგანის წინაშე!

თქვენ შეძელით პრაქტიკულად სასწაულის მოხდენა!


გმირი აჭარლები.

მე არავიზე გაბრაზებული არ ვარ. არც იმ ადამიანების პატარა ჯგუფზე, რომლებიც, ზოგი ფულის გამო, ზოგი სხვა პირადი ინტერესების გამო, ბოლო დღეების განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა ყველაფერ ამას, ვინც გვლანძღავდა ტელევიზიით, ჩვენ იმათაც უნდა ვაპატიოთ, ვინც გვცემდა მიტინგებზე, იმათაც, ვინც გაისროლა გუშინ და დაჭრა რამდენიმე ადამიანი; იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში ეს არის ჩვენი საერთო ქვეყანა და საქართველოს სჭირდება პატიება, ეროვნული თანხმობა, ერთიანობა; ჩვენ ყველამ ერთად უნდა გავაერთიანოთ ჩვენი ქვეყანა!

ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი, ყველა სხვა პრობლემის გადაჭრასთან ერთად, არის ის, რომ საქართველო იყოს ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო!

კიდევ ერთხელ მინდა მოვუწოდო ყველას, დავდგეთ ერთად და ვიზეიმოთ ეს დღესასწაული - საქართველოში ყველანაირი საზღვრების აღება, ჩოლოქზე, ქაქუთზე და სხვა ადგილებში!

რამდენიმე წუთში ეს უკვე საბოლოო შეუქცევად ხასიათს მიიღებს!

დღეს არის დიდი დღესასწაული, ხვალ კიდევ უფრო დიდი დღესასწაულია, გიორგობა, და მე მინდა ვუთხრა ყველას, ბოლო საათები ჩვენ ისე უნდა ჩავატაროთ, რომ ის აღტაცება, რომელიც არის დღევანდელ მსოფლიოში, გაათმაგდეს. არ უნდა იყოს არც ერთი ინციდენტი, არც ერთი შეტაკება, არც ერთი ძალადობის ფაქტი და თუკი ვინმე ამას დააპირებს, ყველამ ერთად უნდა გავცეთ პასუხი!

ჩვენ მზად ვართ, ვიყოთ სულგრძელნი, ყველას ყველაფერი ვაპატიოთ, ოღონდ ახლა განიარაღების დროა, ახლა საქართველოსადმი დამორჩილების და მთელი ქართველი ხალხის და, მათ შორის, აჭარლების გამარჯვების საბოლოო აღიარების დრო არის!

გილოცავთ ყველას და მე ვიმედოვნებ, რომ საბოლოო გამარჯვებამდე სულ რამდენიმე საათი რჩება!

*5 მაისი, 2004*

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

# აჭარასთან დაკავშირებული მოვლენების ქრონიკა

პირველი გვერდიდან

■ პარლამენტარი გიგა ბოკერია ცენტრალური ხელისუფლების მიერ აჭარაში სპეცოპერაციის ჩატარებას კატეგორიულად გამორიცხავს. მისი თქმით, ამის აუცილებლობა ამჟამად არ არსებობს, ვინაიდან ასლან აბაშიძეს და იქაურ ხელისუფლებას განაჩენს თავად ადგილობრივი მოსახლეობა გამოუტანს. თუმცა, გიგა ბოკერიას მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რათა ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოება მაქსიმალურად იქნეს დაცული.

■ საქართველოს თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას ბათუმის ნავთობტერმინალის დანაღმვასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, ნავთობტერმინალის გარდა, დანაღმულია კიდევ რამდენიმე ობიექტი, თუმცა მისივე თქმით, ისინი სრულად ფლობენ სიტუაციას და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს რამდენიმე სამოქმედო სცენარი, რომლის გამჟღავნებისგანაც თავდაცვის მინისტრი თავს იკავებს.

■ 1 200 მესაზღვრე, რომლებიც საქართველო-თურქეთის საზღვარს იცავენ, აცხადებენ, რომ ვერ ტოვებენ საზღვარს. მათი მტკიცებით, საზღვრის დაცვის აჭარის რეგიონული სამმართველო ბათუმში დისლოცირებული ერთადერთი სამხედრო უწყებაა, რომელიც ასლან აბაშიძის განკარგულებაში არ გადასულა. მესაზღვრეების განცხადებით, თუ საჭირო გახდება, ისინი საკუთარი ხალხის დასაცავად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ მიმდინარე აქციას შეუერთდებიან. მათი გაღიზიანება მათივე თანარაზმელის, ვინმე ფუტკარაძის ქმედებამ გამოიწვია, რომელიც ჩოლოქის საზღვარზე იარაღს ისროდა. მესაზღვრეები მოუწოდებენ თავიანთ რაზმელებს, რომ დადგნენ იქ, სადაც ქართველი ხალხი დგას.

■ როგორც ბათუმში გამართულ მიტინგზე სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ განაცხადა, მას მიხეილ სააკაშვილმა დაურეკა და აცნობა, რომ იგი ესაუბრა ვლადიმირ პუტინს და რუსეთი მზად არის, პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს ასლან აბაშიძეს და მის მთავრობას.

■ ბათუმში მიმდინარე მიტინგს შეუერთდა ქალაქის პოლიციის სამმართველო მთლიანად, თავად პოლიციის შეფის თამაზ ჯორთმენაძის ხელმძღვანელობით. მათი განცხადებით, ისინი მიტინგზე ხალხის დასაცავად მივიდნენ და საკუთარი ხალხის უსაფრთხოებისთვის ყველაფერს გააკეთებენ. მიტინგს "საზღვაო ბანკის" თანამშრომლებიც შეუერთდნენ.

■ აჭარა-გურიის ადმინისტრაციული საზღვრის ქაქუთის მონაკვეთზე განლაგებულმა ჯავშანტექნიკამ დატოვა ქაქუთის ტერიტორია და ქობულეთისკენ დაიხია. ასევე საარტილერიო დანადგარები გაიტანეს და ამის შემდეგ, აჭარაში შევიდა ედვარდ სურმანიძე თანმხლებ პირებთან ერთად. გავრცელდა ინფორმაცია, რომ აჭარა-გურიის საზღვარზე მდგარი ე.წ. ნეტკაჩკოველები და სხვა შეიარაღებული პირები საქართველოს პრეზიდენტის მხარეს გადმოვიდნენ.

■ ბათუმში მიმდინარე საპროტესტო აქციის მხარდასაჭერად, რუსთავიდან აჭარის მიმართულებით, დაახლოებით, 50-მდე მანქანისგან შემდგარი კოლონა გაემართა.

■ აჭარაში დისლოცირებული, რუსეთის სამხედრო ნაწილები თბილისსა და ბათუმს შორის შექმნილ დაძაბულ სიტუაციაში არ ჩაერევიან, - აცხადებს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესმდივანი ვიაჩესლავ სედოვი. მისივე თქმით, ბათუმში დისლოცირებული, რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზის ნაწილები დისლოკაციის ადგილებს არ ტოვებენ, სამხედრო მოსამსახურეები კი ყოველდღიური ჩვეულებრივი საკითხების გადაჭრით არიან დაკავებულნი.

■ გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ მას ჰქონდა სატელეფონო საუბარი ქობულეთის გამგებელ ტარიელ ხალვაშთან. გენპროკურორის განცხადებით, "ყველანი ჩემოდნების ჩალაგებაში არიან". მან აჭარაში რაიმე სახის სამხედრო ოპერაცია გამორიცხა.

■ იური ლუჟკოვი თბილისსა და ბათუმს შორის მოლაპარაკებებში არ მონაწილეობს. ამის შესახებ გუშინ მოსკოვის მერის პრესმდივანმა სერგეი ცოიმ განაცხადა, რომელმაც კომენტარი გაუკეთა გავრცელებულ ინფორმაციას ლუჟკოვის აჭარაში შესაძლო გამგზავრების შესახებ. "ლუჟკოვი მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად იმოქმედებს. თუკი ამგვარ მითითებას მიიღებს, ის აჭარაში ჩავა," - თქვა ცოიმ.

■ "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" რუსთავის ორგანიზაციამ, სადაც დაახლოებით 1500 ადამიანი იყო გაერთიანებული, ოთხშაბათს თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. "დაკ"-ის რუსთავის ორგანიზაციის ყოფილმა კოორდინატორმა და ქალაქის საკრებულოს წევრმა ალექსანდრე აბაშიძემ განაცხადა, რომ ორგანიზაციის ყოფილი წევრები ბათუმში გაემგზავრებიან და იმ დემონსტრანტებს შეუერთდებიან, რომლებიც აჭარის ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის თანამდებობიდან გადადგომას ითხოვენ.

■ აჭარაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, 16.00 საათზე საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა. ამის შესახებ ჟურნალისტებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ირაკლი ჩუბინიშვილმა განუცხადა. ჩუბინიშვილმა მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის სატელეფონო საუბრის დეტალები არ დააკონკრეტა.

■ ბათუმში მიმდინარე მიტინგს ედვარდ სურმანიძე შეუერთდა. იგი ბათუმში ქაქუთის გზით შევიდა. სურმანიძემ მომიტინგეებს განუცხადა, რომ სულ მალე საქართველოს მთავრობა მთელი შემადგენლობით ბათუმში ჩამოვა. მისი თქმით, შეიძლება ბათუმში ჩამოსვლის შესახებ გადაწყვეტილება პრეზიდენტმა სააკაშვილმაც მიიღოს. როგორც სურმანიძემ განაცხადა, გამარჯვებამდე რამდენიმე საათი დარჩა.

■ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, საქართველოს კონსტიტუციის ჩარჩოებში მოქმედ, ხელისუფლების ყველა წევრს აჭარაში ხელშეუხებლობის სრული გარანტია მიეცემა. ჟვანიას თქმით, რეგიონში ვნებათაღელვა საბოლოოდ, მშვიდობიანად და ღირსეულად უნდა დასრულდეს. პრემიერ-მინისტრი იმედოვნებს, რომ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ორივე მხარე უახლოეს ხანში მოძებნის.

ზურაბ ჟვანიასთან ერთად მყოფმა აჭარის შს მინისტრმა ჯემალ გოგიტიძემ კი განაცხადა, რომ მხარეებს შორის ამგვარი დაპირისპირებული ფონის შექმნა არ ღირდა. "ჩვენ ვართ ერთიანი განუყოფელი ნაწილი და მოლაპარაკების შედეგად ყველაფერი მოგვარდება," - აღნიშნა გოგიტიძემ.

■ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, ჩოლოქის ადმინისტრაციულ საზღვართან განლაგებულ ბეტონის ხერგილებს სპეცტექნიკა იღებს.

■ ბათუმში მიმდინარე მიტინგს შეუერთდა ჯემალ ქიქავა, რომელიც პატიმრობიდან გაათავისუფლეს. გათავისუფლებულია კიდევ ერთი პოლიტპატიმარი ვაჟა თავართქილაძე.

■ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ასლან აბაშიძე გეგმავს პროვოკაციის მოწყობას რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზაზე ბათუმში, რათა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში დისონანსი შეიტანოს.

■ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მოქმედი თავმჯდომარე, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სოლომონ პასი აჭარის მეთაურ ასლან აბაშიძეს ურჩევს, "კატეგორიულად შეიკავოს თავი შემდგომი ქმედებებისგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის არა მხოლოდ საქართველოს სტაბილურობას, არამედ საერთო სტაბილურობას სამხრეთ კავკასიაში".

■ ბათუმში მიმდინარე მიტინგს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები აჭარლები შეუერთდნენ, რომლებიც დღეს მთელი დღის განმავლობაში ჩოლოქის ადმინისტრაციულ საზღვარზე იდგნენ. მათ აქციაზე მუყაოსგან გაკეთებული კუბო შეიტანეს წარწერით - "ასლან აბაშიძის პოლიტიკური ცხედარი".

■ "საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ" ბათუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის ასლან აბაშიძის გადადგომის მოთხოვნით მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეებს სოლიდარობა გამოუცხადა. პარტიას მიაჩნია, რომ შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ასლან აბაშიძის გადადგომა და ახალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაა.

■ საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას განცხადებით, აჭარის ყველა ძალოვანი სტრუქტურა უკვე ემორჩილება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, გარდა რამდენიმე შეიარაღებული დაჯგუფებისა, რომელიც ჯერჯერობით არაკონტროლირებადია.

■ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა ასლან აბაშიძემ მისი გადადგომის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უარყო. როგორც ასლან აბაშიძემ აჭარის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლის მოსაძებნად, მისი თხოვნით, ბათუმში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი ჩაფრინდება.

■ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თხოვნით, კიდევ ერთი საგანგებო განცხადება გააკეთა. როგორც მან განაცხადა, მიხეილ სააკაშვილი კიდევ ერთხელ მოუწოდებს აჭარის მეთაურს ასლან აბაშიძეს, დატოვოს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია და ამ შემთხვევაში მას ხელშეუხებლობის სრული გარანტია მიეცემა.

ბურჯანაძის თქმით, ქვეყნის პირველი პირი რეგიონში არანაირი ძალისმიერი მეთოდის გამოყენებას და ვითარების ესკალაციას არ აპირებს. "თუ საჭიროება მოითხოვს, თავად პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას აბაშიძისთვის ხელშეუხებლობის იმუნიტეტის მისაცემად," - აღნიშნა ბურჯანაძემ და დასძინა, რომ ორივე მხარემ ყველაფერი უნდა იღონოს იმისთვის, რათა არც ერთი ადამიანი არ დაზარალდეს.

■ ჩოლოქის გამშვები პუნქტი საქართველოს შინაგანი ჯარების ნაწილებმა დაიკავეს. ადგილზე ჩავიდა შს სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი, რომელმაც ჩოლოქის მიმდებარე ტერიტორიის განაღმვითი სამუშაოები დაიწყო. ანალოგიური სამუშაოები ქაქუთზეც მიმდინარეობს.

■ ზურაბ ჟვანიას გზა გადაუღობა შეიარაღებულმა ხალხმა და მას ბათუმში არ უშვებდნენ. სახალვაშოში შსს-ს მინისტრის მეთაურობით განაიარაღეს ორ ავტობუსში მსხდომი 200-მდე შეიარაღებული პირი.

■ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ბათუმში მიმდინარე მიტინგს შეუერთდა.

■ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ მიმდინარე აქციაზე გამოსვლისას, შს მინისტრმა გია ბარამიძემ განაცხადა, რომ ამ წუთებიდან საქართველოს მთავრობა იწყებს მუშაობას, რათა პოლიციამ დაიკავოს პოზიციები ქალაქის ქუჩებში და მოხდეს უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

■ აჭარაში ჩავიდა რუსეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი.

■ ნაშუაღამევს მომიტინგეებმა უზენაესი საბჭოს მიმართულებით გადაწყვიტეს გადანაცვლება - ივანოვს ჩვენი ხმა მივაწვდინოთო. საპასუხოდ სროლა გაისმა.

■ დაახლოებით, ღამის 2 საათზე აბაშიძის ესკორტი მისი რეზიდენციიდან აეროპორტის მიმართულებით გავიდა. ასლან აბაშიძე ივანოვთან ერთად გაფრინდა. ბათუმი ზეიმით ხვდებოდა გიორგობის გათენებას.


პრემიერ-მინისტრმა და შსს მინისტრმა ჩოლოქი გადალახეს.


ბათუმის ქუჩები მანიფესტანტებით აივსო.


მიტინგი ბათუმის უნივერსიტეტთან.


პოლიცია მომიტინგეთა მხარესაა.

# პარლამენტში 2004 წლის ბიუჯეტის პროექტს "გადაურბინეს"

*მაშინ, როდესაც აჭარასთან მიმართებაში უკვე ცნობილი მოვლენები ვითარდებოდა და საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი კიდევ ერთხელ იდგა დღის წესრიგში, პარლამენტართა "შეთხელებულმა" კომიტეტებმა გუშინ 2004 წლის ბიუჯეტის პროექტს "გადაურბინეს". ყველაზე ხანგრძლივი განხილვა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში მოეწყო, სადაც დარგობრივ მინისტრებს მოუსმინეს. როგორც მოსალოდნელი იყო, დარგობრივ და აგრარულ კომიტეტებში ბიუჯეტის მხარდაჭერაზე უარის თქმას არ აპირებენ. იმავე აზრს იზიარებს პროსახელისუფლებო მაჟორიტარების ფრაქცია. გარკვეული პრეტენზიები აქვთ რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტში, თუმცა საეჭვოა ამ პრეტენზიების გამო მათ ბიუჯეტის მხარდაჭერაზე უარი თქვან.*

თამარ ივანიძე

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი აცხადებს, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი საინტერესოდ არის შედგენილი და იქ ბევრი სიახლეა ჩადებული.

**"მართალია, ბიუჯეტის მიღება და განხილვა შემჭიდროებულ ვადებში გვიწევს, მაგრამ მისი მხარდაჭერა შეიძლება",** - განაცხადა ლეკიშვილმა, რომელიც მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის შემოსავლის პარამეტრი შესრულებადია.

**"თუ არ იქნება ამბიციური ბიუჯეტი, არ იარსებებს შემოსავლების შესრულების სტიმული** ", - განაცხადა ლეკიშვილმა.

კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე პარლამენტმა ზრუნვა უნდა დაიწყოს 2005 წლის ბიუჯეტის პარამეტრების განხილვაზე, რათა ის საკითხები, რომლებიც 2004 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული, მომავალი წლის ბიუჯეტში ჩაიდოს.

**"ბევრი ახალია ინფრასტრუქტურის განვითარების, ენერგეტიკის დარგებში და ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებულ სფეროებში. მართალია, არსებობს შენიშვნები წარმოდგენილ ბიუჯეტთან დაკავშირებით, მაგრამ ისიც გვესმის, რომ ყველა ამ შენიშვნის გათვალისწინება ამ ეტაპზე არ მოხდება",** - მიაჩნია ლეკიშვილს.

კომიტეტის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებიდან ძირითადი მაინც ტურიზმისა და გზების საკითხი იყო. როგორც სხდომაზე ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრმა თამარ სულუხიამ განაცხადა, ტურიზმის განვითარებაზე საუბარი საქართველოში ჯერ ვერ მოხდება, თუ არ იზრუნებს ქვეყანა გზების რეაბილიტაციაზე. რაც შეეხება გზების საკითხს, საგზაო ფონდის პარამეტრი წელს შემცირებულია და 46 მილიონი ლარით არის დაგეგმილი.

როგორც სულუხიამ აღნიშნა, აღნიშნული თანხით მხოლოდ საქართველოს გზების 1 პროცენტის აღდგენაა შესაძლებელი. ამიტომ მოსახლეობა არ უნდა მოტყუვდეს, რომ ბიუჯეტში ჩადებული თანხებით გზების რეაბილიტაცია ერთიანად მოხდება.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ პარლამენტის აგრარული კომიტეტი სოფლის მეურნეობისთვის 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გამოყოფილი თანხის ოდენობას არ აპროტესტებს, თუმცა მიაჩნია, რომ აღნიშნული თანხის გადანაწილება უფრო მართებულად შეიძლებოდა.



*ნიკო ლეკიშვილი ბიუჯეტის პროექტს ამბიციურად და რეალისტურად მიიჩნევს.*

როგორც გუშინ კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ გია ხევიაშვილმა განაცხადა, სოფლის მეურნეობისთვის 2004 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი 24 მილიონი ლარი არასწორად არის გადანაწილებული, ამიტომ კომიტეტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნები გააჩნია.

**"ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული იყო ისეთი პროგრამების დაფინანსება, როგორიცაა ფერმერთა გადამზადების, ეროზიული ნიადაგის მონიტორინგის, ბიუჯეტის ხარჯვის მონიტირინგის და ცალკე ხარჯები. მიმაჩნია, რომ ეს პროგრამები ამ ეტაპზე მოიცდის, აუცილებელია დაფინანსება გაეზარდოს ვეტერინარიას, ცოფის ვაქცინაციის შემოტანისა და ფიტოსანიტარიის პროგრამებს"** - განაცხადა ხევიაშვილმა.

მისი თქმით, ფინანსთა სამინისტროს კომიტეტის სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნებთან დაკავშირებით პრეტენზიები არ გააჩნია, ამიტომ მოსალოდნელია, რომ იგი ამ შენიშვნებს გაითვალისწინებს.

**"კომიტეტის დასკვნას მხოლოდ მას შემდეგ მოვამზადებთ, როცა დავრწმუნდებით, რომ ფინანსთა სამინისტრომ ჩვენი შენიშვნები გაითვალისწინა. კომიტეტი ამის შემდეგ დაუჭერს მხარს ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს"** - განაცხადა ხევიაშვილმა.

ბიუჯეტი იყო გუშინ ხელისუფლების მხარდამჭერი მაჟორიტარი პარლამენტარების განხილვის თემაც. ცხადია, პარლამენტარებს განსაკუთრებული პრეტენზია სპეც-ტრანსფერების გაუქმებასთან დაკავშირებით ჰქონდათ, თუმცა, საბოლოოდ, აქცენტები მაინც სოციალური თემატიკის ირგვლივ გაკეთდა.

ისინი გაუმართლებლად მიიჩნევენ მთავრობის პოლიტიკას პენსიებთან დაკავშირებით და აცხადებენ, რომ ჯერ საპენსიო დავალიანება უნდა იქნეს გასტუმრებული და ამის შემდეგ უნდა იზრუნოს ხელისუფლებამ პენსიების გაზრდაზე.

**"არ ვიცი, ეს ინიციატივა პრეზიდენტისგან მოდის, თუ მთავრობისგან, მაგრამ ამას ძირითადი მნიშვნელობა არც აქვს. მთავრობა თუ ვერ უბედავს პრეზიდენტს სიტყვის შებრუნებას, ეს ჩემი პრობლემა არ არის. პენსიონერს, რომელსაც დავალიანება არ აქვს, პენსიას ვუზრდით, ხოლო ვისაც დავალიანება აქვს, ვეუბნებით, რომ მოიცადოს. ეს ყოვლად დაუშვებელია,"** - აღნიშნა გუშინ ფრაქცია "მაჟორიტარის" სხდომაზე ხონის მაჟორიტარმა დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ.

ფრაქციის თავმჯდომარის ბესო ჯუღელის აზრით, აღნიშნული საკითხი აუცილებლად დაისმება მთავრობისა და პრეზიდენტის წინაშე და ფრაქცია ყველანაირად ეცდება, მაჟორიტარი დეპუტატების მოთხოვნა გაითვალისწინოს. **"მე ყველაზე მეტად თბილისში მიწისძვრით დაზარალებულთა ბედი მაღელვებს. შარშან სახელმწიფო ბიუჯეტში ჩადებული იყო თანხები, რომელიც მოსახლეობამ ვერ მიიღო. ძველმა მთავრობამ ისინი მოატყუა, თუმცა მიმდინარე წლის ბიუჯეტში თანხები საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ამას ვერ შევეგუები,"** - განაცხადა ჯუღელმა.

ფრაქციის თავმჯდომარეს არ აკმაყოფილებს მთავრობის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მიწისძვრით დაზარალებულები დახმარებას ქალაქის ბიუჯეტიდან მიიღებენ, რადგან მოგების გადასახადი მთლიანად ქალაქის ბიუჯეტს დარჩება. **"რა გარანტია მაქვს, რომ თბილისის საკრებულო ამ თანხებს ბიუჯეტში გაითვალისწინებს?"** - კითხულობს ჯუღელი.

შენიშვნების მიუხედავად, არ გაგიკვირდეთ, რომ ფრაქციაც (კომიტეტების მსგავსად) აპირებს, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს მხარი დაუჭიროს.

შედარებით კრიტიკული იყო პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის კომიტეტი. აქ ითქვა, რომ 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი არ ასახავს რეგიონული თვითმმართველობის პრიორიტეტს. სხდომაზე განაცხადეს - აუცილებელია, რომ ქვეყანამ მიიღოს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების შესახებ კანონი და ცენტრალური და მუნიციპალური ქონების გამიჯვნის შესახებ კანონპროექტები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობას გააუმჯობესებს. აქაც გააპროტესტეს "სპეც-ტრანსფერების" გაუქმება:

**"გაუმართლებელია მიმდინარე წლის ბიუჯეტში სპეც-ტრანსფერების გაუქმება. იმის შიშით, რომ ადრე ეს ტრანსფერები გარიგების საფუძველი ხდებოდა, ის არ უნდა გაუქმდეს. დაფიქსირდეს კონკრეტული თანხა, რომელიც მხოლოდ ბიუჯეტის მიღების შემდეგ გადანაწილდება,"** - განაცხადა ხუხუნაიშვილმა.

კომიტეტში კვორუმის არარსებობის გამო გუშინ კენჭისყრა არ შემდგარა, თუმცა სავარაუდოა, რომ კომიტეტი ბიუჯეტს მხარს მაინც დაუჭერს.

# "Air France-KLM" მსოფლიოში უდიდესი კაპიტალბრუნვის მქონე ავიაკომპანია გახდა

მსოფლიოში სიდიდით მეშვიდე ავიაკომპანია "ეარ ფრანსის" და ჰოლანდიური მსხვილი ავიაკომპანია KLM-ის გაერთიანების შესახებ უკვე ოფიციალურად გამოცხადდა. "ეარ ფრანსმა" KLM-ის აქციონერებისაგან უკვე მიიღო აქციათა 89,22 პროცენტი, რომელთა საერთო ღირებულება 833 მილიონ ევროს შეადგენს. ამჟამად 21 მაისამდე ახალი ფასიანი ქაღალდების გაცვლისა და ემისიის მეორე ეტაპი მიმდინარეობს რის შემდეგაც კომპანია "ეარ ფრანსში" საფრანგეთის მთავრობის წილი 54,4-დან 44,7-მდე შემცირდება და ნაციონალური ავიაგადამზიდი კერძო კომპანია გახდება. რაც შეეხება მსოფლიოს ორი უმსხვილესი ავიაკომპანიის გაერთიანების ფაქტის შეფასებას, ავიაბაზარზე შეიქმნა მსოფლიოში უმსხვილესი, 19,24 მილიარდი ევროს ოდენობის მთლიანი კაპიტალბრუნვის მქონე ჰოლდინგი "Air France-KLM", რომელიც მგზავრთა გადაყვანის მასშტაბებით მხოლოდ "American Airlines" და "United Airlines" ჩამორჩება. აღსანიშნავია, რომ ახლად შექმნილი ჰოლდინგის მფლობელობაში 420 თვითმფრინავია (შედარებისათვის - "აეროფლოტს" მხოლოდ 78 თვითმფრინავი ჰყავს), რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხეში 226 მიმართულებით განახორციელებენ ფრენებს. კომპანიაში 106 ათასი ადამიანია დასაქმებული. ახლად შექმნილი ჰოლდინგის პრეზიდენტების განცხადებით, "Air France-KLM" ორივე ავიახაზის 100-პროცენტიანი მფლობელია და მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიის მთავრობა, ჯერჯერობით, KLM-ის აქციათა 51 პროცენტს, ანუ საკონტროლო პაკეტს ფლობს, სამი წლის შემდეგ იგი სრულად უნდა გადავიდეს ახალი ჰოლდინგის საკუთრებაში.

*ნინო ნარჩემაშვილი*

# საერთაშორისო სავალუტო ფონდს ესპანელი უხელმძღვანელებს

თორნიკე შარაშენიძე

საერთაშორისო სავალუტო ფონდს ახალი აღმასრულებელი დირექტორი ჰყავს. ეს გახლავთ ესპანეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი როდრიგო რატო, რომლის სახელსაც ესპანეთის ეკონომიკის აღორძინება უკავშირდება. სავალუტო ფონდის ხელმძღვანელად რატოს მოსვლა განაპირობა ესპანეთის არჩევნებში მმართველი კონსერვატიული პარტიის დამარცხებამ. ამის გამოისობით რატო ესპანეთის პოლიტიკურ არენას ჩამოშორდა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის "ხელმისაწვდომი" გახდა. რატომ სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პოსტზე გერმანელი ჰორსტ კიოლერი შეცვალა, რომელიც გერმანიის საპრეზიდენტო არჩევნებში იყრის კენჭს.

დაუწერელი შეთანხმების მიხედვით, საერთაშორისო სავალუტო ბანკის თავკაცის ვინაობას ევროპა ასახელებს, ხოლო მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელს აშშ ნიშნავს.

რატოს სავალუტო ფონდის თავკაცის პოსტში ეცილებოდა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ხელმძღვანელი, ფრანგი ჟან ლემიე. ლემიეს კანდიდატურას, მისი ქვეყნის გარდა, აქტიურად უჭერდა მხარს გერმანიაც, მაგრამ საბოლოოდ ევროპელებმა რატო არჩიეს იმ მიზეზით, რომ ლემიეს დანიშვნა ერთობ გააძლიერებდა საფრანგეთის გავლენას საერთაშორისო ორგანიზაციებში. ლემიემ კი ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი მიიღო ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკში.

აღსანიშნავია, რომ გერმანიისა და საფრანგეთის მიერ რატოს კანდიდატურის დაწუნება კიდევ ერთმა საინტერესო ფაქტმა განაპირობა: რატომ ევროკომისიას ამ ქვეყნების დაჯარიმებისაკენ მოუწოდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა და გერმანიამ რამდენჯერმე დაარღვიეს ევროკავშირის მიერ დაწესებული საბიუჯეტო დეფიციტის ნორმები. რატოს აქტიუარად დაუჭირა მხარი ევროკავშირის დანარჩენმა ნაწილმაც. გარდა ამისა, მისი კანდიდატურა მოიწონეს აშშ-მა და ლათინური ამერიკის ქვეყნებმაც.

რატოს ესპანურ მოღვაწეობას მაღალი შეფასება ეძლევა ეკონომიკურ წრეებში. ბოლო 8 წლის განმავლობაში ესპანეთის ეკონომიკა ყოველწლიურად 4-პროცენტიან ზრდას აჩვენებდა. უმუშევრობის მაჩვენებელი 25-დან 11 პროცენტამდე დაეცა. რატომ თავი გამოიჩინა საერთაშორისო ასპარეზზეც. კერძოდ, 2001 წელს, როცა არგენტინამ თავის ვალებზე დეფოლტი გამოაცხადა, მან ამ ქვეყანასა და სავალუტო ფონდს შორის მომრიგებლის როლი იკისრა და წარმატებითაც გაართვა თავი ამ მისიას: არგენტინასა და სავალუტო ფონდს შორის თანამშრომლობა აღდგა.

რატოს განთლება აშშ-ში აქვს მიღებული. კერძოდ, მან 70-იანების დასაწყისში ბერკლიში მიიღო ბიზნესადმინისტრაციაში მაგისტრის ხარისხი. იქამდე მას იურისტის განათლება ჰქონდა. აშშ-ში რატო "როლინგ სტოუნზის" ფანადაც იქცა. რატოს ადრე ესპანეთის პრემიერობის კანდიდატადაც განიხილავდნენ, მაგრამ, როგორც ამბობენ, საამისოდ მას პოპულისტობა აკლია - რატოს არ შეუძლია თამაში მასებზე, იგი საქმის კაცია.


საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს "საქართველოს ბანკის" აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს -

ჩვენ ჩავატარეთ ს.ს. "საქართველოს ბანკის" ("ბანკის") 2003 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული [illegible] 2002 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულია სხვა აუდიტორების მიერ, [illegible] 2003 წლის 27 თებერვლის თარიღით.

[illegible]

[illegible] 2003 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, [illegible]

10 მარტი 2004

მოგება-ზარალის ანგარიშგება
2003 და 2004 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისათვის
(ათას ლარებში)

| | 2003 | 2002 |
|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | | |
| სესხები | 30,004 | 23,195 |
| ფასიანი ქაღალდები | 2,295 | 1,924 |
| | 32,299 | 25,119 |
| საპროცენტო ხარჯი | | |
| დეპოზიტები | 5,347 | 4,648 |
| ნასესხები სახსრები | 2,533 | 2,536 |
| | 7,880 | 7,184 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის დანაკარგების რეზერვის ხარჯის გათვალისწინებამდე | 24,419 | 17,935 |
| ხარჯი სესხის დანაკარგების რეზერვზე | 4,105 | 951 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის დანაკარგების რეზერვის ხარჯის გამოკლების შემდეგ | 20,314 | 16,984 |
| საკომისიო შემოსავალი | 9,398 | 7,759 |
| საკომისიო ხარჯი | 3,022 | 2,842 |
| წმინდა საკომისიო შემოსავლები | 6,376 | 4,917 |
| მოგება მინუს ზარალი უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან | | |
| - რეალიზებული სავალუტო მოგება | 4,351 | 3,141 |
| - სავალუტო ცვლილებიდან გამოწვეული მოგება | (483) | (559) |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 2,395 | 1,147 |
| არასაპროცენტო შემოსავლები | 12,639 | 8,646 |
| ხელფასები და თანამშრომლების მიერ მიღებული სხვა სარგებელი | 9,060 | 7,731 |
| ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი | 2,231 | 1,403 |
| ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები | 8,584 | 7,479 |
| ხარჯები სესხის დანაკარგების რეზერვების მიხედვით | 1,493 | 522 |
| არასაპროცენტო ხარჯები | 21,368 | 17,135 |
| მოგება დაბეგვრამდე | 11,585 | 8,495 |
| მოგების გადასახადი | 2,431 | 1,391 |
| წმინდა მოგება | 9,154 | 7,104 |
| მოგება ერთ აქციაზე | 0.929 | 0.721 |

საბალანსო ანგარიშგება
(ათას ლარებში)

| | 31 დეკემბერი 2003 | 31 დეკემბერი 2002 |
|---|---|---|
| აქტივები | | |
| ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები | 43,626 | 33,867 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 16,117 | 13,497 |
| გაყიდვისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები | - | 9,396 |
| ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში: | | |
| - გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები | 445 | 445 |
| - ვადის გასვლამდე შენარჩუნებული ფასიანი ქაღალდები | 1,683 | - |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | 141,780 | 97,696 |
| ინვესტიციები შვილობილ და ასოცირებულ საწარმოებში | 604 | 143 |
| ძირითადი საშუალებები | 20,024 | 15,893 |
| არამატერიალური აქტივები | 2,025 | 2,380 |
| სხვა აქტივები | 3,818 | 3,390 |
| სულ აქტივები | 230,122 | 176,705 |
| ვალდებულებები | | |
| ვალდებულებები ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიმართ | 4,765 | 1,267 |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 47,637 | 30,829 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 121,408 | 96,939 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 771 | 51 |
| რეზერვები | 472 | 142 |
| სხვა ვალდებულებები | 428 | 847 |
| სულ ვალდებულებები | 175,481 | 130,075 |
| აქციონერთა კაპიტალი | | |
| სააქციო კაპიტალი | 9,856 | 9,856 |
| აქციებზე გადახდილი პრემია | 4,530 | 4,530 |
| რეზერვები | 15,325 | 14,365 |
| გაუნაწილებელი მოგება | 24,930 | 17,879 |
| სულ აქციონერთა კაპიტალი | 54,641 | 46,630 |
| სულ ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი | 230,122 | 176,705 |
| მომავალი ფინანსური გარიგებები და პირობითი ვალდებულებები | 46,130 | 30,957 |

ინფორმაცია 1% და მეტი ოდენობის წილის მფლობელი აქციონერების შესახებ

სახელი გვარი

შერაძე გიორგი ვლადიმერის ძე
სს "გაერთიანებული ქართული ბანკი"
სულაკაძე გულნარა ნოდარის ასული
ჩაჩარაძე ვიტალი ალექსანდრეს ძე
შარიქაძე ვალერიან აკაკის ძე
იარალიშვილი ნინო
ჩხიკვაძე მანანა რევაზის ასული
ასლანიშვილი [illegible] ასული
ბიწაძე ვლადიმერ ალექსანდრეს ძე
სულაკაძე ლევანი ნოდარის ძე
სს კბ "TBC-ბანკი"
შპს "ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"
გელოვანი ეკატერინე არჩილის ძე
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
DEG

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

# აფეთქებები ოლიმპიური თამაშების სამშობლოში

სამმა აფეთქებამ ათენის პოლიციის განყოფილების მახლობლად, აგვისტოში ოლიმპიური თამაშების გამართვის უსაფრთხოება ეჭვქვეშ დააყენა.

ბომბებმა, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით დროის მცირე მონაკვეთში აფეთქდა ათენის კალითეას რაიონში, შენობების ძლიერი დაზიანება გამოიწვია, თუმცა მსხვერპლი არ მოჰყოლია. აფეთქებამდე ათი წუთით ადრე, ერთ-ერთი გაზეთის რედაქცია მოსალოდნელი აფეთქების შესახებ ანონიმურმა ზარმა გააფრთხილა. სამართალდამცავებმა უმალვე რეაგირება მოახდინეს. პოლიციის შენობიდან ევაკუაცია მოხდა და მის გარშემო კორდონი მოაწყვეს. თავდასხმის მოტივაცია უცნობია. მომხდარზე პასუხისმგებლობა არავის აუღია, მაგრამ პოლიცია ვარაუდობს, რომ დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი მასალა სწორედ მიზანმიმართული ტერორის ხასიათს ატარებდა და მასობრივ მსხვერპლზე იყო გათვლილი.

ათენში აფეთქებები ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე თითქმის ასი დღით ადრე გაისმა. წელს სწორედ ათენი უმასპინძლებს ამ გრანდიოზულ სპორტულ ღონისძიებას და საბერძნეთის დედაქალაქში მილიონობით უცხოელი მოიყრის თავს. გუშინდელმა აფეთქებებმა კიდევ ერთხელ უნდა ჩააფიქროს ქვეყნის ხელისუფლება და შესაძლოა, უსაფრთხოებისათვის უკვე მიღებული ზომების გადახედვა გამოიწვიოს.

საბერძნეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ოლიმპიურ თამაშებთან გუშინდელი აფეთქებების რაიმე კავშირს კატეგორიულად უარყოფენ. "ოლიმპიურ სამზადისთან ამ ინციდენტს კავშირი არა აქვს," - ნათქვამია სახელმწიფო მინისტრის თეოდოროს რუსოპულოსის საჯარო განცხადებაში. "საბერძნეთის მთავრობამ ევროპის, აშშ-სა და ნატო-ს ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობით შექმნა უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომელიც ათენის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხო გარემოში ჩატარების გარანტიას იძლევა." პოლიციას მიაჩნია, რომ აფეთქებებთან დაკავშირებულნი არიან ადგილობრივი ჯგუფები და არა საერთაშორისო ტერორისტები.

ამასობაში, ათენის აფეთქების ექო მთელ მსოფლიოს მისწვდა. მომხდართან დაკავშირებით ავსტრალიამ გადაწყვეტილება მიიღო, თამაშების უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები სასწრაფოდ გადამოწმდეს. ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ბიბ ელფისტონმა განაცხადა, რომ ავსტრალია ყველა შემთხვევაში გაგზავნის გუნდს ათენში, თუმცა, ამასთანავე, ეჭვიც გამოთქვა, რომ შესაძლოა ზოგიერთი ათლეტი საბერძნეთში აღარ ჩავიდეს. "ნებისმიერი აფეთქება ათენში შემაშფოთებელია... ჩვენ წინ ვერ აღვუდგებით ცალკეული ათლეტების გადაწყვეტილებას ამასთან დაკავშირებით", - განუცხადა მან გუშინ ჟურნალისტებს. აღსანიშნავია, რომ ავსტრალია ათენის უსაფრთხოების მრჩეველთა ჯგუფის შემადგენლობაში შედის. აღნიშნულ ჯგუფში შვიდი ქვეყანაა წარმოდგენილი.



ბერძენ სამართალდამცავებს უსაფრთხოების ზომების გამკაცრება მოუწევთ.

"ასოშეიტედ პრესი" გუშინ ავრცელებდა კრეგ რიდის განცხადებას, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი და ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის პრეზიდენტი ამბობს, რომ არ არსებობს მტკიცებულებები აფეთქებების ოლიმპიადასთან პირდაპირი კავშირის თაობაზე. მაგრამ ამასთანავე, იგი დასძენს, რომ დარწმუნებულია, ეს ფაქტი ყურადღების მობილიზებას შეუწყობს ხელს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენელი, ჟიზელ დევისიც სრულად იზიარებს საბერძნეთის ხელისუფლების აზრს, რომ აფეთქებებს აგვისტოს თვეში დაგეგმილ ოლიმპიურ თამაშებთან კავშირი არ აქვს.

საბერძნეთის მთავრობა ინტენსიური ზეწოლის ქვეშ იმყოფება, რათა ოლიმპიადის უსაფრთხოება მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს. საფრთხე კი მრავლად არსებობს - წლევანდელი ოლიმპიადა პირველი დიდი გრანდიოზული ღონისძიებაა 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. უშიშროების სამსახურები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე არიან გადასულნი და უსაფრთხოების მიზნებისათვის გრანდიოზული თანხა - 1 მილიარდი დოლარია გამოყოფილი. საბერძნეთმა უკვე შეიმუშავა გეგმა, რომელიც ამ მიზნით 650 მილიონი ევროს დანახარჯს მოითხოვს და მის განსახორციელებლად 50 ათასი ადამიანი იქნება დაკავებული. ბერძნებმა ნატო-ს სტრუქტურებს სთხოვეს, დახმარება საჰაერო და საზღვაო პატრულების მეშვეობითაც გაუწიონ.

# პანამის არხი გაფართოვდება

რამდენიმე დღის წინ პანამამ პრეზიდენტად ყოფილი დიქტატორის ომარ ტორიოსის ვაჟი მარტინ ტორიოსი აირჩია. მარტინ ტორიოსიმ წინასაარჩევნო კამპანია მთლიანად მამამისის სახელს დაუკავშირა, რომელსაც ამერიკელებისაგან პანამის არხის გადმოცემა უკავშირდება. ახალ პრეზიდენტზე დიდწილად არის დამოკიდებული მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არხისა და, მთლიანად, პანამის მომავალი.

პანამის არხი მსოფლიო ვაჭრობისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არტერია და ქვეყნის შემოსავლების უმთავრესი წყაროა. დიდი გემები პანამის ხელისუფლებას ერთი გავლისათვის 250 000 ამერიკულ დოლარს უხდიან. ამჟამად, ყოველდღიურად პანამის არხი 38 დიდ გემს ატარებს. თუმცა, 90-წლიანი ისტორიის მქონე არხი მოთხოვნას ველარ აკმაყოფილებს. არხის გამტარუნარიანობა თანამედროვე დიდი ლაინერების პარამეტრებს არ შეესაბამება, რომელთა უმრავლესობა ჩინური საქონლით არის დატვირთული. არხის შეზღუდული შესაძლებლობების გამო, პანამა კლიენტებს კარგავს. არხის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად აუცილებელია მისი გაფართოება, რასაც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის პროგრამა ითვალისწინებდა.

ერთი შეხედვით, 80-კილომეტრიან არხს და ახალ მთავრობას კავშირი არ აქვს, რადგან პანამის კონსტიტუციით, პანამის არხის გამგეობის ავტონომია გარანტირებულია. გამგეობამ შეერთებული შტატების მთავრობისაგან 1999 წელს შექებაც დაიმსახურა, როდესაც არხის მმართველობა საბოლოოდ გადაეცა პანამის მხარეს. თუმცა, გამგეობის აქციების ერთადერთი მფლობელი პანამის მთავრობაა. პანამის მთლიანი შიდა პროდუქტის ერთი მესამედი არხის შემოსავლებთან არის დაკავშირებული.

დღემდე, დიდი გემების უმრავლესობა ე.წ. "პანამაქსის" სტანდარტით იგებოდა, რომელიც სიგანეში 32 მეტრი იყო, მაგრამ ახლა იაპონელი გემთმშენებლები უკვე გაცილებით განიერ და ტევად გემებს აშენებენ, რომლის გამოყენება გადამზიდავმა კომპანიებმა ინტენსიურად დაიწყეს.

კომერციული თვალსაზრისით, პანამის არხის ხელმძღვანელობას დიდი არჩევანი არ აქვს: ის ან გაფართოვდება, ან შემოსავლები უახლოეს მომავალში კიდევ უფრო შემცირდება. არხის გამგეობა, რასაკვირველია, გაფართოების გეგმას აირჩევს, რომელიც სხვადასხვა გათვლებით, დაახლოებით, 8 მილიარდი ამერიკული დოლარი დაჯდება. ეს ყველაზე დიდი ინვესტიცია იქნება მას შემდეგ, რაც არხი გაიხსნა.

# ჩრდილოეთ კორეამ ამერიკული დახმარება მიიღო

ჩრდილოეთ კორეა შეერთებული შტატებისაგან დახმარების მიღებას დათანხმდა, რომელიც გასულ თვეს მატარებლის აფეთქების შედეგად დაშავებულებს მოხმარდება. ვაშინგტონმა ფხენიანს 100 000 ამერიკული დოლარის დახმარება გამოუყო, რომელსაც "წითელი ჯვარი" გაანაწილებს.

მართალია, თანხა არცთუ ისე დიდია, მაგრამ მას უფრო მეტად სიმბოლური დატვირთვა აქვს. გაერო-ში ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენელმა ხან სუნ-სიოლმა აღნიშნა, რომ ეს დახმარება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. "ჩვენ საკმარისი ოდენობის სამედიცინო პერსონალი გვყავს. ჩვენ ყველაზე მეტად სამედიცინო აღჭურვილობა და მედიკამენტები გვესაჭიროება," - განაცხადა მან.

22 აპრილს ჩინეთის საზღვართან მომხდარი აფეთქების შედეგად, 150-ზე მეტი დაიღუპა და 1300 დაიჭრა. ტექნიკური გაუმართაობის გამო, სამგზავრო მატარებლის პარალელურად მომავალი, ნავთობით დატვირთული მატარებლის აფეთქება მოხდა. სწორედ ამ აფეთქებამ გამოიწვია სამგზავრო მატარებლის დაზიანება.


კიმ ჩენ ირი ამერიკული დახმარების მიღებას დათანხმდა.

ჩრდილოეთ კორეის ცუდად აღჭურვილ საავადმყოფოებს დაშავებულთა მიღება გაუჭირდათ. მომხდარს სასწრაფოდ გამოეხმაურნენ სამხრეთ კორეა, რუსეთი, ჩინეთი, ავსტრალია, გერმანია და იაპონია. მათ ჩრდილოეთ კორეას, ფაქტობრივად, ყველანაირი სახის დახმარება გაუწიეს.

გაერო-ში ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლის თქმით, ამერიკის მიერ გაღებულ ფულს, დაშავებულთა დახმარების გარდა, სხვა დატვირთვაც აქვს. "შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ფუნდამენტურ პრობლემას უნდობლობა წარმოადგენს, - აღნიშნა მან, - თუ ორი სახელმწიფო ამგვარი კონტაქტებით ნდობის აღდგენას შეძლებს, ეს ორმხრივ ურთიერთობებს გამოასწორებს."

ორი წლის წინ პრეზიდენტმა ბუშმა ჩრდილოეთ კორეას "ბოროტების ღერძის" სახელმწიფო უწოდა. ამერიკა ფხენიანისაგან მოითხოვს, რომ მან ბირთვული პროგრამები შეაჩეროს.

# ევროკავშირი კონსტიტუციის მისაღებად ემზადება

ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ბერტი აჰერნმა სამდღიანი ვიზიტი დაიწყო, რომლის დროსაც ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებთან კონსტიტუციის პროექტის საბოლოო ვარიანტს შეათანხმებს.

ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყნის - ირლანდიის პრემიერ-მინისტრი იმედოვნებს, რომ წევრ-სახელმწიფოებს კონსტიტუციის მიღებაზე დაითანხმებს.

აჰერნი ამ ვიზიტის დროს ექვს დედაქალაქს ეწვევა. პირველად იგი შვედეთში ჩავა, ხოლო შემდეგ - ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში და ფინეთში.

პარასკევს იგი ევროკავშირის ყველაზე დიდ ქვეყანას - პოლონეთს ეწვევა. ახალი წევრების მიღებიდან ჯერ ერთი კვირაც არ არის გასული, მაგრამ მათთან კონსტიტუციის პროექტის შეთანხმებაზე მოლაპარაკებები უკვე დაიწყო. ევროკავშირის კონსტიტუციის მიღების საკითხი, სავარაუდოდ, ივნისში დაგეგმილ სამიტზე განიხილება.

აჰერნი ცდილობს, გაიგოს წევრი-სახელმწიფოების მოსაზრებები ევროკავშირში ხმის მიცემის უფლებისა და ევროკომისიის მომავალი შემადგენლობის შესახებ. ამავდროულად, აჰერნს აინტერესებს, ვისი ხილვა სურთ რომანო პროდის შემდეგ ევროკომისიის პრეზიდენტად.

ევროკავშირის პრეზიდენტად გახდომის შემდეგ, მომავალი კონსტიტუციის შესახებ, ირლანდიამ წევრ-სახელმწიფოებთან დახურულ კარს მიღმა არაერთი შეხვედრა გამართა.

## მოკლედ

### კემბრიჯის უნივერსიტეტი ფართოვდება

თავისი რვაასწლიანი ისტორიის განმავლობაში კემბრიჯის უნივერსიტეტი ყველაზე ფართომასშტაბიან გაფართოებას გეგმავს. ერთი მილიარდი გირვანქა სტერლინგი სამი ახალი კოლეჯის მშენებლობაზე დაიხარჯება.

კემბრიჯის უნივერსიტეტის მესვეურები აცხადებენ, რომ აღნიშნული ინვესტიცია საშუალებას მისცემს მათ, რომ სტუდენტების რაოდენობა 25 პროცენტით გაზარდონ, რაც, დაახლოებით, 20 000-ზე მეტ სტუდენტს ნიშნავს. ამას გარდა, 2025 წლისთვის კემბრიჯის პერსონალის რაოდენობა გაორმაგდება. ახალი კოლეჯები ამჟამად არსებულ 31-ს დაემატება. ბოლო, რობინსონის კოლეჯი 1979 წელს იქნა აგებული.

კემბრიჯის უნივერსიტეტი აცხადებს, რომ გაფართოება აუცილებელია იმისათვის, რათა კემბრიჯმა მზარდი კონკურენციის პირობებში მსოფლიო ლიდერის სტატუსი შეინარჩუნოს.

ახალი კოლეჯების გარდა, აშენდება საცხოვრებლები უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის, აგრეთვე, კვლევითი ლაბორატორიები, პარკები და დასასვენებელი ადგილები.

### საარჩევნო მარათონში ლიტვის ყოფილი პრეზიდენტი მონაწილეობას ველარ მიიღებს

გუშინ ძალაში შევიდა ლიტვის სეიმის მიერ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილება, რომლის თანახმადაც, როლანდას პაკსასი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ველარ მიიღებს. პაკსასის რეგისტრაციაში გატარებამდე მოსასწრებად, ლიტვის საკანონმდებლო ორგანოს აღნიშნული შესწორების მიღება დაჩქარებული წესით მოუხდა.

ოთხშაბათს სახელმწიფო პრესაში ლიტვის კონსტიტუციის 56-ე მუხლში შეტანილი შესწორება გამოქვეყნდა და ამგვარად ოფიციალურად შევიდა ძალაში. ამ ნორმით იმპიჩმენტის წესით გადაყენებული პრეზიდენტი, ხუთი წლის განმავლობაში სეიმში არჩევის უფლებას კარგავს. ეს თანაბრად ნიშნავს პრეზიდენტის პოსტზე არჩევის უფლების წართმევასაც, რადგანაც ლიტვის პრეზიდენტი მხოლოდ სეიმში არჩევის უფლების მქონე პირი შეიძლება გახდეს.

შესწორება პირდაპირაა მიმართული პაკსასის წინააღმდეგ, რომელიც 6 აპრილს ლიტვის სეიმმა იმპიჩმენტის წესით გადააყენა.

"ლიტვაში არსებობს არა მხოლოდ ორგანიზებული დანაშაული, არამედ ორგანიზებული კანონიერებაც," - ირონიულად აცხადებს ყოფილი პრეზიდენტი და ასევე დასძენს, რომ რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში ის სასამართლოს მიმართავს. ხოლო ის, რომ ამგვარი უარი აუცილებლად იქნება, ეჭვგარეშეა.

ზოგიერთი განცხადებით, ლიტვის კანონმდებლებს ყოფილი პრეზიდენტის ხელმეორედ არჩევა ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის შელახვის ტოლფასად მიაჩნიათ და ამის თავიდან ასაცილებლად ყველა ღონეს მიმართავენ.

## მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი

### ბატონო პრეზიდენტო

ორი წლის წინ გლდანის ლომისის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ მიქაელ ასათიანის ხელმძღვანელობით შეიქმნა სრულიად საქართველოს ახალგაზრდული საზოგადოება “სულიერი ლაშქარი”. საზოგადოება “სულიერი ლაშქარი” შედგება სკოლის მოსწავლეებისაგან და იყოფა ორ ასაკობრივ ჯგუფად: უფროსი ჯგუფი, თორმეტი წლიდან 25 წლამდე და უმცროსი ჯგუფი, ექვსი წლიდან თერთმეტ წლამდე.

ჩვენმა მოძღვარმა მიზნად დაგვისახა, აღვიზარდოთ საქართველოს კეთილშობილი მოქალაქეები, ვისწავლოთ კარგად სკოლაში, ვიყოთ პატიოსნები, დავეხმაროთ გაჭირვებულებს, შევიძინოთ მრავალი მეგობარი, გვიყვარდეს ყველა ადამიანი, განურჩევლად ეროვნებისა თუ რელიგიური აღმსარებლობისა და დავიცვათ მათი უფლებები, დავიცვათ საქართველოს კონსტიტუცია და ჩვენი ქვეყნის ინტერესები, ვიბრძოლოთ მისი მთლიანობის აღდგენისათვის და ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებისათვის, სამუდამოდ აღმოვფხვრათ საქართველოში ეთნიკური კონფლიქტები.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ გერგოთ საკმაოდ ცუდი მემკვიდრეობა. წინა, კორუმპირებულმა, კლანურმა და კრიმინალურმა ხელისუფლებამ დაკარგა საქართველოს ულამაზესი კუთხეები: აფხაზეთი და სამაჩაბლო. დღეს საქართველოს უდგას რთული პერიოდი, ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ასლან აბაშიძე დღეს, ეს ქონდრისკაცი, სამშობლოს მოღალატე, რუსეთის ლაქია, თავის ვიწრო კრიმინალურ ჯგუფთან ერთად შეთქმულებას უწყობს ქართველ ერს და სულელური და სამარცხვინო აქციებით, ხიდების აფეთქებით ცდილობს აჭარის რეგიონის ჩამოშორებას დედა-სამშობლოსაგან.

ბატონო პრეზიდენტო, ამ უბედურების ჟამს, როდესაც მტერი ცდილობს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ფეხქვეშ გათელვას, ჩვენ - “სულიერი ლაშქრის” წევრები, ვდგავართ საქართველოს და მისი პრეზიდენტის გვერდით. ჩვენ აჭარელ თანატოლებთან ერთად ვიბრძოლებთ ჩვენი სამშობლოს მთლიანობის შესანარჩუნებლად. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქართველს, ყველა ჩვენს თანატოლს, დავდგეთ ერთად ჩვენი სამშობლოს სადარაჯოზე და დავუმტკიცოთ მთელ მსოფლიოს, რომ საქართველოს მოქალაქეები ღირსეული ადამიანები ვართ.

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენი მიმართვა თქვენდამი განაპირობა თქვენმა უზომო სიყვარულმა სამშობლოსადმი. ჩვენ ნათლად დავინახეთ თქვენი მონდომება საქართველოს მთლიანობის აღდგენისათვის. ძალიან გვიყვარხართ და გთხოვთ, ჩვენი თანადგომა მიიღოთ ასევე დიდი სიყვარულით.

გლდანის ლომისის წმ. გიორგის სახ. ეკლესიასთან არსებული სრულიად საქართველოს ახალგაზრდული საზოგადოება “სულიერი ლაშქრის” სახელით.

# ჟამი სიცილ-ტირილისა

ფრიდონ ხალვაში

*"ღმერთმა ნუ ჰქნას, მეორედ დაბრუნება დასჭირდეს დედა საქართველოსთან დაბრუნებულ აჭარას." -*

რატომ და რამ დამაწერინა ეს ათი წლის წინათ?

ძალიან გონჯი, აუტანელი წინათგრძნობები წამესიენ მაშინ. ჰავა, თანდათან, ბოღმიანი გამოხედვებით, ეჭვით, უნდობლობით, მოკლედ, - სიძულვილით იჟღინთებოდა.

მე ჯერ კიდევ მომაღლო სახელმწიფო სტრუქტურების სიახლოვეს შემომრჩენოდა მისასვლელები, მაგრამ აშკარად ვხვდებოდი, ამ სპექტაკლში ჩემთვის როლი უკვე აღარ იყო. სახელი, დამსახურება, პატივი თუ სხვა სასიკეთო რაღაც-რაღაცები, კვნესით და ცრემლით რომ მომიმცრევ-მომიგროვებია, ხელის შემშლელად ქცეულა, თითქმის იგი მისაფუჩეჩებელ-გადასამალი გახდა.

ერთი შეხედვით, თითქოს ვილაცას ძულხარ იმიტომ, რომ შენ ყველაფერი ის გიყვარს, რაც შენია, რაც ჩვენია. აი, ასეთი იყო ის ახლო წარსული, მაგრამ დღეს დღევანდელს შევხედოთ.

ერთი კვირის წინ დავიწყე ამ წერილის წერა. თავი ვერ მოვაბი, რადგან ყოველდღე ყველაფერი იცვლება. ახლა ვხედავ და მესმის, ჩოლოქთან სროლებია. ცაში ისვრიან, მაგრამ ის ჩემი ნაფერები ლაჟვარდი ცაც მეცოდება, თანაც მეშინია, - (ყმაწვილი ბიჭები ჩანან) არაფერი შეეშალოთ. ვერც მათ უფროსებს ვენდობი ბოლომდე.

დარწმუნებული ვარ, ახლა ბათუმს, აჭარას თავს დასტრიალებს მართალი მამულიშვილის მემედ აბაშიძის სული და თავის ღვიძლ შვილიშვილს, დამწუხრებულ-შეშფოთებული, ჩასძახის: - ჩემი ჯილაგის ერთაი ხარ, შვილო. გული არ ატკინო დედა-სამშობლოს, თუ რამ კარგი გიქნია, ალ-ალ უყავი, შეგშლია? - პატიება სთხოვე და ვისაც ჩვენებურები წაიძლოლიებენ, იმას ამოუდექი მხარში. აი, ამას გეუბნები, ღვიძლო ჩემო. ჩემი აჭარელი ძმებთან ერთად მე ხომ მუდამ საქართველოს ერთიანობასთან ვიდექი, შვილო! გირჩევ, გემუდარები, ასე მოიქეცი შენც, არ შემარცხვინო, არ შეურაცხჰყო ხსოვნა ჩემი, შვილო! საით მიგიშვერია თოფები, შვილო, შენ რაო, დედა-საქართველოსთან გინდა ომი მოიგო?! ასეთ ომში დამარცხებული დაგიძახონ მირჩევნია, რადგანაც ეს ჩვენი საერთო გამარჯვება იქნება...

ამას ამბობს დიდი წინაპრის სული.

ჩემი მშობელი მხარე ახლა ძალიან გულნატკენი და შეწუხებულია. დაანებეთ თავი ავტონომიის გამო შფოთ-დავას, - ფიქრობს აჭარა, - ჩემზე ქართული საქართველო სადაა. ახლა სულ სხვა საქმეა მისახედი, ჩვენს სულიერ და ფიზიკურ ერთობას ვერაფერი შეარყევს. მთავარია, ცალკეულმა გულბოროტმა შვილმა, ვილაცაზე გაჯავრებულმა, შურისძიების მიზნით, ნალმზე არ ააფეთქოს ბათუმის ულამაზესი და უმდიდრესი ეროვნული სიკეთენი.

გუშინწინ ბათუმის ქუჩაში ერთმა ჩვენებურმა გამაჩერა. ჩემზე ხნიერი ჩანდა. შენ მაინცო, - მომმართა, - უთხარიო მეთაურს, მემედის ბადიშს, პაპამისის ხათრით მაინც ჩავიდეს თბილისში, შეხვდეს, მოისაუბროს, თანადგომა, სიახლოვე, ძმობა აგრძნობინოს. ამფრათ, მოწყვეტილათ და სამშობლოსგან განდაგან რომაა იგი, ჩვენც, აქაურები, ყველაი, ამისთანები ვგონივართ თბილისს. ჩვენ ვერ მივაღწევთ და ვერ შევალთ მასთან. შენ? შენ მაინც უთხარიო, - დამიჩემა ჩვენებურმა.

როგორ გამემხილა, როგორ ამეხსნა მისთვის, რომ ვერც მე, ეს უკანასკნელი წლებია, ე.ი. ამ საუკუნეში, ორი ღერი სიტყვის სათქმელად ვერ მოვახერხე შევხვედროდი მას, "მეთაურს". ჩემი სამოცდათხუთმეტი წლისთავის იმედი მქონდა, მაგრამ იმ საღამოზეც "ვერ მობრძანდა".

ახლა ამებზე ლაპარაკი ღიმილსაც გამოიწვევს, რადგან, შესაძლოა, ასლან აბაშიძემ თავისი ახალი ადგილი ამ სამყაროში უკვე გამონახოს.

სხვა სიმწარე და წყენაც მახსოვს. თბილისში, რამდენიმე წლის წინათ, მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნაზე მეც სიტყვით გამოვედი. საღამოს კი, ჩემს თანაკუთხელებთან ერთად, იქვე, სანაპიროს ერთ სასადილოსკენ გავემართე, სადაც ჩვენები ვახშამს მართავდნენ.

შესასვლელთან გადამეღობა ქიქავა, ახლანდელი აჭარის სენატის მეთაური და, ჩემდა შემაძრწუნებლად, არ შემიშვა. სიაში არ წერიხარო (ალბათ, რადგან ჩემი მიტინგზე გამოსვლის ამბავი ავტონომიის ლიდერთან არ იყო შეთანხმებული, დამსაჯეს).

ახლა ასეთ პირად წყენებზე კი არა, სამშობლოს წყენაზეა ლაპარაკი და მაპატიეთ, ამ უმნიშვნელო შემთხვევაზე თუ შევჩერდი, მაგრამ ეს ხომ საერთო სიტუაციის ხასიათს გამოხატავს.

ახლა დიდი სიბრძნე არ სჭირდება იმას, თუ რა გზით უნდა იაროს ჩემმა აჭარამ. ეს ერთადერთი გზა საქართველოა.

მახსოვს, პარლამენტში ყოფნის ბოლო, 1999 წლის ბოლო სხდომაზე, განაპირად ვიჯექი და უცებ ვხედავ, მიხეილ სააკაშვილი (მაშინ ფრაქციის ხელმძღვანელი), გვერდით მომიჯდა. ახალ არჩევნებში ვისთან იქნებიო, მკითხა. აღარ ვიქნები ალბათ-მეთქი. რატომ, მოდი, ჩვენთან იყავიო. კი ბატონო-მეთქი, ვუპასუხე მადლიერებით, რადგან ვიცოდი, "აღორძინება" და მისი ლიდერი მე ახალ სიაში აღარ შემიყვანდა. ბატონი მიშა დაელაპარაკა ბ-ნ ზ. ჟვანიას, რომელსაც სხდომა მიჰყავდა. დაბრუნდა, მომახარა, საკითხი სასიამოვნოდ გადაწყდაო.

მაგრამ, შემოდგომაზე, საბუთების გაფორმების ჟამს, აღარ ჩამოვედი. ვიცოდი, ავტონომიის მეთაური ამას, რბილად რომ ვთქვათ, იწყენდა.

ბატონო პრეზიდენტო, გმადლობთ იმ დღისთვის და გმადლობთ დღევანდელი დღისთვისაც, როცა ასე მგზნებარედ, საოცრად ქართულად, ე.ი. ადამიანურად, საკაცობრიო ღირსებით, მიგყავთ მამულის საქმეები.

გთხოვ ძალიან, აჭარას ჩვეული თქვენეული სიფრთხილით და ნდობით კვლავაც მოეფეროთ. რა თავგანწირვითაც ავტონომიის სტატუსის გადასარჩენად ზოგიერთი იბრძვის დღეს, ასე რომ სამშობლოს ერთიანობისათვის ვიბრძოდეთ ყველანი, რაღა გვიჭირდა.

მაინც გთხოვ, ჩემო ძვირფასო დიდო კაცო, ცუდი, მწარე გამოთქმებით ნუ შელახავთ თქვენს ულამაზეს ისტორიულ ოქროსიტყვაობას. წინანდელ პრეზიდენტსაც, რომელიც წასულია (ნეტა ეგრე ბრძნულად ჩემი ავტონომიის მეთაურიც წასულიყო), ნუ ვაკადრებთ ცუდს.

ასეთი კადნიერება მაპატიეთ. ასაკით უფროსმა გაგიბედეთ, თანაც მიყვარხართ, - იმიტომ.

დაბოლოს, მე მარტო ჩემი მხარის კი არა, საქართველოს შვილი ვარ და ვთხოვ ასლანს, დაუთმოს ადგილი ახალ კაცს, ღირსეულს, ნაღდს, რომელიც შეგვარგებს მამულიშვილობას, გაამაგრებს და გააღრმავებს დედა-საქართველოსთან აჭარის სამარადისო ყოფნას.





# ღია წერილი ასლან აბაშიძეს

ბატონო ასლან, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს. ერთხანს გვჯეროდა კიდეც თქვენი პატრიოტიზმის და მივესალმებოდით, სხვა რეგიონებთან შედარებით აჭარაში მიმდინარე გარკვეულ აღმშენებლობით პროცესებს. თქვენ იცით, რომ ცნობილ პუბლიცისტს და ჟურნალისტს, აწ განსვენებულ ჯემალ ნინუას და ამ სტრიქონების ავტორს, თქვენი ვალი არ გვქონია, სხვებივით თქვენზე არანაირად არ ვყოფილვართ დამოკიდებული. შეკვეთით არაფერი გვითქვამს, გულწრფელად ვამბობდით და ვწერდით იმის შესახებ, რაც გვსურდა ყოფილიყო აჭარაში და სრულიად საქართველოში.

ჩვენთვის მიუღებელი იყო შევარდნაძის ხელისუფლება და გვეჩვენებოდა, რომ რაღაც ეტაპზე თქვენ მას სერიოზულ ოპოზიციონერობას უწევდით. თუმცა, ისიც ცხადი გახდა, რომ თქვენ "ფეოდალად" შევარდნაძემ ჩამოგაყალიბათ და აჭარის "შევარდნაძედ" გაქციათ. "მემკვიდრედაც" მიგიჩნევდათ, მაგრამ ხალხის ნების გამო ვერ შეძლო მისი პრაქტიკულად რეალიზება.

"ვარდების რევოლუციამ" თქვენს აღმასვლას წერტილი დაუსვა. თქვენ ვერ გახდით ზეპიროვნული ცნობიერების მატარებელი მოღვაწე, პრეზიდენტობისკენ სწრაფვამ შეგაძულათ ახალი ხელისუფლების ლიდერები და, კერძოდ, ქვეყნის ახალი და ენერგიული, პატრიოტი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ყოველივე ამის გამო თქვენ გადაამეტეთ უფლებამოსილებას, კიდევ უფრო მეტად არღვევთ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ქმნით უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებს, იარაღს ურიგებთ მოსახლეობას ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ, ახდენთ ქვეყნის სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირებას, რკინიგზის ლიანდაგების აყრას.

თქვენ ჩაიდინეთ გამოუსწორებელი შეცდომა და ააფეთქეთ ჩოლოქის და ქაქუთის ხიდები, აჭარის საზღვარზე აღმართეთ აჭარის დროშა და, ფაქტობრივად, ცდილობთ გამოხვიდეთ ქვეყნის სამართლებრივი სივრციდან. თქვენ აჭარას ქვეყანას ეძახით და ასხვავებთ მას სხვა რეგიონებისგან. არბევთ მხარის მოსახლეობას, ესვრით მომიტინგეებს, მათ შორის ჩემს კოლეგებს და სტუდენტებს. თქვენ მთლიანად დაკარგეთ რეალობის გრძნობა, აღმოჩნდით გარემოცვის მძევალი და შესაძლო მსხვერპლიც.

ახლა, როგორც ირკვევა, თქვენ ამოეფარეთ ზვიად გამსახურდიას სახელს. არაფერი გააკეთეთ დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალების თავიდან ასაცილებლად, არავითარი დახმარების ხელი არ გაუწოდეთ გროზნოში მყოფ საქართველოს პირველ პრეზიდენტს, რომელმაც მოგიყვანათ აჭარის ხელისუფლების სათავეში. თქვენ მასაც უღალატეთ.

ბატონო ასლან, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მდუმარების ყინული გალღვა, მდინარედ გადაიქცა და წალეკვით გემუქრებათ, ნუთუ თქვენ მთლიანად კარგავთ პატრიოტობასა და ქართველობას "სავარძლის" შენარჩუნების გამო. ნუთუ თქვენ ივიწყებთ თქვენს ბაბუას, დიდ მემედ აბაშიძეს, რომელიც ხმალამოღებული იბრძოდა საქართველოს ერთიანობისათვის.

23 ნოემბერს - გიორგობის დღეს - ხალხმა დაამხო შევარდნაძის რეჟიმი. თქვენ გაქვთ დიდი შანსი, 6 მაისს - გიორგობის დღეს, გადადგათ ღირსეული ნაბიჯი, ნებაყოფლობით, მშვიდობიანად წახვიდეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტიდან. ეს იქნება ყველაზე მისაღები და ბრძნული გადაწყვეტილება.

თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ, მაშინ მას დრო და ხალხი გადაწყვეტს. სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს. კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ გონიერებისკენ.

*იგორ კვესელავა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგე, პროფესორი, ჟურნალ "საისტორიო ვერტიკალების" მთავარი რედაქტორი.*

# გულწრფელი სიტყვები ბატონ ასლან აბაშიძეს

ბატონო ასლან, დრო მაიძულებს, ორიოდე სიტყვით მოგმართოთ, მე, აჭარის მკვიდრმა, ამჟამად საქართველოს დედაქალაქში მოღვაწე ადამიანმა. ჩემს ცხოვრებაში პროფესიული საქმის მეტი არაფერი მიკეთებია და არც მომავალში ვაპირებ სხვა რამეზე ფიქრს. ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ის იყო, რომ აჭარის შუაგულში - შუახევში დაბადებულ კაცს მომეცა შესაძლებლობა, ვყოფილიყავი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი ავტორი და მოწაფე დიდი სერგო ჯორბენაძისა. საქართველოს დედაქალაქს ამ 20-30 წლის მანძილზე აჭარიდან მოაწყდა ნიჭიერი ახალგაზრდების მთელი არმია და გაივსო ქვეყანა სწავლული ხალხით. 30-ოდე წლის წინ მარტო შუახევის რაიონს, თუ არც ერთი პროფესორი არ ჰყავდა, ახლა მათი რიცხვი ორ ათეულზე მეტია. ყოველივე ამან აჭარლებს მოგვცა იმისი ენერგია, რომ მოკლე დროში დაგვემარცხებინა მძიმე წარსული და დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობაში სერიოზული წვლილი შეგვეტანა, ხაზგასმით გვეჩვენებინა ჩვენი მტკიცე, უღალატო და ანდრია მოციქულისგან დამოძღვრილი ქართველობა. იყო დრო, ჩვენ - აჭარლებს, ავტონომიური მმართველობა სირცხვილადაც კი მიგვიჩნევია და მგონი ახლაც გულში ასე ფიქრობს ამ კუთხეში მცხოვრები ყველა ქართველი. თუმცა ეს ახლა განსჯის საგანი არ არის და არც არავინ აპირებს მის გაუქმებას.

ბატონო ასლან, ბედმა გარგუნათ, საქართველოს პირველ პრეზიდენტს, სულმნათ ზვიად გამსახურდიას თქვენზე შეეჩერებინა არჩევანი და ჩემი კუთხის წინამძღოლი გამხდარიყავით. ერთ დროს მეც ვფიქრობდი, რომ დედა-საქართველოსთან აჭარის შემოერთებისათვის მებრძოლ გმირთა შთამომავალი ხელს შეუწყობდით ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას და აჭარის ავტონომიის გასაუქმებლად თავს თუ არ გადადებდით, ქართულ სამართლებრივ სივრცეში მისი მოკრძალებული ადგილის მიჩენაზე მაინც იფიქრებდით. სამწუხაროდ, საქმე ისე წავიდა, რომ ჩემს კუთხეში ნებით თუ უნებლიეთ, თქვენ შექმენით ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაც სერიოზულად აზიანებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეას და აშკარად წყალს ასხამს იმათ წისქვილზე, ვისაც არ სურს ჩვენი ქვეყნის ერთიანობა.

ბატონო ასლან, როგორც მეცნიერმა, გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ ავტონომიური მართვა-გამგეობის ზოგიერთი ნიშან-თვისება ნამდვილად ვერ ჯდება ქართული სახელმწიფოს ინტერესებში და დიდი იურისტობა არაა საჭირო ამის გამოსარკვევად. სამწუხაროდ, გაუგებრობის მიზეზი ხდება ის, რაც ადვილად გასაგებია. ამდენი ამბავი რომაა ატეხილი, ცენტრსა და რეგიონს შორის კომპეტენციები გაუმიჯნავიაო, მაშინ რაღა უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლი, რომელიც დეტალურად ჩამოთვლის "მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ" საკითხებს. ვწუხვარ, რომ "ვერცხლისმაძიებელმა" მრჩევლებმა ცუდი სამსახური გაგიწიეს თქვენც და მთელ ჩვენს ქვეყანას. სამწუხაროა, უთანხმოების მიზეზი ამ მე-3 მუხლის პირველ პუნქტთან დაპირისპირება რომაა, თორემ ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ერთობლივი გამგებლობის მოწესრიგებასა და ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრას ადვილად ეშველება. იმედი მაქვს, რომ ამ მიმართებით დაჩქარდება საქმე. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს, მანამ ჩვენ ხომ მოქმედი სამართლით ვცხოვრობთ. ჩვენთვის სამართალი ხომ ისაა, რაც არის (რაც უნდა შესრულდეს) და არა ის, რაც უნდა იყოს. არარსებული სამართლით ცხოვრება და მოქმედება თავდაყირა აყენებს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას და უწესრიგობისა და განუკითხაობის საფუძველი ხდება. კანონს მოწონების მიხედვით კი არ ასრულებენ, კანონისადმი პატივისცემა "ხასიათის პოეზია" კი არაა, არამედ ესაა ნებისმიერი ადამიანის უპირველესი ვალდებულება. ყოველი ადამიანი მხოლოდ კანონისადმი პატივისცემაში ვლინდება, როგორც ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე. თუ კანონია "დამნაშავე" თავისი ხარვეზიანობის გამო, ეს არავის არ გვაძლევს უფლებას, კანონმდებელს დაუმორჩილებლობა გამოვუცხადოთ და განზე გავდგეთ. დედამიწაზე სამართალზე უკეთესი შუამავალი არავის მოუფიქრებია და არც ახლა, მძიმე განსაცდელის ჟამს, არ მინდა რომ ამ მხრივ ჩვენ იმედგადაწურულები ვიყოთ. მთავარია, გვქონდეს მისდამი პატივისცემა და რიდი. მე მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, ყველა ღონე იხმაროს საიმისოდ, რომ მან არ გამოიყენოს ყველაზე უკიდურესი სამართლებრივი საშუალება, როგორიცაა სახელმწიფოებრივი წესრიგის ძალით დამყარება. ის, რაც თქვენი მხრიდან ხდება, სამწუხაროდ, ეს მოწოდებაა ძალის გამოყენებისაკენ. იმედი მაქვს, რომ ორმხრივი გონიერების გამოჩენით ამ კრიზისიდან ჩემი ქვეყანა მშვიდობიანად გამოვა.

ბატონო ასლან, ის რასაც აჭარის ხელისუფლება აკეთებს ახლა, ამ დაძაბულ ვითარებაში, აშკარად ეწინააღმდეგება ჩვენი წინაპრების ბრძოლას საქართველოს ერთიანობისათვის. რამდენსაუკუნოვანი ენერგია დასჭირდა ქართველს ხალხს, რომ აჭარა საბოლოოდ შესისხლხორცებოდა ერთიან ქართულ სხეულს. რამდენი თავდადებული ადამიანი შეეწირა ამ მამულიშვილურ საქმეს, რომელთა შორის თქვენს უშუალო წინაპრებსაც უღვრიათ სისხლი. ახლა კი, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი სინამდვილე მარტივად მეტყველებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ. ის, რაც ხდება ჩემი კუთხის ხელისუფლების მხრიდან, ხელს უწყობს საქართველოს დაშლას და მკვდარ წარსულში დაბრუნებას. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ ეს მოდის სუფთა ქართული სისხლით მოსახლე კუთხის ხელისუფლებიდან. მე კარგად ვიცნობ ჩემი თანაკუთხელების განწყობილებას და ისინი ნამდვილად უბრალონი არიან ამაში.

ბატონო ასლან, ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ, თუ უდანაშაულო ადამიანების სისხლი დაიღვრება, მისი მოწმენდა არა თუ ძნელი, არამედ საერთოდ შეუძლებელი იქნება. ხელისუფლება, მოგწონს თუ არ მოგწონს, ის შენი ხელისუფლებაა და ვალდებული ვართ, პატივი ვცეთ ქვეყნის სამართლებრივ წესრიგს, ვინაიდან ხელისუფლებაში ვლინდება სახელმწიფო.

ბატონო ასლან, თქვენმა გარემოცვამ დროის შეგრძნება დაგაკარგვინათ. თქვენ გახდით მაამებელთა და მლიქვნელთა აგრესიის მსხვერპლი. აბა რა იმისი დროა, XXI საუკუნეში ადამიანი იჩემებდეს ამა თუ იმ კუთხის მემკვიდრეობით მართვას. წოდებრივი სამართლის ეპოქა შორეულ წარსულშია დამარხული და როგორც მკვდარი ვერ გაცოცხლდება, ისე შეუძლებელია მისი რეანიმაცია. თავისთავად კეთილშობილურ წარმომავლობაში არაფერია ცუდი, მაგრამ ეს დღეს ვერ გამოდგება პრივილეგიების წყაროდ. თანამედროვე დემოკრატია სახელმწიფოს სრულუფლებიან სუბიექტად მოქალაქეს თვლის და მნიშვნელობას არ ანიჭებს მის წარმომავლობას. აქაც ამგვარმა "ჯადოქრობამ" თავისი გაიტანა და გონება აგიმღვრიათ ჩვენი დროისათვის შეუთავსებელი იდეებით.

ეს მოკლე წერილი იმ იმედით მინდა დავამთავრო, რომ ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდება და ჩემი სიტყვები ოდნავ მაინც წაგადგებათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

*ბესარიონ ზოიძე*
*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კერძო სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

# ჭადრაკში ქალთა შორის 2004 წლის მსოფლიო პირველობის მონაწილე ქართველი დიდოსტატების, ლელა ჯავახიშვილის და ანა მათნაძის განცხადება

ჩვენ, ჭადრაკში ქალთა შორის 2004 წლის მსოფლიო პირველობის მონაწილე ქართველი დიდოსტატები, ვცდილობდით რა, რომ არ ყოფილიყო ჭადრაკი ჩათრეული პოლიტიკურ ბრძოლაში, ვაკეთებდით შესაბამის განცხადებებს მასმედიის საშუალებებით; კერძოდ, იმის შესახებაც, რომ მხარს ვუჭერდით მსოფლიო პირველობის ჩატარებას საქართველოში, ბათუმში, ვფიქრობდით რა, რომ ეს იქნებოდა ერთ-ერთი საშუალება შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვისა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ბოლოს გაიმარჯვა ჯანსაღმა აზრმა და გადაწყდა მსოფლიო პირველობის ჩატარება ელისტაში (ყალმუხეთი, რუსეთი). ჩვენ დავეთანხმეთ ფიდე-სა და ჩემპიონატში მონაწილე მოჭადრაკეებს შორის დადებული ხელშეკრულების ყველა პუნქტს და მოვაწერეთ ამ ხელშეკრულებას ხელი. 2 მაისიდან ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა კიდევ უფრო მძიმე პოლიტიკური სიტუაცია, რაც გამოიხატა აჭარის მთელი საქართველოდან იზოლაციაში და ასლან აბაშიძის არადემოკრატიულ, არაკანონიერ ქმედებებში. ამასთან დაკავშირებით, ვაკეთებთ შემდეგ ოფიციალურ განცხადებას:

როგორც ჭადრაკში ქალთა შორის 2004 წლის მსოფლიო პირველობის მონაწილენი, ფიდე-ს პრეზიდენტს ბ-ნ კირსან ილუმჟინოვს, ვიცე-პრეზიდენტებს ბ-ნ გიორგიოს მაკროპულოსს და ბ-ნ ზურაბ აზმაიფარაშვილს მივმართავთ: ჩვენთვის, როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის, არა მარტო შეურაცხმყოფელია, არამედ მიუღებლად მიგვაჩნია და სასტიკად ვგმობთ მსოფლიოს პირველობაზე, ამ უდიდეს საჭადრაკო ფორუმზე, აჭარის ე. წ. პრეზიდენტის ასლან აბაშიძის სახელობის თასის გათამაშებას, რის შესახებაც ინფორმაცია გავრცელდა ტელევიზიით. ამიტომ მოვითხოვთ ამ თასის გათამაშების გაუქმებას და თუ ფიდე ჩვენს მოთხოვნას უგულებელყოფს, ამ უდიდესი ფორუმის მონაწილე მსოფლიოს 30 ქვეყნის წარმომადგენელ დიდოსტატ ქალბატონებს ვთხოვთ, ნებისმიერმა, ვინც მოიპოვებს ამ თასს, ჩვენი მხარდაჭერა გამოხატოს მასზე უარის თქმით.

*საერთაშორისო დიდოსტატები:*
*ლელა ჯავახიშვილი,*
*ანა მათნაძე*

# შესაძლოა, უშიშროების გენერალ-მაიორს ბრალდება დაუმძიმდეს

*უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი ლევან კენჭაძე, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით, გუშინ მეორედ წარდგა უზენაესი სასამართლოს წინაშე და ამჯერადაც უშედეგოდ... გენერალური პროკურატურის და მართლმსაჯულების პოზიციები კვლავ უცვლელია - უშიშროების გენერალ-მაიორი სამთვიან წინასწარ პატიმრობას №5 საპყრობილეში გაატარებს.*


*ლევან კენჭაძე*

თამარ კაციტაძე

წლების განმავლობაში სხვადასხვა მძიმე დანაშაულთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ მაღალჩინოსანს დღეს გამოძიება ანტიტერორისტული ცენტრის კუთვნილი იარაღის უკანონო ჩამოწერისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ბოროტად გამოყენებაში ედავება, რაც ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მართალია, ლევან კენჭაძემ დაპატიმრებისთანავე დუმილი აირჩია, ხოლო მისი ადვოკატი თალაკვაძე ამ ხნის განმავლობაში კენჭაძის უდანაშაულობაზე საუბრობს, მაგრამ მათი პოზიცია, ჯერჯერობით, სარწმუნოდ არავის მიუჩნევია.

**"გამოძიება ლევან კენჭაძეს იარაღის ჩამოწერას ედავება, თუმცა რაიმე ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაამტკიცებს, რომ კენჭაძეს, როგორც ანტიტერორისტული ცენტრის უფროსს, ამგვარი ქმედების განხორციელების უფლება არ ჰქონდა, არ არსებობს. სადავო იარაღი რეალურად განადგურებულია, რაზეც შესაბამისი აქტიც არსებობს",** - ამბობს ყოფილი მაღალჩინოსნის ადვოკატი.

გამოძიებას ადვოკატისგან განსხვავებული ვერსია აქვს. სამართალდამცველთა ვარაუდით, ანტიტერორისტული ცენტრის კუთვნილი იარაღი, რომელიც კენჭაძემ თითქოსდა კანონიერად ჩამოწერა და ასევე კანონიერად რუსთავის ტერიტორიაზე გაანადგურა, უბრალოდ რომ ვთქვათ, ფარსია. არაოფიციალური ინფორმაციით, მაღალჩინოსნის ხელშეწყობით იარაღი პანკისის ხეობაში ჩეჩენ მებრძოლებზე გაიყიდა. შეძლებს თუ არა გამოძიება აღნიშნული ვერსიის დამტკიცებას, მომავალი გვიჩვენებს; მაგრამ ფაქტია, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელს - პაატა ტყეშელაშვილს თავად ლევან კენჭაძის დანაშაულში ეჭვი აღარ ეპარება და აცხადებს, რომ მისი ბრალეულობის დასამტკიცებლად გამოძიებას ამ ეტაპზე საკმარისი მტკიცებულებები უკვე გააჩნია.

გენპროკურატურაში არსებული მასალების თანახმად, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა 1999-2000 წლებში უშიშროების სამინისტროს ბალანსზე არსებული რამდენიმე ათეული სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი უკანონოდ ჩამოწერა და იგი შპს "კავკასიონი - 1" -ს გადასცა.

**"კენჭაძემ შპს "კავკასიონი -1"-ს თავდაპირველად ორი ავტომატი თითქოსდა ექსპერიმენტისთვის გადასცა. მოგვიანებით იგივე მიზნით გაიცა კიდევ ორი ავტომატი, შემდეგ კი მთელი არსენალი - ავტომატები, ყუმბარმტყორცნები და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი",** - განაცხადა ჩვენთან საუბარში გამომძიებელმა.

გამოძიებას ეჭვი აღარ ეპარება, რომ ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა სახელმწიფოს კუთვნილი იარაღი უკანონოდ ჩამოწერა. ეს მოწმეთა დაკითხვით ფაქტობრივად დასტურდება კიდეც. ჩვენი ინფორმაციით, ანტიტერორისტული ცენტრის წევრები, რომლებიც თითქოსდა უვარგისი, ჩამოსაწერი იარაღით თვეების მანძილზე სარგებლობდნენ, აღნიშნავენ, რომ მათზე განპიროვნებული იარაღი საბრძოლო მდგომარეობაში იყო და მათი გამოყენება კიდევ დიდხანს შეიძლებოდა. სადავო იარაღი ამერიკიდან ჩამოტანილი ახალი შეიარაღებით შეიცვალა, რის გამოც ისინი ანტიტერორისტული ცენტრის საწყობში ინახებოდა.

ალბათ, გამოძიება შეეცდება იმის დოკუმენტურად დამტკიცებას, რომ სადავო იარაღი "კავკასიონ 1"-ს გადაეცა, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნული იარაღის ჩამოწერის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე სამხედრო პროკურატურაში ჯერ კიდევ ორი წლის წინათ აღიძრა. სწორედ იმ დროს "კავკასიონ 1"-ის დამფუძნებლებმა - კონჭარიამ და ხარბედიამ - ფირმა ლიკვიდურად გამოაცხადეს და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი გაანადგურეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ჩვენება მისცა დღევანდელ გამოძიებას ხარბედიამ, რომელიც წარსულში გამომძიებელი იყო და კარგად იცის, რას ნიშნავს გამოძიებისთვის დოკუმენტი; მით უმეტეს, რომ მათი განადგურებისთვის კანონმდებლობა არანაირ სასჯელს არ ითვალისწინებს.

ერთი სიტყვით, გამოძიება გრძელდება და, როგორც პაატა ტყეშელაშვილი გვარწმუნებს, ანტიტერორისტული ცენტრის იარაღის უკანონო ჩამოწერაში ლევან კენჭაძის ბრალეულობა კიდევ უფრო მყარდება; თუმცა გამომძიებელი არც იმას გამორიცხავს, რომ შესაძლებელია ამ საქმეში სხვა მაღალჩინოსნების გვარებიც ამოტივტივდეს, რომლებსაც შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

და კიდევ ერთი, რაც საზოგადოებას ყველაზე მეტად აინტერესებს - უშიშროების გენერალ-მაიორის გვარია გაჟღერებული თბილისში, აეროპორტის გზატკეცილიდან გატაცებული ორი ესპანელი ბიზნესმენის - ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესისა და ფრანცისკო როდრიგეს კაბალას საქმეშიც. როგორც უკვე ცნობილია, ტყვეობიდან დახსნილმა ბიზნესმენებმა მადრიდში ჩვენება მისცეს ესპანეთის უშიშროებისა და შს მინისტრებს. მათ, სხვა გამტაცებლების გვარებთან ერთად, ქართველი მაღალჩინოსანი ლევან კენჭაძეც დაასახელეს.

ესპანელ ბიზნესმენთა ჩვენებები თვეების მანძილზე დევს საქართველოს გენერალურ პროკურატურაშიც, მაგრამ დღემდე ამ საქმის ირგვლივ უშიშროების გენერალ-მაიორი არავის დაუბარებია. აქედან გამომდინარე, კენჭაძის როლს გატაცებაში არანაირი შეფასება არ მისცემია.

**"გენერალურ პროკურატურაში ესპანელი ბიზნესმენების გატაცების საქმის შემოწმება უკვე დაწყებულია. იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთება კენჭაძის ბრალეულობა, თავისთავად ცხადია, მისი ბრალდებები გაიზრდება, რის შემდეგაც ეს ორი საქმე გაერთიანდება და გამოძიებაც ერთობლივად გაგრძელდება",** - გვითხრა კენჭაძის საქმის გამომძიებელმა.

ჩვენი ინფორმაციით კი, ლევან კენჭაძის დაკავების მიზანი სწორედ ესპანელი ბიზნესმენების გატაცების საქმის ბოლომდე გახსნაა.


**საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი**

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**

**აცხადებს კონკურსს**

**ვაკანტურ თანამდებობაზე**

**მონაცემთა მოზიდვის სისტემის, ინფრასტრუქტურისა და სწავლების კონსულტანტი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაგეგმილი აქვს გააუმჯობესოს მართებულ მონაცემთა დროული მიწოდება და ურთიერთგაცვლა ერთის მხრივ, სკოლებს, რაიონულ და სამხარეო განათლების განყოფილებებსა და ოლქებს, ადგილობრივ მმართველობით ორგანოებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებს და, მეორეს მხრივ, განათლების მართვის, ადმინისტრირების, დაგეგმვისა და პოლიტიკის ანალიზისა და კვლევის სპეციალისტებს შორის განათლების სისტემის ყველა დონეზე. "განათლების განმტკიცებისა და გარდაქმნის პროექტის" ფარგლებში შესაბამისი ახალი მართვის სისტემების შექმნა, დანერგვა, განვითარება, ამ სისტემების ახალ მართვის საინფორმაციო სისტემად ინტეგრირება და ზედამხედველობა ევალება "განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის" (გმსს) ქვეკომპონენტ B2-ს.

მონაცემთა მოზიდვისა და ინტეგრირების მოქნილი სტრატეგიებისა და სისტემების მხარდასაჭერად და გასავითარებლად პროექტი საჭიროებს ადგილობრივ გრძელვადიან კონსულტანტს მონაცემთა მოზიდვის, ინფრასტრუქტურისა და სწავლების საკითხებში. მოცემული პიროვნების ვალდებულება იქნება ჩამოაყალიბოს სხვადასხვა სტრატეგიები, შეიმუშაოს და განახორციელოს გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სკოლიდან და სამხარეო განყოფილებებიდან მართებული მონაცემების დროულად მოზიდვას თანამედროვე კომპიუტერულ და საინფორმაციო ტექნოლოგიებსა ან/და ქაღალდზე შევსებული ფორმებზე დაყრდნობით.

**ძირითადი მოვალეობები:**

1. მონაცემთა მოზიდვა

1) ყველა სამხარეო და მუნიციპალური რგოლის მონაცემთა კომპიუტერული შეყვანისა და მოზიდვის, არსებული კადრების. რესურსების დონის/ხარისხისა და არსებული ინფრასტრუქტურის წარმადობისა და მზადყოფნის შეფასება.

2) ყველა სამხარეო და მუნიციპალური რგოლის კოდიფიცირება მზადყოფნის მიხედვით.

3) სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავება მზადყოფნის დონის/ხარისხის გასაუმჯობესებლად ინფრასტრუქტურიდან (არა მხოლოდ კომპიუტერების) და წვრთნის მოთხოვნებიდან გამომდინარე თითოეულ კონტექსტში.

4) სკოლებსა და სამხარეო რგოლებს და სამხარეო რგოლებსა და სამინისტროს შორის თანამშრომლობის, პროცესებისა და მონაცემთა გაცვლის პრინციპების შემუშავება.

5) მონაცემთა შეტანის კომპიუტერული პროგრამის დანერგვა სამხარეო რგოლებში.

6) სამხარეო და მუნიციპალური რგოლების სხვადასხვა წყაროებიდან და სხვადასხვა ტიპის მონაცემთა შეტანაში, შეერთებასა და აგრეგირებაში დახმარება და ხელშეწყობა.

7) მონაცემთა შეტანის მართებულობის, მონაცემთა გაცვლისა, აგრეგირებისა და დამუშავების მონიტორირება და უზრუნველყოფა ყველა დონეზე.

8) სკოლებში კომპიუტერების დადგმის ხელშეწყობა და დახმარება.

2. მონაცემთა აგრეგირება

1) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიგნით (მაგ. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და კადრების განყოფილებას) და სხვა გარე უწყებებთან (მაგ., სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ფინანსთა სამინისტრო და სხვ.) მონაცემების გაცვლის პრობლემების განსაზღვრა.

2) გარე წყაროებიდან მიღებული მონაცემების არსებულ საგანმანათლებლო მონაცემებთან აგრეგირების სტრატეგი(ებ)ისა და პროცედურების შემუშავება.

3) შესაბამისი სპეციფიკაციების შემუშავება

**3. ინფრასტრუქტურა**

1) სამხარეო და მუნიციპალურ დონეებზე სპეციფიკაციებისა და ინფრასტრუქტურის მოთხოვნების შემუშავება მონაცემების მოზიდვის, შეტანის, დამუშავების, მომსახურებისა და გაცვლის უზრუნველსაყოფად (ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით).

2) განახორციელოს მოცემული ინფრასტრუქტურის სამხარეო და მუნიციპალური რგოლების აღჭურვა განსაზღვრული სპეციფიკაციით.

3) სკოლების დონეზე სპეციფიკაციებისა და ინფრასტრუქტურის მოთხოვნების შემუშავება მონაცემების მოზიდვის, შეტანის, დამუშავების, მომსახურებისა და გაცვლის უზრუნველსაყოფად (ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით).

4) დახმარება გაუწიოს სამხარეო და მუნიციპალური რგოლებს ინფრასტრუქტურით გათვალისწინებული სკოლების აღჭურვაში განსაზღვრული სპეციფიკაციით.

4. სწავლება

1) მონაცემთა მოზიდვის ფორმების გამოყენების სასწავლო გეგმების შემუშავება სამხარეო და მუნიციპალური დონეებისათვის (როგორ უნდა შეავსონ სკოლებმა ახალი ფორმები - ქაღალდზე ან ელექტრონული ფორმით).

2) მონაცემთა მოზიდვის ფორმებთან დაკავშირებული წვრთნების ორგანიზება და ჩატარება სამხარეო და მუნიციპალურ დონეებზე.

3) მონაცემთა შეტანისა და შეერთების სასწავლო გეგმების შემუშავება სამხარეო და მუნიციპალური დონეებისათვის.

4) მონაცემთა შეტანასა და შეერთებასთან დაკავშირებული წვრთნების ორგანიზება და ჩატარება სამხარეო და მუნიციპალურ დონეებზე.

კვალიფიკაცია და მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება ადმინისტრირების/მართვისა და/ან ინფორმატიკის/კომპიუტერების დარგში;
- ქსელებისა და მონაცემთა ბაზების ადმინისტრირებისა და მართვის სამუშაო გამოცდილება (სასურველია მართვის საინფორმაციო სისტემებში);
- ტექნიკური სპეციფიკაციებისა და დავალებების შედგენის გამოცდილება;
- განათლების რეფორმის საკითხების ღრმა ცოდნა;
- რთული ქსელური ტიპის ინფრასტრუქტურის მართვისა და ადმინისტრირების გამოცდილება (არანაკლებ 3 წელი);
- მოზრდილთა სწავლებისა და წვრთნის გამოცდილება;
- თვითმოტივირებული, მიზანდასახული, სხვადასხვა პროფესიისა და პიროვნული თვისებების მქონე ხალხთან მუშაობისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოგზაურობის გამოცდილება და შესაძლებლობა;
- წერისა და საუბრის უნარ-ჩვევები;
- სასურველია ინგლისური ან/და სხვა უცხოური ენის ცოდნა.

ანგარიშგება

კონსულტანტი ყოველთვიურად ანგარიშვალდებულია "განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის" ჯგუფის ხელმძღვანელისა და საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის წინაშე.

**ხანგძლივობა და ხელშეკრულება:**

თანამდებობა სრულ განაკვეთიანია. დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში ხელშეკრულება გაგრძელდება ყოველწლიურად.

ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
**0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.**
**ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13 F**
**ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net**
**საკონტაქტო პირი: ქ-ნი ეკა ეზუგბაია**

წარმოსადგენი განაცხადების სტანდარტული ფორმები (ელექტრონული ვერსია) შეგიძლიათ მიიღოთ განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრში ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 14 მაისი.**

**შენიშვნა:**

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.


# ვითარება განმუხტულია და კონტროლირებადი

ახალქალაქის რაიონის სოფელ აზმანაში ქართველ და სომეხ მოსახლეობას შორის გუშინწინ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველომ სპეციალური განცხადება გაავრცელა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ახალქალაქში აჭარიდან ჩასახლებულ ქართველებსა და სომხებს შორის მომხდარ კონფლიქტს აჭარის ავტონომიის მოვლენებთან კავშირი არ აქვს და ის უკვე ამოწურულია.

შეგახსენებთ, გუშინწინ ახალქალაქის რაიონის სოფელ არზმანაში მცხოვრებ აჭარელ და სომეხ მოსახლეობას შორის შეტაკება მოხდა. შეტაკების საბაბი სოფელში არსებული ტბა გახდა, რომელიც სომხების საკუთრებად ითვლება და ქართველებს იქ თევზაობა ეკრძალებათ.

სამართალდამცველებმა ვითარების დარეგულირება თავდაპირველად ვერ შეძლეს და ბავშვებს შორის მომხდარი კონფლიქტი ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა, რის შედეგადაც რამდენიმე ადამიანმა მძიმე ფიზიკური დაზიანება მიიღო. 70 წლის ქართველი ქალბატონის სიცოცხლეს კი, რომელსაც თავში უზარმაზარი ქვა მოხვდა, სერიოზული საფრთხე ემუქრება.

როგორც ცნობილია, ამ სოფელში სომხებსა და აჭარლებს შორის იდილია არასოდეს სუფევდა, თუმცა ადრე ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობდა. დღეს კი მხარეები თამამად აცხადებენ, რომ თუ სოფელს ერთ-ერთი მხარე დაუყოვნებლივ არ დატოვებს, სისხლისღვრა გარდაუვალი იქნება.

ერთი სიტყვით, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ყველა ზომაა მიღებული იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სიტუაციის შემდგომი დაძაბვა. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ამ დროისთვის ახალქალაქის რაიონში ვითარება უკვე განმუხტულია და კონტროლს ექვემდებარება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედი პარტიის - "ვირქის" ლიდერი დარწმუნებულია, რომ ახალქალაქში ორი დღის წინ მომხდარი ინციდენტი - ადგილობრივ სომხურ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ აჭარლებს შორის ჩხუბი - გაუგებრობაა და არანაირად არ უკავშირდება აჭარაში მიმდინარე მოვლენებს.

"ინციდენტი საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მოხდა, რაც ადგილობრივი ხელისუფლებისა და პოლიციის ჩარევის შედეგად მთლიანად აღიკვეთა", - აცხადებს "ვირქის" ლიდერი.

ჩვენი ინფორმაციით, პოლიციამ მიიღო დავალება, შეიქმნას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პუნქტი, რათა სიტუცია კვლავ არ დაიძაბოს.

*24 საათი*

# პარლამენტარები რამიშვილს თავდებში უდგებოდნენ

*გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა გენერალური პროკურატურის გამომძიებლების შუამდგომლობა საერთაშორისო კომპანიის "სილქროუდ ჯგუფის" ხელმძღვანელის გიორგი რამიშვილისთვის აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას საპყრობილეში, სულ ცოტა, სამი თვის გატარება მოუწევს.*

გიორგი რამიშვილი კვირას, 2 მაისს, საკუთარ სახლში დააკავეს. მისი დაკავების ოპერაცია უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა ჩაატარეს. მათივე განცხადებით, რამიშვილის ბინის ჩხრეკისას, სხვადასხვა სახის რეგისტრირებულ იარაღთან ერთად, არარეგისტრირებული ავტომატი და ხელყუმბარები აღმოაჩინეს. თავად რამიშვილის ახლობლები, რომლებიც მის დაკავებას პოლიტიკურ ძალთა ბიზნესინტერესებს მიაწერენ, აცხადებენ, ჩხრეკა, რომელიც სამ საათს მიმდინარეობდა, ყოველგვარი წესების დარღვევით ჩატარდა. კერძოდ, ჩხრეკას არ დაასწრეს არც რამიშვილის ოჯახის წევრები, არც მეზობლები და ორი მოწმე, რომელთა დასწრებაც ჩხრეკის კანონიერად ცნობისთვის აუცილებელია, თავადვე მიიყვანეს.

სამართალდამცველთა ასეთმა ქმედებამ სრულიად საფუძვლიანი გახადა თავად რამიშვილისა და მის დაცვის მტკიცება იმის თაობაზე, რომ იარაღი, რომლის უკანონოდ შენახვასაც გამოძიება ედავება, ჩხრეკის დროს ჩაუდეს.

**"მოსამართლეს პროცესუალური დარღვევების ფონზე დავუსაბუთეთ, რომ იარაღი, რომლის უკანონოდ შენახვა რამიშვილს ბრალად წაუყენეს, მისი არ არის - ჩხრეკისას ჩაუდეს. სასამართლო პროცესზე თავად რამიშვილმაც განაცხადა, რომ ეს იარაღი მას არ ეკუთვნის, თუმცა არაფერმა გაჭრა - მოსამართლე მაინც პროკურატურის პოზიციას დაეთანხმა და გიორგი რამიშვილს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გიორგი რამიშვილის ადვოკატმა დავით კორკოტაშვილმა.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ არათუ ადვოკატის შუამდგომლობები, არამედ იმ ორმოცამდე პარლამენტარის მიერ ხელმოწერილი მიმართვა არ გაითვალისწინა, რომლითაც ქართველი კანონმდებლები გიორგი რამიშვილის თავდებით გათავისუფლებას ითხოვდნენ. ჩვენი ინფორმაციით, ამ მიმართვას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები - "ნაციონალური მოძრაობისა" და "ახალი მემარჯვენეების" წევრები და რამდენიმე მაჟორიტარი დეპუტატი აწერდნენ ხელს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დავით გამყრელიძე, ნიკო ლეკიშვილი, ნანა პატარკაციშვილი, ვალერი გელბახიანი, ვანო ხუხუნაიშვილი და სხვები დარწმუნებულნი არიან, რომ გიორგი რამიშვილი გამოძიებას არსად დაემალება და ამიტომ არ არსებობს მისი პატიმრობაში ყოლის აუცილებლობა.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას ექვემდებარება და რამიშვილის ადვოკატიც უახლოეს 48 საათში საოლქო სასამართლოს მიმართავს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით.

*24 საათი*

www.liberty.ge

თავისუფლება

N2

6 მაისი, ხუთშაბათი

# გამჭვირვალე ბიუჯეტი სკოლებში

*დაბალი ანაზღაურება, არაპროფესიონალიზმი, მოსწავლეთა სიმრავლე კლასებში, გულგრილი დამოკიდებულება სწავლისადმი, დაუხვეწავი სასწავლო პროგრამები, უვარგისი სახელმძღვანელოები, ბინძური სკოლები, ინვენტარის უქონლობა - ეს დღევანდელ სკოლებში არსებულ პრობლემათა არასრული სიაა. ამ პრობლემების მოგვარება, საზოგადოების აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. სანამ მშობლები არ გაიაზრებენ, რომ სკოლის ცხოვრებაში აქტიურად ჩართვა აუცილებელია, რომ მათ ამის უფლებაც აქვთ და საშუალებაც, სანამ მასწავლებლები არ გააცნობიერებენ, რომ მათი ხმა სკოლის ადმინისტრირების საქმეში მნიშვნელოვანია, სანამ დირექტორები არ მიხვდებიან, რომ ისინი ანგარიშვალდებულნი და გახსნილნი უნდა იყვნენ სამეურვეო საბჭოებისა და, საერთოდ, საზოგადოების წინაშე, სკოლებში არ აღმოიფხვრება კორუფცია, ნეპოტიზმი და სწავლის პროცესისადმი გულგრილი დამოკიდებულება.*



როგორც 17 აპრილის ნომერში მოგახსენებდით, თავისუფლების ინსტიტუტმა დაიწყო საპილოტო პროგრამა, რომლის მიზანია ბიუჯეტის ფორმირების გამჭვირვალე პროცესის დამკვიდრება და საგანმანათლებლო სისტემაში მოქალაქეების მონაწილეობის გაზრდა. თავისუფლების ინსტიტუტის პილოტური პროექტი 6 თვეზეა გათვლილი და მას ფონდ ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ოფისი **(Open Society Institute foundation Budapest Office (OSI)** აფინანსებს. პროგრამა განხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მშობლებისა და მასწავლებლების ასოციაციის, მოსწავლეთა კავშირებისა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობით. იგი მიზნად ისახავს, შექმნას დაინტერესებულ პირთა წრე, გაზარდოს მასმედიის როლი საგანმანათლებლო საკითხების გაშუქებაში, დაამკვიდროს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები, აღმოფხვრას არსებული კორუფცია და გააცნოს ადგილობრივ მმართველობასა და სკოლებს მონაწილეობითი ბიუჯეტირება.

ამავე დროის ფარგლებში ორგანიზაცია ALPE ახორციელებს პროექტს სკოლებში სამეურვეო საბჭოთა იდეის პოპულარიზებისათვის. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები სკოლიდან სკოლაში ივლიან, შეხვდებიან პედაგოგებს, მშობლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და მათ სამეურვეო საბჭოების მუშაობის პრინციპს გააცნობენ; ორგანიზებას გაუწევენ სხვადასხვა შეხვედრას, სადაც მშობლები და პედაგოგები სკოლებში არსებულ პრობლემებს დააფიქსირებენ და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელებენ. სკოლათა სამეურვეო საბჭოებისა და სკოლებში გამჭირვალე ბიუჯეტის არსებობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ამიტომ, თავისუფლების ინსტიტუტი და ორგანიზაცია ALPE კოორდინირებულად მუშაობენ.

## განათლების სისტემაში არსებული პრობლემები

**- განათლების არსებულ ცენტრალიზებულ სისტემაში სკოლას არ აქვს უფლება, დაგეგმოს თავისი შემოსავლები და ხარჯები. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სკოლებისთვის თანხების განსაზღვრა თანხების არამიზნობრივი ხარჯისთვის ქმნის პირობებს.**

**- განათლების სამინისტრო ჯერ კიდევ წარმოადგენს ცენტრალიზებულ, ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ ორგანოს, რომელიც, უშუალოდ, საგანმანათლებლო სექტორს მართავს, ნაცვლად იმისა, რომ განსაზღვროს განათლების სისტემის მართვის პოლიტიკა, დაამკვიდროს კონკრეტული სტანდარტები და ზედამხედველობა გაუწიოს სისტემის ფუნქციონირებას.**

**- არსებული შესყიდვების პროცესი ზედმეტად გართულებულია და გაუმჭვირვალე, რაც არაეფექტურია და ხელს უწყობს კორუფციას.**

**- სკოლებს შორის რესურსების განაწილება არ არის სამართლიანი, მიუხედავად იმისა, რომ კანონმა განათლების შესახებ შემოიღო სკოლების სულადობრივი დაფინანსების სტანდარტი.**

დღეს ჩვენს ქვეყანაში განათლების სისტემის რეფორმა რამდენიმე რგოლში ერთდროულად მიმდინარეობს. მოხდა განათლების სამინისტროს სტრუქტურული ცვლილება. მთლიანად უნდა შეიცვალოს მისი ადმინისტრირების მექანიზმი. მსოფლიო ბანკის სასკოლო რეფორმის პროგრამაში რამდენიმე ახალი პროექტი მზადდება. საზაფხულოდ პარლამენტში შევა კანონ-პროექტი სკოლებში სამეურვეო საბჭოების ასამუშავებლად. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია და ოფიციალური სტრუქტურები ამზადებენ პროექტს სკოლების ბიუჯეტირების სისტემის შესაცვლელად. თუმცა, ამ პროცესებში საზოგადოების ჩართულობა ჯერ კიდევ ძალიან მცირეა, არადა ის მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებიც თითოეული ჩვენგანის მომავალს პირდაპირ თუ ირიბად განსაზღვრავს, სწორედ ახლა ხორციელდება. თავისუფლების ინსტიტუტის პროექტის მთავარი მიზანია განათლების სისტემის გაუმჯობესების საქმეში საზოგადოების აქტიური ჩართვა. საზოგადოების ჩართვა კი, უპირველეს ყოვლისა, მისი გათვითცნობიერებით ხდება. ამ მიზნის მისაღწევად პროექტის აქტივობები რამდენიმე მიმართულებით განხორციელდება:

**სკოლების ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მშობლების წარმომადგენლებს ჩაუტარდებათ ტრეინინგები ბიუჯეტირების საფუძვლების შესასწავლად;**

**შეიქმნება ბიუჯეტირების სახელმძღვანელო, რომელიც დაეხმარება დაინტერესებულ პირებს, უკეთ გააანალიზონ სკოლების ბიუჯეტირების პროცესი. თეორიული ცოდნის გარდა, სახელმძღვანელო მიაწოდებს მკითხველებს მონაწილეობითი ბიუჯეტის დაგეგმვის პრაქტიკულ მაგალითებს;**

**პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია საზოგადოებრივი აზრის კვლევის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს, უკეთესად გაირკვეს განათლების სისტემაში არსებული პრობლემების არსი. მოქალაქეთა გამოკითხვით ცნობილი გახდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ უზრუნველყოფილი სხვადასხვა მომსახურების ხარისხის, ეფექტურობისა და ადეკვატურობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია;**

**პროექტის ფარგლებში მომზადდება გამჭვირვალე შესყიდვების სახელმძღვანელოც. ამ სახელმძღვანელოს მომზადების მიზანია, შესაბამისი შესყიდვების მოდელის შერჩევა სკოლებისთვის, რომელიც სამართლიან, ეფექტურ და გამჭვირვალე შესყიდვების პოლიტიკას უზრუნველყოფს;**

**ამუშავდება ნაფიც მოქალაქეთა ჟიურის პროექტი. ფოკუს-ჯგუფის ფორმატში ჩატარდება 30 შეხვედრა საბიუჯეტო პროცესის თაობაზე, სადაც ჟიურის წევრები (მასწავლებლები, მშობლები და სხვა) განსაზღვრავენ ამ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს; შეაფასებენ არსებულ ბიუჯეტს ან შექმნიან ბიუჯეტის ალტერნატიულ ვერსიას.**

მარტივად რომ ვთქვათ, ნაფიც მოქალაქეთა ჟიური გარკვეული კონკრეტული საკითხის მოსაგვარებლად (მაგალითად, კონკრეტული რეგიონის ბაგა-ბაღების საჭიროებები, რომელიმე სკოლის ბიუჯეტირების პრობლემა, რაიონის წყლით მომარაგების პრობლემა, გარემოს დასუფთავება და ა.შ.) შეკრებილი ადამიანების ჯგუფია, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ერთმანეთს ხვდება, მოცემულ საკითხს იკვლევს, მის შესახებ დასკვნები და რეკომენდაციები გამოაქვს და შემდეგ მას ფართო საზოგადოებას წარუდგენს. მათი დასკვნები და რეკომენდაციები განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს იმ პირებისათვის, ვინც მთავრობაში ლოკალურ თუ სახელმწიფოებრივ დონეზე ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ეს რეკომენდაციები ხომ, ჟიურის წევრთა შერჩევის პრინციპიდან და მათი მუშაობის მეთოდიდან გამომდინარე, ხალხის რეალურ სურვილს გამოხატავს. ნაფიც მოქალაქეთა ჟიური პრობლემათა იდენტიფიკაციის ახლებური მეთოდია, თუმცა ახლებურია ჩვენთვის, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ბევრ ქვეყანაში ამ მეთოდს, უკვე 30 წელიწადზე მეტია, რაც იყენებენ. ვინაიდან ნაფიც მოქალაქეთა ჟიური ჩვენ ქვეყანაში ახალი ინსტიტუტია, ქვემოთ მის შესახებ უფრო ვრცლად მოგახსენებთ.

## რატომ მაინცდამაინც ნაფიც მოქალაქეთა ჟიური?

დემოკრატია, ზოგადად, დაფუძნებულია იმ იდეაზე, რომ არჩეული მთავრობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხალხის ნებას უნდა გამოხატავდნენ. ჩვენი მთავრობები არსებობენ იმისათვის, რომ ჩვენ გვემსახურონ. თუმცა, მიუხედავად ამისა, ხშირად ხდება ისე, რომ იმ პირებს, რომლებმაც მთავრობაში გადაწყვეტილება უნდა მიიღონ, უბრალოდ, დრო აღარ რჩებათ იმის გასაგებად, თუ რა კონკრეტული მოთხოვნები აქვს საზოგადოებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ოფიციალურ პირებს, შესაძლოა, აზრი მიაწოდონ მხარდამჭერებმა ან პარტიის აქტივისტებმა, მაგრამ მათ იშვიათად თუ აწვდენს ხმას მოსახლეობის ყველა ფენა. მართალია, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი გამოკითხვები ატყობინებს ასეთ პირებს, თუ რას ფიქრობს ხალხი, (ტელეფონით სწრაფად დასმულ შეკითხვაზე სცემენ პასუხს), მაგრამ სინამდვილეში ხალხის რეალური სურვილი, შესაძლოა, სულ სხვაგვარი იყოს.

ნაფიც მოქალაქეთა ჟიურის სისტემა შექმნილია იმისათვის, რომ ხალხის რეალური მოთხოვნები რეალურად მიიტანოს იმ ოფიციალურ პირებამდე, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს. ნაფიც მოქალაქეთა ჟიური სწავლობს კონკრეტულ პრობლემას და ცდილობს, მისი გადაჭრის საერთო გზები მონახოს. ამით გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც ნაფიც მოქალაქეთა ჟიურის საქმიანობას თვალყურს ადევნებენ ან შემდგომ ისმენენ მათ რეკომენდაციებს, საშუალება ეძლევათ, უკეთ შეისწავლონ, რა და რატომ სურს საზოგადოებას. ასეთი ინფორმაცია, შესაძლოა, გახდეს შეუფასებელი რესურსი არჩეული მთავრობისათვის და სხვა ოფიციალური პირებისათვის, როგორც ლოკალურ, ასევე, სახელმწიფო დონეზე.

ნაფიც მოქალაქეთა ჟიური კარგი გზაა საზოგადოებრივი პრობლემისა თუ საკითხის გააზრებულად, გაანალიზებულად გადაჭრის საქმეში ადამიანების ჩასართავად. ნაფიც მოქალაქეთა ჟიურის დიდი უპირატესობა ისაა, რომ იგი ინფორმაციას ღებულობს საზოგადოების მაქსიმალურად წარმომადგენლობითი და მაქსიმალურად ინფორმირებული ფენიდანაც.

## რა არის ნაფიც მოქალაქეთა ჟიური?

ნაფიც მოქალაქეთა ჟიურის პროექტში მოქალაქეთა შემთხვევით შერჩეული და დემოგრაფიულად წარმომადგენლობითი ჯგუფი ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში ხვდება ერთმანეთს, რათა ზედმიწევნით შეისწავლონ მოცემული კონკრეტული საზოგადოებრივი პრობლემა. ჟიური, ჩვეულებრივ, თვრამეტი ადამიანისაგან შედგება და ისეა შერჩეული, რომ მოცემული საზოგადოების მიკრომოდელს წარმოადგენს. ჟიურის წევრები მათი საქმიანობისა და დახარჯული დროისათვის ანაზღაურებას იღებენ. ისინი კონკრეტული საკითხის გარშემო ექსპერტებისა და ამ პრობლემაში ჩართული ადამიანების მოსაზრებებს ისმენენ და შემდეგ ცდილობენ, პრობლემა ერთად გადაწყვიტონ. შეხვედრებისა და მსჯელობების ბოლო დღეს ჟიურის წევრები თავიანთ რეკომენდაციებს ოფიციალურ პირებს წარუდგენენ.

ნაფიც მოქალაქეთა ჯიურის პროექტი ჯეფერსონის ცენტრის მეშვეობით 1974 წელს ამუშავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ადგილობრივ, რეგიონულ და სახელმწიფო დონეზე. პროექტი რამდენიმე საკითხის მოგვარებას ისახავდა მიზნად, მათ შორის, სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემის რეფორმას, ბიუჯეტის პრიორიტეტებს, გარემოს დაცვასა და სკოლის ადგილობრივ საჭიროებებს.

## მახასიათებლები

ჟიურის წევრების შერჩევა სოციოლოგიური მეთოდით ხდება - ე.წ. შემთხვევითობის პრინციპის გამოყენებით. შერჩევის პროცესს ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა, რადგან აუცილებელია, რომ ჟიურის წევრები საზოგადოებრივ აზრს მაქსიმალურად წარმოადგენდნენ.

საკითხის ძირითადი ასპექტების შესახებ ჟიურის წევრებს ინფორმაციას საქმესთან დაკავშირებული პირები, ე.წ. მოწმეები აწვდიან. მოწმეები აწვდიან მათ მოსაზრებებს საქმის განვითარების პერსპექტივებზეც. ჟიურის წევრები მოწმეებს დიალოგში რთავენ, რათა პასუხი ყველა კითხვას გაეცეს. მოწმეთა ჩვენებები საფუძვლიანად შეისწავლება, რათა დარწმუნდნენ, რომ საკითხში გარკვევა ყველა მიმართულებით მოხდა. ჟიურის წევრები, სხვადასხვა ფორმატით, რამდენჯერმე ხვდებიან ერთმანეთს. მათ ეძლევათ საკმარისი დრო, რომ განხილონ ჟიურის ყოველი წევრის აზრი.

## ძირითადი კომპონენტები

**მრჩეველთა საბჭო**: ჟიურის წევრთა მუშაობას კოორდინირებასა და დახმარებას უწევს მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭო შედგება იმ პირებისგან, რომლებიც მოცემულ საკითხებში ერკვევიან და ჟიურის წევრებს საქმის განვითარების პერსპექტივებს აწვდიან. ისინი ჟიურის წევრებს აძლევენ რჩევებს მოწმეთა შერჩევასთან, საქმის პრიორიტეტებთან და მსვლელობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭო, ასევე, აკონტროლებს კომიტეტის წევრთა საქმიანობას, რათა მუშაობის პროცესში ადგილი არ ჰქონდეს მიკერძოებას.

**სატელეფონო გამოკითხვა**: კარგად ორგანიზებული სატელეფონო გამოკითხვა უტარდებათ მოცემული რეგიონის (დაბის, სოფლის, ქალაქის, სასკოლოს თემის და ა.შ.) შემთხვევით შერჩეულ პირებს. ყველა გამოკითხული რესპონდენტი, ვინც თანახმაა, დამატებითი ინფორმაცია მიიღოს, ჟიურის წევრი ხდება. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, სატელეფონო კვლევა ძირითადი მიდგომებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის დასადგენად გამოიყენონ.

**ჟიურის შერჩევა**: ჟიურის წევრების შერჩევა მიზანმიმართულად ისე ხდება, რომ საზოგადოების მიკრომოდელი შეიქმნას, რომელიც მაქსიმალურად ასახავს რეგიონის დემოგრაფიულ მდგომარეობას და პრობლემასთან დაკავშირებულ მიმართებებს.

**საქმიანობა**: ჟიურის საქმიანობა არის იმ ამოცანის გადაწყვეტა, რომლის წინაშეც იგი დგას. ამ საქმიანობას, ძირითადად, შეკითხვების ან შეკითხვათა სერიის სახე აქვს, რომელსაც ჟიურის წევრები სვამენ ანდა თავადვე სცემენ პასუხს საკითხის კვლევისას.

**მოწმეთა შერჩევა**: ის პირები, რომლებიც ჩახედულნი არიან საქმის არსში, მოწმეებად შეირჩევიან. ისინი ჟიურის წევრებს აწვდიან საკითხთან დაკაშირებულ ზოგად და, ასევე, ძირეულ ინფორმაციას. მოწმეთა შორის ხდება ექსპერტთა შერჩევა, რომლებიც შემდეგ პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა შესაძლებლობასა და მოსაზრებებს წარმოადგენენ.

**მოსმენები**: გარკვეული თანმიმდევრობის მიხედვით ჩატარებული რამდენიმედღიანი მოსმენების შემდეგ მოწმე ექსპერტები აყალიბებენ გადამწყვეტ საკითხებს, პასუხობენ კითხვებს და აწარმოებენ დიალოგს ჟიურის წევრებთან. ჟიური თათბირობს და საქმესთან დაკავშირებით დასკვნები გამოაქვს.

**რეკომენდაციები**: საბოლოო განსჯის შემდეგ ჟიური თავის მოკვლევებსა და რეკომენდაციებს ფართო საზოგადოებას წარუდგენს. რეკომენდაციები წარმოდგენილია იმ ფორმითა და ენით, რა ფორმითაც ამას ჟიურის წევრები ჩათვლიან საჭიროდ.

**შეფასება**: პროექტის დასრულებისას ჟიურის წევრებს ჩატარებული სამუშაოს შეფასებას სთხოვენ. ეს საჭიროა იმისათვის, რათა საზოგადოება დარწმუნდეს, რომ პროცესი მიუკერძოებელი იყო. ეს აუცილებელია, რადგან საზოგადოებამ და მათაც, ვინც შემდეგ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, დაიჯერონ ჟიურის წევრთა მიერ მიღწეული შედეგების რეალურობა და მათი რეკომენდაციები. შეფასების შედეგები ჩადებულია საბოლოო რეკომენდაციებში.

მას შემდეგ, რაც ამ პროექტმა ამერიკაში წარმატებით იმუშავა, ამ გამოცდილებით, დიდი ხანია, სარგებლობენ - დიდი ბრიტანეთი, გერმანია, დანია, ესპანეთი და ავსტრალიაც. ახლა ჯერი აღმოსავლეთ ევროპის ახლად გადემოკრატიულებულ სახელმწიფოებზეა. მათ შორის ვართ ჩვენც. თავისუფლების ინსტიტუტის სამომავლო გეგმებშია, პრობლემათა იდენტიფიკაციის ეს მეთოდი სხვადასხვა ლოკალური სახის პრობლემის მოსაგვარებლად აამუშაოს მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ ეტაპზე, მთლიანი პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია, ნაფიც მოქალაქეთა ჟიურის მოდელის გამოყენებით, ფოკუსური ჯგუფების ჩატარება. ჩატარდება 30 ფოკუს-ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მშობლები და პედაგოგები თბილისის 10 სკოლიდან. თითოეულ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობას მიიღებს 10-12 ადამიანი. თითოეულ შეხვედრაზე განიხილება ერთი კონკრეტული საკითხი, რომლის ირგვლივაც ორად გაყოფილი ჯგუფი (მხარდამჭერი და მოწინააღმდეგე მხარეები) გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს და შეეცდებიან, არგუმენტების სახით, დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია.

## პროექტის სავარაუდო შედეგები

**პროექტის ბოლოს, სავარაუდოდ, მიიღწევა შემდეგი შედეგები:**

**- შეიქმნება ინსტიტუტები, როგორებიცაა სკოლის სამეურვეო საბჭოთა ასოციაცია, რომელიც მონიტორინგს გაუწევს საბიუჯეტო პროცესს ადგილობრივ დონეზე;**

**- სისტემატურად გაშუქდება განათლების სისტემის საბიუჯეტო საკითხები;**

**- გაიზრდება საზოგადოების ინფორმირებულობის დონე სასკოლო-საბიუჯეტო პროცესებში;**

**- მოხდება საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტური მართვის პრინციპების პოპულარიზაცია და დამკვიდრება;**

**- სავარაუდოდ, შემცირდება განათლების სისტემაში არსებული კორუფციის დონე.**



**თავისუფლების ინსტიტუტი და არასამთავრობო ორგანიზაცია ALPE ერთობლივად ახორციელებს პროექტს სახელწოდებით "მონაწილეობა სკოლების ბიუჯეტირებისას".**

**პროექტში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ შემდეგ მისამართზე:**
**თავისუფლების ინსტიტუტი**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. N23**
**ტელეფონი: 936615**
**ფაქსი: 936784**
**ვებ გვერდი: www.liberty.ge**
**ALPE**
**მისამართი: ა. ჭავჭავაძის ქ. N8/33**
**ტელეფონი: 922914**
**ფაქსი: 920596**
**ვებ გვერდი: office@alpe.ge**

**პროექტს, "მონაწილეობა სკოლების ბიუჯეტირებისას", ჩვენი გაზეთის კიდევ ოთხი გვერდი დაეთმობა. მოხარული ვიქნებით, ამომწურავი პასუხი გავცეთ თქვენს ყველა შეკითხვას და გავიზიაროთ თქვენი მოსაზრებები. მოგვაწოდეთ ისინი შემდეგ მისამართებზე:**
**თავისუფლების ინსტიტუტი**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. N23**
**ტელეფონი: 936615**
**ფაქსი: 936784**
**საკონტაქტო პირები:**
**ვეკო ჭკადუა e-mail: veko@liberty.ge**
**ქეთი კობიაშვილი e-mail: keto@liberti.ge**
**გაზეთი "24 საათი"**
**მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45**
**ტელეფონი: 20 00 24**
**საკონტაქტო პირი:**
**ნინო ცინცაძე e-mail: ntsintsadze@24hours.ge**

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

მაია ქალაბანიძე

*რევოლუციები მხოლოდ დედაქალაქებში არ ხდება. როცა ხალხი იმსახურებს, გიორგობა მთელ ქვეყანაში ბრწყინვალეა. ნიკოლოზ რურუა აბაშიძის გადადგომას ბათუმში შეხვდა, ლევან ბერძენიშვილი - თბილისში. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან ნებისმიერი წარმატება ჩვენი ქვეყნის ყოველი მოქალაქისთვის ერთნაირად მოვა. როცა ეს ინტერვიუები ჩაიწერა, აბაშიძე ჯერ კიდევ ბათუმში იყო, მაგრამ არც ერთ რესპონდენტს ამგვარ ფინალში ეჭვი არ ეპარებოდა.*

# ჩოლოქის საზღვარი სამუდამოდ გაქრა

## საქართველოს პარლამენტის წევრი ლევან ბერძენიშვილი:

## ეს მომავალი საქართველოს კონტურებია

- ხალხი უძლეველი ძალაა და მათ გაიმარჯვეს.

როგორც ვვარაუდობდით, საქართველოს ხელისუფლება უფრო ბრძენი აღმოჩნდა, ვიდრე მის მტრებს ეგონათ. რაც მთავარია, საქართველოს პრეზიდენტს აღმოაჩნდა ის პოლიტიკური კლასი, მოთმინება და სიბრძნე, რომელიც მისი ასაკისთვის შეუფერებლად მიაჩნდათ. ამაო აღმოჩნდა მტრების გათვლები მის სიფიცხეზე, გაღიზიანებებზე და ა.შ. ერთი მხრივ, ხალხმა გამოიჩინა გმირობა და მეორე მხრივ - ხელისუფლებამ სიბრძნე. ასლან აბაშიძე და მისი მხარდამჭერები დამარცხდნენ. ეს არის ქართველების ევროპელობის პირდაპირი ნიშანი. ხალხმა ამ ექვს თვეში უკვე ორჯერ დაამტკიცა, რომ უსისხლო რევოლუციიის ჩატარება შეუძლია. ეს მართლაც დიდი მიღწევაა. ჩვენი მეზობელი სომხები ამბობდნენ, АРМЕНИЯ ЭТО НЕ ГРУЗИЯ. ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმოთ - ДА, ЭТО НЕ ГРУЗИЯ. ამ თვალსაზრისით საქართველო უნიკალური ქვეყანა აღმოჩნდა - ჩეხეთის შემდეგ ასეთ შოკში მსოფლიო არც ერთ ხალხს არ ჩაუგდია.

**- დღეს რა შეუძლია ასლან აბაშიძეს?**

- ახლა მას შეუძლია, ჩაჯდეს თვითმფრინავში და წავიდეს, დიდი არჩევანი მას არ აქვს. მის ირგვლივ აღარ არის ძალა და სახელისუფლებო ბერკეტები. იმედი ვიქონიოთ, რომ მეტი არც არაფერი შეუძლია.

**- თქვენი აზრით, მის გვერდით მდგომთ რა ეპატიებათ და რა არა?**

- ყველას, ვინც დღეს საქართველოს კონსტიტუცია აღიარა, ეპატიება. ამის შესახებ უნდა იყოს სპეციალური კანონი შეწყნარებაზე, ნაციონალურ ერთიანობაზე. ფაქტობრივად, ყველა თანახმაა და საამისოდ საკანონმდებლო ბაზაც მომზადდება. რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვისაც არ შეიწყნარებენ, ისინი უკვე მიმალვაში არიან.


ვახო ხალვაშის ფოტო

ლევან ბერძენიშვილი

ჩემი ვარაუდით, მათზე ძებნა კი გამოცხადდება, მაგრამ განსაკუთრებული ჟინი ამას არ ექნება, რადგან საქართველო მართლაც ევროპულ კლასს აჩვენებს. როდესაც ითქვა, რომ ასლან აბაშიძე უნდა წავიდეს, არავის დაუჟინია, რომ აუცილებლად უნდა გავასამართლოთ და დავსაჯოთო. ეს იმის ნიშანია, რომ გვინდა თუ არა (მე კი ამას ყოველთვის ვამბობდი, მაგრამ ბევრს არ სჯეროდა), ევროპელები აღმოვჩნდით. თავისუფლება მოგვეცი და თურმე კარგი ხალხი ვართ. საქართველომ საკუთარ თავს დაუმტკიცა, რომ ის, როგორც ქვეყანა, შედგება. დღეს ჩვენ მომავალი საქართველოს კონტურები დავინახეთ.

**- როგორ ფიქრობთ, აჭარის მოსახლეობამ საკუთარ თავში აღმოაჩინა ახალი, აქამდე უცნობი შტრიხები?**

- ვარ ბათუმელი და ძალიან კარგად ვიცი, რა როლი აქვს ქალაქს საქართველოს ცხოვრებაში. ბათუმი და მთელი აჭარა, ეს არის საქართველოს დასავლეთისკენ მიმართული სახე. ორიენტაციის თვალსაზრისით, ეს ჩვენი ყველაზე დასავლური კუთხეა. ყოფით დონეზე საუბარს არ დავიწყებ და არ ვიტყვი, რომ პირველი უცხოური სიგარეტი და ჯინსი იქ გაჩნდა... მაგრამ, თავად დასავლეთის იდეოლოგია ამ კუთხისთვის ყოველთვის მისაღები იყო. აბაშიძე სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. აჭარა აბაშიძეზე იმდენად მაღლა აღმოჩნდა, რომ დაამხეს და ამავე დროს შეიძლება შეიბრალონ კიდეც. ეს უმაღლესი კლასის ნიშანია. რთულია, არ გაგიკვირდეს საქართველო, თუნდაც მისი ღვიძლი შვილი იყო და მისი ნაკლის შესახებაც კარგად უწყოდე. ღირსებებმა იჭარბა და ეს აჭარაში გამოჩნდა.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ეთნიკურ აჭარლებს არ ეხებათ - იქ გურულები და მეგრელებიც არიან, მაგრამ ლომის წილი სწორედ აჭარლებზე მოდის. ეს მათი კუთხეა, ჩვენი საერთო კუთხეა და ეს ჩვენი საერთო გამარჯვებაა. ეს გამარჯვება არის არანაკლები და ვფიქრობ, ცოტა უფრო მნიშვნელოვანიც, ვიდრე შევარდნაძის წასვლა იყო.

როდესაც ტერიტორიულ მთლიანობასა და ქვეყნის გაერთიანებაში პრეზიდენტის როლზე იყო საუბარი, ძალიან ბევრი ამბობდა, რომ ეს არ შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი და უფრო მნიშვნელოვანი პენსია და ხელფასიაო. დღეს გამოჩნდა, რა არის მნიშვნელოვანი, რას ნიშნავს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რას ნიშნავს ხალხის ვაჟკაცობა. აი, რას ნიშნავს თავისუფლება. რა ძვირფასი რამ არის, რამდენი ენერგია იყო დამალული და დღეს ისიც გამოჩნდა, რა ცუდი კაცი იყო შევარდნაძე, რას უკეთებდა ამ ხალხს და უწყლოდ როგორ ჰყავდა დაბმული ეს თავისუფლებისმოყვარე ერი.

**- ბათუმი ზეიმობს და ერთ ხანს ასე გაგრძელდება. როგორ უნდა ჩადგეს ყველაფერი ნორმალური ცხოვრების კალაპოტში?**

- პრეზიდენტმა ამის მექანიზმების შესახებ უკვე განაცხადა. იქ საპრეზიდენტო მმართველობა იქნება, შეიქმნება მმართველობითი საბჭო. აბაშიძის წინააღმდეგ მრავალლიდერიანი მოძრაობა იყო და საბჭოს ამ ლიდერებით დაკომპლექტება, მგონი, ნორმალური იქნება.

**- ბერძენიშვილებს ვიხილავთ ამ საბჭოს შემადგენლობაში?**

- მე თუ მგულისხმობთ, ნამდვილად არა. ბერძენიშვილები ბათუმელები არიან და როცა გაუხარდებათ, როგორც ჩადიოდნენ, ისე ჩავლენ ბათუმში და იქ უკანასკნელი ადამიანები არ იქნებიან. აჭარის მმართველობის პრეტენზიები არასოდეს არ გვქონია. ჩვენ გვქონდა პრეტენზია, საქართველოსთვის დაგვემტკიცებინა, რომ ბათუმი ჩამოსაწერი ადგილი არ არის და რომ ის არც ასლან აბაშიძის არჩივია. აჭარა ყოველთვის მეტს იმსახურებდა. მოიძებნება ხალხი, დაინიშნება არჩევნები და ბუნებრივია, ცხოვრება მწყობრში ჩადგება. ამ წუთებში მიმდინარეობს აყრა იმ საშინელებებისა, რაც ჩოლოქზეა. ეს საზღვარი სამუდამოდ ქრება და ვერავინ ვერასოდეს ვერ გაბედავს ოდნავ მაინც სეპარატისტრული ფრაზის წარმოთქმას.

**- პირადად თქვენთვის რას ნიშნავს ეს გამარჯვება?**

- პირადად ჩემთვის ეს ნიშნავს ჩემი სიდედრის უსაფრთხოებას, ჩემი მეგობრების, კლასელებისა და სკოლელების და უახლოესი გარემოცვის უსაფრთხოებას. ისინი, რა თქმა უნდა, მიტინგზე იდგნენ. ნიშნავს გამარჯვებას იმ მეგობრებისა, რომლებიც ასლანის გვერდით იდგნენ, უკანასკნელ მომენტში თავის თავში ძალა იპოვეს და ხალხს დაუბრუნდნენ. მაგალითად, ჩემი ბავშვობის მეგობარი ანზორ შაქარაშვილი, განათლების მინისტრი, რომელიც გუშინ გადადგა თანამდებობიდან და სტუდენტების გვერდით დადგა. ჩემთვის ეს ჩემს პირად ცხოვრებაში ბათუმის დაბრუნებას ნიშნავს და ჩემს დაბრუნებას ბათუმში. მე კი ჩავდიოდი იქ, მაგრამ ორ დღეში უკან უნდა წამოვსულიყავი, რადგან ასლანის გარემოცვა მღელვარებას იწყებდა. აუცილებლად ჩავალ ბათუმში.

**- თქვენი ცხოვრების შემდგომი მიზანი რა იქნება?**

- საქართველო ისეთ ქვეყნად ვაქციოთ, სადაც ასლან აბაშიძეობა შეუძლებელი იქნება.

## საქართველოს პარლამენტის წევრი ნიკოლოზ რურუა:

## დღეს ხალხი თავს გაითავისუფლებს

- გოგიტიძისა და პრემიერ-მინისტრის მოლაპარაკებების პროცესს არ დავსწრებივარ. ჩოლოქზე ნორმალურად შეგვხვდნენ, განწყობა მშვიდობიანი იყო. რამდენიმე უსიამოვნო გამოხედვა შევნიშნეთ, ეგ იყო და ეგ. ქობულეთში ფეხით შევედით და ბათუმისკენ გავემგზავრეთ.

**- როგორი იქნება იმ ადამიანების ბედი, ვინც აქამდე ასლან აბაშიძის გვერდით იდგა და დანაშაულს ჩადიოდა? სისხლის სამართლის აღძრული საქმეები ძალაში რჩება?**

- ეს დეტალები ჯერ ცნობილი არ არის. მშვიდობიანად დამთავრების შემთხვევაში, შეიძლება ხელისუფლება გარკვეულ კომპრომისზეც წავიდეს, პრეზიდენტს ამის უფლება აქვს და ამას პრეზიდენტის შეწყალება ჰქვია. ამაზე საუბრები მიმდინარეობს, თუმცა დეტალური საუბარი ჯერ ნაადრევია.

**- აბაშიძე ჯერ არ გადამდგარა, ჩოლოქი გახსნილია, მიტინგი მიმდინარეობს, როგორ განვითარდება მოვლენები?**

- ხალხის ძალიან დიდმა რაოდენობამ გამოხატა თავისი ნება და ამას წინ ველარაფერი დაუდგება.

**- რა მოლოდინებია მიტინგზე ახლა, როდესაც ივანოვისა და აბაშიძის შეხვედრა მიმდინარეობს?**


ლევან ხერხეულიძის ფოტო

ნიკოლოზ რურუა

- მიტინგი დაშლას არ აპირებს, ხალხი მტკიცედ დგას და ამაღლებული განწყობაა. აბაშიძემ რეზიდენციის დაცვის წევრებს ჰაერში სროლა აატეხინა და ივანოვს უმტკიცებდა, რომ ამას მშვიდობიანი მომიტინგეები აკეთებდნენ. ცხადია, იგორ ივანოვმა ეს არ დაიჯერა.

**- როგორ იმგზავრეთ ბათუმამდე?**

- ერთადერთი ინციდენტი მოხდა მაშინ, როდესაც უღელტეხილის სერპანტინი ჩავიარეთ და ბათუმში შევდიოდით. შეგვხვდა ხალხითა და იარაღით სავსე ორი იკარუსი. ეს ხალხი განვაიარაღეთ. ეს ის ადამიანები იყვნენ, ვინც ჩოლოქთან, ზღვის სანაპიროზე იყო ჩამჯდარი და ახლა ბათუმში ბრუნდებოდნენ. მათ იარაღი ყოველგვარი გაწევ-გამოწევის გარეშე ჩაგვაბარეს. ერთი იკარუსი აბსოლუტურად ნებაყოფლობით წამოგვყვა მიტინგზე. მეორე განიარაღებული იკარუსი სხვა მიმართულებით წავიდა. სულ 170 ავტომატი ჩამოვართვით და საიმედო ადგილზე შევინახეთ. ამ იარაღს ვერავინ გამოიყენებს.

**- ნავთობტერმინალი მართლა დანაღმულია?**

- შეიძლება, ასეც იყოს, მაგრამ ჩვენ ტერმინალზე არ შევსულვართ, პირდაპირ ბათუმის უნივერსიტეტთან მიმდინარე მიტინგზე წავედით.

მიტინგზე ამაღლებული განწყობაა. ხალხი უკან დახევას არ აპირებს და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა აქვთ გადაწყვეტილი. მათ დღეს საკუთარი თავის განთავისუფლება უნდა დაამთავრონ. არავის ოდნავი ყოყმანიც კი არ ეტყობა.

**- ისინი მოლაპარაკებების დასასრულს ელიან?**

- რა თქმა უნდა, არავის არსად არ ეჩქარება. არანაირ იმპულსურობას არ აქვს ადგილი. სიმტკიცე და სიმშვიდე სუფევს.

**- აბაშიძის არგადადგომის შემთხვევაში რას აპირებენ მომიტინგეები?**

- გამზადებული სცენარი არ არსებობს, ვნახოთ... მოვლენების განვითარება გზას თავად გვიჩვენებს. ხალხი არ შემცირებულა, თბილისიდან ჩასული პარლამენტარები აქ არიან, დაძინებას არავინ აპირებს. რამდენი ხანიც საჭირო იქნება, აქ ვართ. საჩქარო არაფერია...

# ფრთხილად, ტირანიაა

აჭარაში შექმნილ ვითარებას გუშინ „საზოგადოებრივი დარბაზის“ წევრები გამოეხმაურნენ. მათი შეკრების მიზანი იმ პოზიციის დაფიქსირება გახლდათ, რომელიც ქართულ საზოგადოებრიობას ამ კონფლიქტთან მიმართებაში გააჩნია. ისინი გმობენ აჭარაში მიმდინარე მოვლენებს, აბაშიძის გადადგომას და ვითარების უსისხლოდ განმუხტვას მოითხოვენ. ქვემოთ გთავაზობთ როგორც „დარბაზის“ წევრთა, ასევე „არადარბაზელების“ მოსაზრებებსაც.

**დათო საყვარელიძე**: შევიკრიბეთ, რათა გვერდში დავუდგეთ ადამიანებს, რომლებიც აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვიან. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ გავარდეს იარაღი და არ დაიღვაროს თუნდაც ერთი ადამიანის სისხლი, რადგან ეს უდიდესი ცოდვაა და მომავალი თაობები არ გვაპატიებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აბაშიძეს ნელ-ნელა მისივე გარემოცვა ტოვებს და მომიტინგეებს უერთდება. ვფიქრობ, ეს ხელს შეუწყობს ვითარების დარეგულირებას და საზოგადოების გამთლიანებას. დარბაზის წევრები საღამოს აუცილებლად გავემგზავრებით ბათუმში და დიქტატურის მოწინააღმდეგეთა რიგებში დავდგებით. ერთი მომენტია - ჩვენ წავალთ, მაგრამ საკითხავია, ჩავუსწრებთ აბაშიძეს?

**ნანა ალექსანდრია**: გუშინ ყველა ტელეეკრანს ვიყავით მიჯაჭვული და შიშით შევცქეროდით ბათუმში განვითარებულ მოვლენებს. სამწუხარო ის იყო, რომ იმ წუთას მხოლოდ ასე შეიძლებოდა აჭარელებისადმი სოლიდარობა და მათ გვერდში დგომა. პირადად ჩემთვის ცრემლისა და ემოციის გარეშე შეუძლებელი იყო იმ კადრების ყურება, როდესაც წყლისჭავლმიშვერილი ორი ახალგაზრდა ამაყად აფრიალებდა საქართველოს დროშას. სწორედ მაშინ გამიჩნდა იმედი,



*ნანა ალექსანდრია, დავით მაღრაძე, ირაკლი ჩარკვიანი და დავით უსუფაშვილი*

რომ გადავრჩებით. ჩემი აქ გამოჩენის მიზეზი კიდევ ერთი ფაქტი გახდა: ორი ახალგაზრდა მოჭადრაკის წერილი, რომელნიც აპროტესტებენ ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატზე ასლან აბაშიძის სახელობის თასის დაარსების იდეას. თითოეული ახალგაზრდის მოქალაქეობრივი პოზიცია ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საზოგადოება მათ მხარში ამოუდგეს. რაც შეეხება „დარბაზის“ შეკრებას, აქ შეკრებილმა ადამიანებმა დააფიქსირეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებაში სრული ერთიანობაა და თუ საჭირო იქნება, აჭარლებს მთელი საქართველო დაუდგება გვერდით.

**ირაკლი კაკაბაძე:** ვფიქრობ, დღეს ყველამ ერთად უნდა ვთხოვოთ და მოვუწოდოთ ასლან აბაშიძეს, რომ ჯერ კიდევ რჩება დრო იმისათვის, რომ მან დათმოს საკუთარი თანამდებობა და წავიდეს ქვეყნიდან. ერთი ადამიანის სიცოცხლე ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკური იდეა და ყველა დიქტატორის რეჟიმი ერთად. ასლან აბაშიძეს ჯერ კიდევ აქვს შანსი არ შევიდეს ისტორიაში, როგორც საქართველოს დამანგრეველი და მშვიდობიანად წავიდეს. წავიდეს იმისათვის, რომ ასპარეზი მომავალ თაობას დაუთმოს, რომელიც დღევანდელი დღის შესატყვისად აზროვნებს. აბაშიძის ამჟამინდელი ქმედება მსოფლიო ისტორიაში კიდევ ერთ ეგომანიით დაავადებულ პატარა მინი დიქტატორს შეიყვანს, რაც ყოველი ჩვენთაგანისთვის დიდი სირცხვილი იქნება. მე დარწმუნებული ვარ, რომ აჭარლები და გურულები, კახელები და ქართლელები ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან. აბაშიძე კი უპირისპირდება მთელ საქართველოს მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას აქვს ისტორიული შანსი მთელ მსოფლიოში ღირსეული ადგილი დაიკავოს. ამიტომაც, კიდევ ერთხელ უნდა ვთხოვოთ აბაშიძეს, თუკი ის თვლის, რომ საქართველოს და ქართველებს ემსახურება, ყოველი ჩვენთაგანი, როგორც მისი დამქირავებელი მოითხოვს მის მშვიდობიან წასვლას ისე, რომ არც ერთი ადამიანის სისხლი არ დაიღვაროს ისე რომ არც ერთი უდანაშაულო ადამიანი არ შეეწიროს მის პოლიტიკურ კარიერას.

უდანაშაულო ადამიანების, მათ შორის ქალებისა და მოხუცების, ფარად დაყენება კი მხოლოდ მშიშარა ადამიანების ხვედრია. მე მინდა, რომ ასლან აბაშიძე ბოლომდე არ იქცეოდეს ისე, როგორც მშიშარა ადამიანი და მის ამბიციას არ შეეწიროს არც ერთი სულიერის სიცოცხლე. მან როგორმე უნდა გააცნობიეროს, რომ ქართველ ხალხს სამი ხიდის დანგრევის კი არა, პომპეუსის არ შეშინებია და ის არასდროს გაჩერდება. ჩვენ საქართველოს მოქალაქეები არავის მოკვლას და აფეთქებას არ ვაპირებთ, მაგრამ არც იმას დავუშვებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში უდანაშაულო ადამიანები დახოცონ. აბაშიძეს შეუძლია მოკლას რამდენიმე ადამიანი, მაგრამ ის ვერასდროს მოკლავს სამართალს და თავისუფლებას. ჩვენი აჭარელი დები და ძმები კი ნამდვილად იმსახურებენ თავისუფლებას.

**ლაშა ბაქრაძე**: მე დარბაზობებზე არა ვყოფილვარ, მაგრამ თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ორ საკითხზე გავამახვილებდი ყურადღებას: პირველი - აჭარა მუსულმანური მხარეა და ძალიან მნიშვნელოვანია ისლამური რელიგიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა. თუ ისინიც ღიად გაემიჯნებიან ასლან აბაშიძეს, მის მომხრეთა რიცხვი კიდევ უფრო შემცირდება. ასეთ ადამიანებთან თანამშრომლობა აუცილებელია დღესაც და აუცილებელი იქნება ასლან აბაშიძის დიქტატურის დამარცხების შემდეგაც. საქართველოს მოსახლეობის ნაწილი და ქართველი ხალხის ნაწილიც მუსულმანია და მათ ისეთივე ყურადღება და სათუთი მოპყრობა სჭირდება, როგორც დანარჩენებს. მეორე - მე სრულიადაც არ მინდა, ასლან აბაშიძე ქვეყნიდან გაიპაროს და ჩვენ ეს მას ვთხოვოთ კიდეც. იგი სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს. მისი სასამართლო ძალზე მნიშვნელოვანია ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე - ასეთი პატარა ტირანიები რომ აღარ განმეორდეს. არც ის არის აუცილებელი, რომ ყველა, ვინც ასლანს გამოექცა და დღეს დროშებს იქნევს, აღვაზევოთ.

# შემაჯამებელი

## ირაკლი ჩარკვიანის ულტრა-აკუსტიკური კონცერტი

ვერა ნეფარიძე

*ამაღამ „აჭარა მიუზიკ ჰოლში“ განსაკუთრებული მუსიკალური საღამოს მომსწრე გახდება თითოეული სტუმარი. იმის გარდა, რომ სწორედ დღეს შეაჯამებს ირაკლი ჩარკვიანი საკუთარ შემოქმედებით ეპოქას, რასაც ახლებური მუსიკალური ფორმით შეეცდება, ამ კონცერტით გამოჩნდება, რამდენად მომზადებულია ჩვენი საზოგადოება მიიღოს ხარისხიანი სამამულო პროდუქცია; ის საზოგადოება, რომელიც იგივე დარბაზს ავსებს და ხშირად ყიდულობს, არც ისე იაფად, ბილეთებს იმ გასტროლიორთა კონცერტებზე, რომელთა შემოქმედებასაც ნაკლებად იცნობს. თუ რატომ ღირს ამაღამ თბილისის მეგაკლუბად წოდებულ „მიუზიკ ჰოლში“ მისვლა, ამაში დარწმუნება საღამოს გმირთან, თავად ირაკლი ჩარკვიანთან საუბრის გზით ვცადეთ.*

**- დიდი ხანია კონცერტი არ გქონია. მოგენატრა სცენა?**

- არა. სცენაზე არ ვიდექი მთელი ამ რევოლუციის განმავლობაში?! საკონცერტო სცენა არ იყო ისიც? სცენა სცენაა. ხვალინდელ კონცერტს სცენის მონატრების გამო არ ვაკეთებ. უბრალოდ, კონცერტია, რა.

**- თუ გაიხსენებ საკუთარ ბოლო სოლო-კონცერტს?**

- სოლო-კონცერტს არ ვეძახი. ძალიან არ მომწონს ეს ტერმინი. სოლო-კონცერტია, როდესაც მარტო გამოდიხარ და საერთოდ, მარტო დგახარ სცენაზე. ჩემთან ერთად კი ყოველთვის ხალხია. ჩემთან ერთად ამ კონცერტზე რამდენიმე კაცი მუშაობს: ქეთათო, კაკადუ და მამუკა-ბერიკა. ეს არის ირაკლი ჩარკვიანის მორიგი ერთ-ერთი ჩვეულებრივი კონცერტი, რომელშიც უბრალოდ ირაკლი ჩარკვიანი, სხვა კონცეპტუალური კონცერტებისგან განსხვავებით, შეასრულებს იმ კომპოზიციებს, რომელსაც ყოველთვის არ ასრულებს ხოლმე. ეს კომპოზიციებია დაწყებული Svan Songs-დან დღემდე. დღევანდელი კონცერტი იქნება მთლიანად დანახვა მთელი იმ ეპოქის, რომელიც შევქმენი; შევხედავ საკუთარ თავს მთლიანობაში. ამ პროგრამაში შედის ყველა სიმღერა, რომელიც იცის მსმენელმა. შეიძლება ითქვას, რომ, გარკვეულწილად, კომერციული კონცერტია, რადგან ვასრულებ მსმენელის მოთხოვნას. მაგალითად, ყოველთვის უნდოდათ მემღერა „მე გადმოვცურავ ზღვას“, - არ ვმღეროდი ამ სიმღერას იმიტომ, რომ მობეზრებული მქონდა, მაგრამ ახლა ვიმღერებ. ამ კონცერტზე იქნება ყველა ის სიმღერა, რომელიც რაღაც დონეზე ნაცნობია მსმენელისთვის.

**- შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული საკონცერტო პროგრამა გექნება?**

- პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ეს, ფაქტობრივად, ის კომპოზიციებია, რომლებიც შეიქმნა უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში. რაც მთავარია, ეს კომპოზიციები წარმოდგენილია იმ სახით, როგორითაც, პრინციპში, არასდროს არ ყოფილა წარმოდგენილი. ყოველთვის ვაერთებდი გიტარას და ელექტრო მუხტი მოდიოდა. ამ კონცერტზე გიტარის აკუსტიკური ხმა იქნება გახმოვანებული მიკროფონით; ანუ ჟღერადობა იქნება რადიკალურად განსხვავებული იმ ჟღერადობისგან, რომელიც აქვს ელექტროინსტრუმენტებს. ხმა, რომელიც მჭირდებოდა, მიმეღო ამ პროგრამის წარმოსადგენად, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი. პროგრამა საკმაოდ ხანგრძლივი იქნება. ალბათ 22 კომპოზიციამდეა, თუ მეტი არა.

**- აუდიტორიაზე გიფიქრია, ვინ იქნება დღეს შენი მსმენელი?**

- მინდა, რომ მაინც უფრო კვალიფიციური აუდიტორია შეიკრიბოს; მინდა, მეტი იყოს ისეთი ხალხი, ვისაც მუსიკა აინტერესებს. რადგან, ეს კონცერტი ნაწილობრივ მასტერ-კლასიც იქნება მათთვის, ვისაც საერთოდ აინტერესებს მუსიკაში მუშაობა; ვისაც აინტერესებს ის მიმართულებები, რომლებიც უხვად არის წარმოდგენილი ჩემს რეპერტუარში. იქნება ძალიან ბევრი კომპოზიცია, რომელიც დაფუძნებულია ჯაზის ჟღერადობაზე, არის ბლუზი, პრინციპში... ძალიან განსხვავებული მიმდინარეობის ნაწარმოებები. ფაქტობრივად ეს არის „ნოუ ჰაუ“, კავკასიური ტრიპ-ჰოპი, რომელიც სრულდება ცოცხლად, ყოველგვარი კომპიუტერიზაციის გარეშე; ეს არის სახლის ჟღერადობა, ჰაუსი გადატანილი სცენაზე; აბსოლუტურად აკუსტიკური და ცოცხალი.

**- დიდი ხანია ჩაფიქრებული გაქვს ეს კონცერტი?**

- დიდი ხანია დაწყებულია სამზადისი, გამორთული გიტარის ხმის ჟღერადობაზე აწყობილიყო მთელი პროგრამა. მცდელობა იმისა, რომ დავბრუნებულიყავი იმ ჟღერადობასთან, რომელიც ჩემთვის ნატურალურია და ეს არის შეერთებული გიტარის ჟღერადობა. თავიდან ვცადე ნინო ქათამაძის ჯგუფთან, „ინსაითთან“ ერთად გამეკეთებინა ეს პროგრამა, მაგრამ ჟღერადობამ თვითონ მაჩვენა, რომ რაც მე უნდა ვთქვა, სწორედ ის არის, რაც უნდა ვთქვა გამორთული გიტარით; რისი თქმაც მე მინდა დღეს, ეს არის აბსოლუტური



*ქეთათო და ირაკლი კონცერტისთვის ემზადებიან*

აკუსტიკა.

**- კონცერტი უბრალოდ დაემთხვა გიორგობას?**

- კარგად არ მახსოვს ხოლმე ეს თარიღები. კარგია თუ ცუდია, რომ გიორგობას ემთხვევა, არ ვიცი. ალბათ მაინც კარგია. მაგრამ ჩემი კონცერტისთვის მთავარია მივიღო ის ჟღერადობა, რომელიც მინდა მივიღო. მთავარია, „აჭარა მიუზიკ ჰოლში“ ისმოდეს ისე, როგორც უნდა ისმოდეს. ანუ, ტექნიკურმა ხალხმა, უნდა იმუშაონ, იმუშაონ ისე, რომ მსმენელმა გაიგოს ის, თუ რისი თქმა მინდა მე. არ ვიცი, ამას გიორგობა შეუწყობს ხელს თუ შეუშლის, მაგრამ ჩემთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომ რაღაც დამთხვევები ხდება.

**- შეკითხვაში უფრო ის სიმბოლური კავშირი ვიგულისხმე, რაც შარშანდელ ნოემბერსა და წლევანდელ მაისს შორის გაავლო ჩვენმა საზოგადოებამ. რამდენად შეეხები ამ კონცერტით აჭარის პრობლემას?**

- ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დღევანდელი კონცერტი დაეხმარება ამ პროცესს, რომ საქართველო უფრო დემოკრატიული ქვეყანა გახდეს. ყოველ შემთხვევაში, მე მაქსიმალურად ჩავდებ ენერგიას იმაში, რომ გავთავისუფლდეთ იმ ხალხისგან, რომელიც აფერხებს საქართველოს, როგორც ქვეყნის განვითარებას. ამიტომ, ჩემი დღევანდელი ჟღერადობა და ემოცია მიმართული იქნება სწორედ იმისკენ, რომ ჩვენი ქვეყანა გათავისუფლდეს ხალხისგან, რომელსაც არ უნდა განვითარება და რომელიც შუა საუკუნეებში ცხოვრობს, თუ შევძელი, რა თქმა უნდა.

**- რატომღაც მეგონა, რომ კონცერტისთვის აკადემიურ დარბაზს ამჯობინებდი.**

- მართალი რომ გითხრა, მეც ვარჩევდი აკადემიურ დარბაზს. შეიძლება ამის შემდეგი კონცერტი სწორედ აკადემიურ დარბაზში გავმართო. შესაძლოა, ეს იყოს კონსერვატორიის დარბაზი.

დღევანდელ კონცერტს უფრო კომერციული დატვირთვა აქვს. ცოტა ამ მიმართულებითაც უნდა იფიქროს, ალბათ, მუსიკოსმა. ხანდახან სჭირდება ხოლმე ადამიანს, ცოტა ფული აიღოს. თუკი გავაკეთებ აკუსტიკურ კონცერტს აკადემიურ დარბაზში, ეს არ იქნება კომერციული. მე არც ვიცი, კომერციულად რამდენად გაამართლებს დღევანდელი კონცერტი. უბრალოდ, მოვსინჯავ. მსმენელმა იცის, რომ „აჭრა მიუზიკ ჰოლი“ სადისკოთეკო დარბაზია, ამიტომ შევეცდები, მაქსიმალურად გამოვწურო ამ დარბაზიდან.

**- როგორ გგონია, რამდენად გაგიგებს დღეს მსმენელი?**

- მძიმე მდგომარეობაა მსმენელთან დაკავშირებით. საუბედუროდ, ძალიან გაფუჭებულია ყური, ამიტომ კონტაქტის პრობლემა არსებობს. იმდენად არის გარყვნილი ყური ფალსიფიცირებული ჟღერადობით, ფონოგრამით, რომ ცოცხალ მუსიკას ძალიან მძიმედ იღებს. ეს კონცერტი იქნება ნაბიჯი იმისკენ, რომ ჩვენი მსმენელი თანდათან მაინც მიეჩვიოს ცოცხალ მუსიკას; განასხვავოს ფონოგრამა ცოცხალი შესრულებისგან; იმდენად დაბრმავებული და დაყრუებულია ჩვენთან მსმენელი, მეშინია, როდესაც ვხედავ, რომ საერთოდ ვერ ამჩნევს ადამიანი, ვინ რას აკეთებს. თუ ამ კონცერტმა რამდენიმე ადამიანს მაინც აგრძნობინა - რა არის მართლა ცოცხალი მუსიკა და როგორ იქმნება, ეს იმპროვიზაციულობა თუ იგრძნო, თუ იგრძნო, რატომ არის ის ადამიანი ბედნიერი, ვინც ცოცხალ მუსიკას აკეთებს, რატომ ანიჭებს სხვა ადამიანებს ამით ბედნიერებას, - ძალიან გამიხარდება. ფაქტობრივად, ჩემს ყველა კომპოზიციაში არის ირაციონალური ნაწილი, თავისუფალი ყოველგვარი ლოგიკისგან, რომელიც არის აბსოლუტურად იქვე გაკეთებული; ამით მინდა, ჩემს მსმენელს ვაჩვენო ის, თუ როგორ კეთდება მუსიკა; რომ მუსიკა არის ის, რაც იმ წუთას ხდება. რასაც დღეს ვაჩვენებთ, ეს იქნება მუსიკის სამზარეულო; ჩვეულებრივი მასტერ-კლასი, მათთვის, ვისაც აინტერესებს, როგორ იბადება მუსიკა. დღევანდელ კონცერტს მე ულტრაცოცხალს ვუწოდებდი - იმიტომაა გიტარა გამორთული, რომ ეს იყოს ულტრაცოცხალი, ანუ აბსოლუტურად საწყისი; როგორც იქმნება კომპოზიცია, ისევეა მიწოდებული.

**- შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი კონცერტი, გარკვეულწილად შემაჯამებელი იქნება შენთვის?**

- შეიძლება ითქვას. უფრო იქნება იმის დანახვა მთლიანობაში, თუ რას ვაკეთებდი, ვინ ვარ და საით უნდა წავიდე. ეს იქნება რაღაც წერტილი, საიდანაც დავინახავ საკუთარ მომავალს. ეს კონცერტი იმ ოთხი ალბომის ჯამია, რომელიც გამოვიდა დღემდე; ალბათ, მეხუთე ალბომიც დღეიდან დაიბადება. დღეს რასაც მაჩვენებს აუდიტორია, რასაც მე აუდიტორიას ვაჩვენებ და რაც ამას მოყვება, იქნება, ალბათ, დაბადება რაღაც იდეის, რომელსაც დაერქმევა ახალი სახელი. ჩემს უკანასკნელ ალბომს ჰქვია „სავსე“, ანუ ეს თავისთავად შემაჯამებელი სახელი იყო რაღაცების; შეაჯამა რაღაც ეპოქა; დღევანდელი კონცერტიდან დაიწყება ახალი ეპოქა, რომელსაც დაერქმევა ახალი სახელი. მე მგონია, რომ შემდეგი ალბომის სახელი იქნება „მეფე“.

**- რის მიღებას ელი დღევანდელი კონცერტისგან?**

- ცოცხალი კონცერტებისგან მე ვიღებ ბედნიერებას იმიტომ, რომ პირველად ვუსმენ ხოლმე საკუთარ ნაწარმოებებს ასე გახსნილად. წარმოუდგენელია, სტუდიაში მიიღო სიამოვნება, რასაც ცოცხლად შესრულების დროს იღებ. სტუდიაში ჩაკეტილი ხარ, სცენაზე კი ისეთი ინფორმაცია შეიძლება მოვიდეს და ისეთი პასუხი გასცე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება შენი მომავლისათვის. ამიტომ, ჩემთვის ეს არის, პირველ ყოვლისა, უდიდესი სიამოვნება და ბედნიერება. მეორე ისაა, რომ ვგრძნობ, მე ამ ბედნიერების სხვისთვის გადაცემაც შემიძლია. შემიძლია, ვაჩვენო, რატომაა ბედნიერება მუსიკა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტებია - მე თვითონაც ვიყო ბედნიერი და სხვასაც ვაჩვენო, რატომ ვარ ბედნიერი.

**- არ შემიძლია არაფერი გკითხო რომანზე, რომელსაც კარგა ხანია ელის იგივე შენი მსმენელი?**

- რომანი არ დამთავრდა და უძლური ვარ ახლა გითხრა, რომ მე ამას დავამთავრებ. მე არ ვარ მოძალადე; მე ვარ ადამიანი, რომელიც, უბრალოდ, იღებს იმ ინფორმაციას, რაც გარემოდან მოდის. არ დამთავრებულა ტიპი და როგორ შემიძლია მე იმას ძალადობა და ჭიდაობა დავუწყო. მე ვერ ვეჭიდავები ვერც მუსიკას, ვერც ლიტერატურას; მე ვარ გამტარი ამ ყველაფრის. თუ ის მოვიდა და გაიარა ჩემში, გამოვიდა და მოაღწია შენამდე, მსმენელამდე, ძალიან კარგი. შეიძლება, საერთოდ ისე მოვკვდე, რომ ჩემმა რომანმა ვერც მიაღწიოს მკითხველამდე. მაგრამ, მე ამას არ ვთვლი პრობლემად. რაც სათქმელი მაქვს, მე იმას ვიტყვი დღეს საღამოს; ე.ი. რაც სათქმელი მაქვს იმ რომანით, ჯერ არ დამდგარა იმის დრო.

**- უხეშად რომ ითქვას, მუსიკალური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობ ახლა?**

- არ მინდა, ასე ვთქვა იმიტომ, რომ მუსიკა, პოეზია და პროზა ჩემთვის ერთი მთლიანობაა, ერთი პერიოდი. უბრალოდ, გამოხატვის სხვადასხვა ფორმებია. რომ ვთქვა დღეს ნაკლებად პროზაულად ვარ განწყობილი, ან ნაკლებად ფორმაში ვარ პროზის თვალსაზრისით, ტყუილი იქნება. ზუსტად ისე ვარ ნარეპეტიციავები ამ რომანისთვის, როგორც ხვალინდელი კონცერტისთვის. უბრალოდ, ყველაფერს თავისი დრო აქვს და მე ვერ ვცვლი ამ ტენდენციას. მე არ ვებრძვი დროს. დრო თვითონ მაჩვენებს იმას, როდის რა უნდა გავაკეთო. ამ კონცერტის შემთხვევაშიც ასე მოხდა: დრომ მითხრა, რომ ახლა დროა, შენ, ირაკლი, გამორთული გიტარით თქვა სათქმელი. აი, ამ დონეზე ვწყვეტ ხოლმე. შეიძლება ვიღაცამ მითხრას გარედან, რომ რაღაცის დროა, და მე, უბრალოდ, მივხვდე, რომ ზუსტია ეს.

# როცა რაღაც ძალიან გინდა (?) თქვა

(ორიოდე სიტყვა ქართველ მხატვართა ერთ დღეს გახსნილი ორი გამოფენის შესახებ)

თეა პიკაძე

ადამიანი, დღეს, ცხოვრების გიჟური რიტმისა და სხვა მრავალი რამის გამო, ერთსა და იმავეს (სულ ერთია, ეს რა იქნება), დიდხანს ვერ ჰგუობს. ხელოვნება კი, რომელშიც ეს ცხოვრება ყველაზე დაუყოვნებლივ და ცხადლივ ირეკლება, ამ რიტმს აყოლილი, ისე სწრაფად იცვლება, მისი „მცოდნენი“ ვერც კი ასწრებენ დაარქვან ახალი „იზმი“. როგორც არასდროს, ისე მრავალფეროვანია დღეს „რაობითა“ თუ „რაგვარობით“ ხელოვნება, - უწინ არც როდის ყოფილა ასეთი სიმრავლე და ნაირგვარობა თემებისა და, მით უმეტეს, ასეთი სიუხვე და მრავალსახეობა სტილისა, მანერისა, მასალისა... ხელოვნების ხასიათის ცვლილებამ, ასახვის ობიექტისა თუ გამოსახვის საშუალებების თითქმის წარმოუდგენელმა მრავალფეროვნებამ მაყურებლამდე მისი მიტანის ხერხების შეცვლაც (ყოველ შემთხვევაში - გამდიდრება) გამოიწვია. კლასიკური საგამოფენო სივრცე დიდი დარბაზებით, თეთრი კედლებით, საგანგებოდ მოწყობილი (ან ქართულ რეალობაში - მოუწყობელი) განათების სისტემებით ნელ-ნელა წარსულს ბარდება. ის გარდასულ საუკუნეთა ქმნილებების საექსპოზიციოდღა რჩება განსაკუთრებით მისაღები, ან - დღეს, მაგრამ კლასიკურ სტილში შესრულებული, აკადემიური მხატვრობისთვის. თუმცა, ასეთი, გასაგებია რატომაც, სულ უფრო ცოტა იქმნება.

კარგი გამოფენებით, თბილისელები, სამწუხაროდ, განებივრებულნი არ ვართ. მგონი, არც უბრალოდ - გამოფენებით. მით უფრო გასახარი იყო ერთსა და იმავე დღეს, სხვებთან შედარებით რამდენადმე გამორჩეული ორი გამოფენა ერთდროულად რომ გაიხსნა. თუმცა, მეორეს უბრალოდ გამოფენას ვერ დაარქმევ, - აქცია იყო. ჩემთვის საინტერესოც სწორედ ეს აღმოჩნდა: დროსა და სივრცეში თანხვედრილი (მეტისმეტადაც!), მაგრამ ფორმითაც და შინაარსითაც სრულიად განსხვავებული ორი არტმოვლენის ზედიზედ ხილვა.

ხელოვნების ნაწარმოებთა მნახველისთვის მიწოდების ხერხები რომ ვახსენე, მათი საერთო კონცეფციით გაერთიანებასაც ვგულისხმობდი. უწინ საგამოფენო სივრცე ეთმობოდა ერთმანეთთან ძალიან პირობითად დაკავშირებულ ნამუშევრებს (მაგალითად, ამ თუ იმ თაობის მხატვართა ტილოებს). დღეს თავად ავტორებს და მათ მიერ კონკრეტულ თემაზე, საერთო იდეის გარშემო, ხშირ შემთხვევაში საგანგებოდ შექმნილ ნაწარმოებებს, ისევე როგორც ადგილს მათ განსათავსებლად, სახელოვნებო სივრცეში ახალი (საქართველოსთვის - ახალი და ვერც მთლად ფეხმოკიდებული) პერსონაჟი - კურატორი არჩევს/გვთავაზობს. ჯერჯერობით ჩვენში ეს მოდურის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე რეალურად მოქმედი მექანიზმისა. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გახსნილი ვერნისაჟის აფიშა ამაყად გვეპატიჟებოდა „ქართველ მხატვართა ნამუშევრების კონცეპტუალურ გამოფენაზე (ეს ბავშვური განცხადება მაშინათვე მიეტევათ, როცა გაირკვა, რომ ორგანიზატორები მართლაც ბავშვები იყვნენ), მეორე, გამოფენა-აქცია კი „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომში დაღუპულთა ხსოვნას“ ეძღვნებოდა და იქვე მასში ჩაქსოვილი სხვა, მომწყობ-მონაწილეთათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი აზრიც ფიქსირდებოდა, რომ ის მოწოდებულია „რუსეთის სამხედრო ბაზების წინააღმდეგ“. აქვე ვიტყვით, რომ პირველი გამოფენის კურატორები საუნივერსიტეტო სტუდენტური პროექტების კონკურსში გამარჯვებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის IV კურსის სტუდენტები იყვნენ, სოფო კილასონიასა და ანა ძიაპშიპას ხელმძღვანელობით, მეორისა კი („ორი სათაურის გარეშე“) - მიშა შენგელია, ბაია სიხარულიძე და ნინო მეჟევიძე.

მაშ ასე, კურატორული პრინციპით გამართული ეს ორივე მხატვრული ღონისძიება უკვე განსხვავდება და თუ საზომად გამოფენის მოწყობისადმი ახლებურ (ისევ ვიმეორებ - ჩვენთვის ახლებურ) მიდგომას ავიღებთ, აღემატება კიდეც სხვა გამოფენებს. თბილისურ რეალობაში გასაკუთრებით ხშირი კვლავ პერსონალური გამოფენები რჩება, რომელსაც თავისი ადგილი, ალბათ, ყოველთვის ექნება, მაგრამ საერთო „საგამოფენო ცხოვრებაში“ უნდა იკლოს მისმა წილმა, მგონია.

მაგრამ თემისა და იდეის გარშემო გაერთიანების გარდა რა უნდა აკავშირებდეს ნამუშევრებს, რომ მნახველისთვის ერთი მთლიანი ორგანიზმი შექმნან და გამოფენა - დიდი ასოებით - შედგეს?



აქციაზე - შესანდობარი

სასიხარულოა, რომ მუზეუმში მოწყობილი ექსპოზიციის კონცეფციის ავტორები სტუდენტები იყვნენ. არსებითია, რომ სტუდენტები ინტერესდებიან იმ პრობლემებით, რომელიც ჩვენს გალერისტებს ნამდვილად უნდა აწუხებდეს. თანაც, ცდილობენ ახალი შტრიხები შემატონ ტრადიციულ გამოფენას: მათი პროექტი სასწავლო პროგრამის განხორციელებასაც ისახავს მიზნად - სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტთა შეხვედრებს გამოფენაში მონაწილე მხატვრებთან. თან ეს ყველაფერი ცოცხალი მუსიკის ფონზე მიმდინარეობს. დარბაზში დადგმულ როიალთან შემსრულებელიც იცლება და მუსიკალური ნომრების ჟანრიც. ვერ გავექცევი ამ სიტყვებით შეფასებას - ნამდვილად მისასალმებელია! მაგრამ, გულდასაწყვეტია, რომ ახალგაზრდები ჯერ კიდევ (თუ - უკვე?) მოძველებულ ჩარჩოებში არიან მოქცეულნი. ეს ქართული ბუნების კონსერვატიულობის გამო თუა, რომელსაც, თუ გნებავთ, „ქართული ტრადიციონალიზმიც“ ვუწოდოთ. ტრადიცია კი სურათის კედელზე დაკიდებას ითხოვს, თანაც თუ გამოფენაზეა საუბარი, კედელი სასურველია „მყარი“ იყოს, ძველ, ქვის, მართალია, მოუვლელობის გამო პეწდაკარგულ, მაგრამ მაინც დიდებულ შენობაში! და გამოფენაში მონაწილე ყველაზე ახალგაზრდა ავტორების ოთახის სივრცეში (მაინც კედელთან ახლოს) მოლბერტებზე „გამოდგმული“ ორიოდ ნამუშევარი და ვიდეოინსტალაცია, ისიც მხოლოდ გახსნის დღეს რომ იდგა დარბაზში, ვერ არღვევდა განცდას „კედელი“. ასეთ შემთხვევაში გამართლებულია, რომ ისეთი ნამუშევრები იყო წარმოდგენილი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მონუმენტური, ზომით თუ შინაარსით საკმაოდ მასშტაბურია და კარგად სწორედ ასეთ სივრცეში იკითხება. უფრო ზუსტად - უნდა იკითხებოდეს, განათება რომ კარგი იყოს, ან ის უბრალოდ იყოს! დარბაზში საკმაო ხანს დავყავი და მხოლოდ წამოსვლისას მოვიდა შუქი, თუმცა ამით ბევრიც არაფერი შეცვლილა. არ მახსოვდეს მაინც ზოგიერთი ნამუშევრის გასაოცარი ფერადოვნება! - ირაკლი ფარჯიანის ლურჯი (რა უფერული სიტყვაა მარიამის სამოსის ფერთან შედარებით (სცენიდან „ხარება“) ან გოგა მაღლაკელიძის მწვანე (სიტყვით როგორ აღვწერო თითქოს შიგნიდან გამთბარი ეს ცივი (?) ფერი!). ძალიან მონდომებული და გაფაციცებული თვალი უნდა გქონდეს, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ექსპონატები ჯეროვნად რომ აღიქვა.

გარემოსთან შეხამების თვალსაზრისით ავტორები იქნებ წორედ შეირჩა, მაგრამ უფრო მთავარი კონცეპტუალური გამოფენისთვის ხომ სწორედ კონცეფციაა? ექსპოზიციას „საფეხურები“ ჰქვია და მისი მიზანია „წარმოჩინდეს XX ს-ის ქართული რელიგიური სურათის განვითარების ეტაპები“. განვითარება ცოტა სხვა რამეა, რომ არ ვთქვათ, რომ თვისობრივად მეტი, ვიდრე, უბრალოდ, მონაცვლეობა, თანაც მონაცვლეობა დროის საკმაოდ შეზღუდულ მონაკვეთში შექმნილი სურათებისა. წარმოდგენილ ავტორთა დიდი უმრავლესობა ხომ პრაქტიკულად ერთ თაობას ეკუთვნის (გია ბუღაძე, ლევან ჭოლოშვილი, ირაკლი ფარჯიანი, გოგა მაღლაკელიძე, ოლეგ ტიმჩენკო, დათო სულაკაური). მიუხედავად იმისა, რომ ერთ თემატიკაზე, თანაც - რელიგიურზე, რომელიც თავისთავად უნდა აერთიანებდეს, რაკი საერთო სულით გამსჭვალულს გულისხმობს, შექმნილი ნამუშევრები მაინც ცალ-ცალკე იკითხებიან. მნიშვნელოვანი, მეტად თუ ნაკლებად, არის თითოული მათგანი, დამოუკიდებლად, და მას აუცილებლად ახლავს წარწერა მხატვრის გვარ-სახელს, სურათის დასახელებას, შექმნის თარიღს, მასალას, ზომას რომ გვამცნობს. საგამოფენო ტრადიცია ხომ ამას ითხოვს! სამაგიეროდ, ავტორთა გვარებს ვერსად იპოვიდით სანახევროდ დანგრეული, ძველი, აგურის შენობის გამოფარღალალავებულ სივრცეში გამართულ აქციაზე, „დოგელ ოლექსი“ რომ ერქვა. ეს აფხაზეთში დაღუპული, მოხალისედ მებრძოლი უკრაინელი ჯარისკაცის სახელია, რომელზეც, კი ამბობენ, ჩვენს მხარეზე იბრძოდაო, მაგრამ ისე, კაცმა არც იცის... მაგრამ, სწორედაც რომ ეს არაა მთავარი. არც ის კონკრეტული სახელი იყო აქციის ორგანიზატორთათვის მთავარი, სადღაც, კუკიაზე რომ იპოვეს. ასეთივე წარმატებით „უცნობი ჯარისკაციც“ გამოდგებოდა. ეს დოგელი ალექსიც ისეთივე ანონიმია, როგორც ჭერ თუ იატაკ-ჩანგრეულ, წვიმით დასველებულ ოთახებში უსისტემოდ, ალოგიკურად (თავისებური ლოგიკით) მიმოფანტული ნამუშევრები. მთავარი იყო ის განწყობა, რომელიც მათ აერთიანებდა, აგრეთვე - გარემოს - ამ ნამუშევრებთან. კი, ბატონო, სანახევროდ დანგრეული იყო ეს გარემო (სამაგიეროდ, ეს ომის შთაბეჭდილებას აძლიერებდა!), მაგრამ თავისუფალი, პრაქტიკულად მოუსაზღვრავიც, რადგან ნაფანჯრალების დიდ-დიდი ღობეებიდან ლამის მთელი ძველი თბილისი მოჩანს.

აქ წარმოდგენილი ხელოვანნი სხვადასხვა, თითქმის ყველა თაობისანი იყვნენ, მუზეუმში გამოფენილთაგან განსხვავებით, სათაურის მიხედვით მთელი საუკუნე რომ უნდა მოეცვათ და საკმაოდ მრავალფეროვანნიც. რაც შეეხება კონცეფციას, ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული არა ყოფილა: თითქოს თანდათან მიუმატეს, უკვე მოფიქრებულში ახალი აზრიც ჩააქსოვესო - დაღუპულთა ხსოვნა, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის მოთხოვნა, ქართული ჯარის პოპულარიზაცია (ეს უკანასკნელი, პირადად მე, ვერსად ვნახე). მაგრამ მაინც იყო განცდა ერთსულოვნებისა. ნამუშევრებიც, მათი ავტორებიც, დამთვარიელებლებიც, გარემოც, ამინდიც კი, მისტიკური დამთხვევით, ერთიანდებოდნენ საერთო იდეით და ეს იდეა იყო მეტი, ვიდრე ვიღაცის ხსოვნა (თუმცა ეს თავისთავადაც ძალიან კარგია), ან რუსული სამხედრო ბაზების გასვლა (რაც უაღრესად საჭირბოროტო საკითხია და მასზე ყურადღების კიდევ ერთხელ, ახლებურად გამახვილება მუდამ დროული და საჭიროა). ეს იყო პროტესტი ზოგადად ომის, აგრესიის, ოკუპაციის წინააღმდეგ. მთლად ერთი სიტყვით რომ ვთქვათ კიდევ, აქ ტრიალებდა თავისუფლების იდეა. თავისუფლების სული, ვინ იცის მერამდენედ, მაგრამ კიდევ ერთხელ ამასწინებზე გაღვიძებული, როგორც ჩანს, ჯერ ისევ ფარფატებს ჩვენ გარშემო. აი რწმენა ღვთისა კი, სადღეისოდ ახალი ძალით გაღვიძებული თუ, მით უფრო - ანთებული, ნამდვილად არაა. ამიტომაც, ყველაზე მარადიული და ყველაზე ამაღლებული იდეა, რომელიც სწორედ XX საუკუნემდე იყო, უმჭიდროესად დაკავშირებული ხელოვნებასთან, ვერ იქცა იმ მუხტად, რომელზეც აქ და ახლა შედგება გამოფენა-დღესასწაული. ან იქნებ ამიტომ იყოს ეს ექსპოზიცია დღეს აქტუალური, სული რომ შეგვიღვიძოს? მით უმეტეს, რომ გამოფენის ორგანიზატორთა ძალისხმევით მას მრავალი მოსწავლე და სტუდენტი ნახულობს. გამოფენის ტრადიციულობა ამით მაინც ნამდვილად დარღვეულია - ხალხმრავლობა მხოლოდ გახსნის დღეს, შემდეგ კი, მნახველის მოლოდინში ამაოდ „დამშვრალი“ ცარიელი დარბაზი. თანაც, საკუთრივ ნამუშევართა მხატვრული ღირებულება, თუმცა, სამწუხაროდ, ყველაზე ეს ვერ ითქმის, განუზომლად მაღალია აქციაზე წარმოდგენილ ნამუშევრებთან შედარებით. მხოლოდ ფიროსმანის კიდევ ერთხელ ხილვა რად ღირს! მისი „სააღდგომო ბატკანი“ ერთბაშად აქარწყლებს ექსპოზიციის ყველა „მინუსს“. მონუმენტურ კომპოზიციაში, უმოძრაო ფიგურაში, ჩვენს საჭვრეტად, მსხვილი ხედით, წინა პლანზე, ნეიტრალურ, თანაც შავ, მაგრამ მაინც არალოკალურ, არამედ, სიბრტყობრიობის მიუხედავად ღამისა და სივრცისაც შეგრძნებით სავსე ფონზე მნიშვნელოვნებით აღსავსე რომ წარმომდგარა, ძლიერად იგრძნობა სიცოცხლე (მარადიული სიცოცხლე). იმხელა მუხტს, შინაგან სხივს და სწორედ - სიცოცხლეს იტევს თითო პატარა თეთრი ბლიკით მონიშნული წყვილი თვალი, ერთი დამთვარიელებლის აღტაცებული შეძახილისა არ იყოს, „აღდგომა მოგინდება!“

მის აქეთ-იქით განთავსებულ ნამუშევართა ავტორების ნაწილი კი თითქოს მწუხარედ აღიქვამს რელიგიას. ზოგიერთი (მაგ. უკვე ნახსენები ფარჯიანისა თუ მაღლაკელიძის, ან ჭოლოშვილის) ნამუშევრებისგან მიღებული წრფელი სიამოვნების მიუხედავად, „საფეხურებთან“ ერთად მაინც გამოიკვეთა ტენდენცია, რომელიც რელიგიურ სურათებში სულიერების კლებისკენ მიგვითითებს. თუ ესე გაგრძელდა, ვისურვებდი, რომ დასახატად გამზადებული ცარიელი ტილო, პირობითი სათაურით „XXI“, დროებით ისევ ცარიელი დარჩეს.

იქნებ სამწუხაროც იყოს, გამოფენაზე მისულს რელიგიური სურათის ნაცვლად, ან საერთოდ, სურათის ნაცვლად, მაგალითად, არყის ცარიელი (გამოცლილს ვიტყოდი) ბოთლი რომ დაგხვდება, შიგ ტვინით (ისიც კარგია, მხოლოდ მისი სურათით!) - რუსეთთან ძლივს ოდნავ მომთბარ სიტუაციაში ერთობ არაპოლიტკორექტული ინსტალაცია. იქნებ მრავალთათვის ისიც სამწუხაროა, რომ ამ ყველაფრის სანახავად „დარბაისლურ“ დარბაზში კი არ შეხვალ, არამედ სანახევროდ დანგრეულ შენობაში, სადაც ხან ზევით უნდა იყურო, რამე რომ არ დაგეცეს თავში, ხან ქვევით, სადმე რომ არ ჩავარდე და ბოლოს ისე წამოხვიდე, ყველა ნამუშევარს ვერც მიაგნო.

არ ვიცი, ერთად ეს როგორ გამოდის - ესეც თქვენ, კიდევ ერთი ქართული ფენომენი, - კონსერვატორული ბუნების, ტრადიციების ერთგულების პარალელურად ყველაფერი ახლისათვის ფეხის აყოლებაც ძალიან გვხიბლავს და ვაყოლებთ კიდეც (არ ჩამოვრჩეთ ვინმეს რამეში!). დღევანდელი ადამიანი კი, აქედან დავიწყეთ, დიდხანს ერთით ვერ „კავდება“. ხელოვნებაც - ყოფის სარკე - ჩვენს დროში არსებობს მხოლოდ დღევანდელი დღით. დღეს ნახავ იმას, რაც ხვალ აღარ იქნება, ნამუშევარსაც, თუ გინდა იქვე „გაუსინჯავ გემოს“, პირდაპირი მნიშვნელობითაც, თუ ის შავი პური და სალაა; ჭიქა არაყსაც შესვამ უცნობი უკრაინელი ჯარისკაცის მოსაგონრად. საწყალს, ალბათ, არავინ ჰყავს, შენ გახდები დღეს მისი ჭირისუფალი. ან ამ ჭიქას, უბრალოდ, შესვამ. მერე ნახავ, შენს თვალწინ როგორ დაიწვება გამჭვირვალე ფარდაზე გამოსახული მსხვერპლად შესაწირი ცხვრის ლამის უსხეულო ფიგურა (სხვათა შორის, ოლეგ ტიმჩენკო, ეს ინსტალაცია საგანგებოდ ამ აქციისთვის რომ შექმნა - ეს contemporary art-ისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი, ჩვენში მრავალთაგან ჯერაც გაუზიარებელი პირობაა, ერთადერთი იყო, ორივე გამოფენაზე რომ „მოხვდა“).

მოეწონოს, არ მოეწონოს, თითოეულის ნებაა, მაგრამ დღეს ნამუშევრების ასეთ სივრცეში ნახვა უფრო სიამოვნებს თვისობრივად თანამედროვე მნახველს. ტრადიცია კი... შენ გაბედე, თორემ არც ფიროსმანს უხატია სასახლეთა კედლებზე ადგილის დასადებად, არამედ - დუქნების.

სვეტი



მალხაზ ხარბედია

## პირადი ბიბლიოთეკა

ლუიჯი პირანდელო,
„განსვენებული მატია პასკალი“ (1904)

ეს რომანი ძალიან უცნაურად იწყება. ჯერ მთხრობელი რამდენჯერმე გაიმეორებს თავის სახელს, „მე მქვია მატია პასკალი... მე მატია პასკალი ვარო...“, შემდეგ კი არც აციებს, არც აცხელებს და მოულოდნელად გაგვიმჟღავნებს, მკვდარი გახლავართ, მიცვალებულიო. როგორი საქმეა, კაცი სხარტი იტალიურით (ან თარგმანის რუსულითა თუ ქართულით) გელაპარაკება და გიმტკიცებს მკვდარი ვარო, თანაც იმასაც დასძენს, ერთხელ კი არა, რამდენჯერმე გარდავიცვალეო, პირველად შეცდომით, შემდეგ კი... თუმცა იგი ამ სამწერტილთან წყვეტს აბზაცს და „სჯობს ყური დამიგდეთო“ - გვეუბნება. ახალ თავში კი, რომელსაც ჰქვია, „მეორე წანამძღვარი ბოდიშის მაგიერ“, უკვე ამბის მოყოლას იწყებს.

ჩვენც, რა თქმა უნდა, ინტერესით მივყვებით თხრობას, რადგან ეჭვი გვაქვს, რომ ამ რომანში ჰომეროსის „ოდისეას“ აჩრდილებივით სისხლმოწყურებული მიცვალებულები კი არ დაგველაპარაკებიან, ან ენაწყლიანი გვამები, სხვა ლიტერატურული ნაწარმოებებიდან რომ ვიცნობთ, არამედ ცოცხალი კაცი, რომელსაც ორგზის მკვდარი ჰგონია თავი.

„განსვენებული მატია პასკალი“ თავიდან გოთიკური რომანი გეგონება კაცს, თავად მთავარი გმირი კი ვინმე ალასფერი ან მოხეტიალე მელმოტი - ლიტერატურის ისტორიაში ხომ ხშირად გვხვდებიან ასეთი პერსონაჟები: ძველ ლეგენდებში, ლუისის „ბერში“, მეტიურინთან, ბორხესთან და სხვ., ანუ ადამიანები, რომლებიც გარკვეული დანაშაულის გამო მტანჯველი უკვდავებით დაისაჯნენ და ღმერთმა ისინი მარადიული ხეტიალისთვის გაწირა. მაგრამ არა, მალე ვხვდებით, რომ საუბარია ცოცხალ ადამიანზე, რომელიც არც საუკუნეების წინ იყო შობილი და არც მარადიული ხეტიალი ჰქონდა მისჯილი, თუმცა კი იტალიასა და მის შემოგარენში ბლომად იბოდიალა.

ერთ-ერთი ასეთი „გასეირნების“ დროს, მატია პასკალი მონტე-კარლოში აღმოჩნდება, დიდძალ ფულს მოიგებს და გზად შინისაკენ გეგმების დაწყობას შეუდგება. ფიქრობს, რომ მამამისის მამულებს გამოისყიდის, სოფელში დასახლდება და მეწისქვილეობას მოჰკიდებს ხელს. შემდეგ დასძენს, „კაცს მიწასთან ახლო ყოფნა ურჩევნია; თუმცა, ვინ იცის, იქნებ მის ქვეშ უფრო უჯობდეს“-ო და სწორედ ამ დროს, თავისი მშობლიური ქალაქის გაზეთში ამოიკითხავს, რომ ქალაქის გარეუბანში, წისქვილის საგუბარში, უცნობი გვამი უპოვიათ. გაზეთი წერდა, „მოგვიანებით გვამი ამოცნობილ იქნა და იგი აღმოჩნდა ჩვენი ბიბლიოთეკარი, მატია პასკალი, რომელიც რამდენიმე დღის წინ გაქრა. თვითმკვლელობის მიზეზი უსასხსრობა უნდა იყოს.“ როგორია? კაცს ჯიბეში 82000 ლირა უდევს, შინ ბრუნდება, იქ კი მწარედ დასტირიან მის ბედსა და უპოვრობას. აი, ასე მოკვდა პირველად მატია პასკალი და „გარდაცვალების შემდეგ“ იგი პირდაპირ რომში გაემგზავრა, ყველა გზა (განსაკუთრებით კი მიცვალებულთა გზები) ხომ ისედაც რომში მიდიოდა. რომის შესახებ კი აი, რას ვკითხულობთ რომანში: „რომი მკვდარია... ჩაფლულა თავისი დიდებული წარსულის სიზმრებში... პაპებმა იგი ბარძიმად გადააქციეს, ხალხი ყოველი მხრიდან ჩამოდის და თავისი სიგარის ფერფლს აქ ფერთხავს“.

ასევე ჩამოიფერთხა მთელი თავისი წარსული მატია პასკალმა. იცვალა გარეგნობა, ელამ თვალებზე მუქი სათვალე გაიკეთა, გაიპარსა წვერი, თმა მოუშვა (ფიქრობს, რომ ასე გერმანელ ფილოსოფოსს დაემსგავსება), გადააგდო ნიშნობის ბეჭედი და, რაც მთავარია, სახელი გამოიცვალა. იგი ადრიანო მეისი გახდა და თხზვა დაიწყო, ახლიდან შექმნა თავისი ბიოგრაფია: დაიბადა არგენტინაში, მცირეწლოვანი ჩამოიყვანეს იტალიაში, მშობლები არ ახსოვს, ბაბუასთან იზრდებოდა, ცხოვრობდა ნიცასა და ტურინში.

იგი თვალს ადევნებს 5-10 წლის ბავშვებს და ცდილობს წარმოიდგინოს როგორი იყო ადრიანო მეისის ბავშვობა. აკვირდება მოხუცებსაც, ბაბუამისის სახის შესათხზველად: ერთისგან ძვლის სათუთუნე ისესხა, მეორისგან - ყავარჯენი, მესამისგან - სათვალე და ნიჩაბივით წვერი, მეოთხისგან - ცხვირში ქსუტუნის ჩვევა და შედეგად დიდებული (ცოტათი გამაღიზიანებელიც კი) ბერიკაცი გამოუვიდა.

თუმცა, ეს შესანიშნავი მთხზველი მკვდარია, იგი სხვისი სახელით ცხოვრობს, და რა გასაკვირი უნდა იყოს, რომ მისი ტყუილებიც რეალობად მოჩანს ხანდახან, ზოგჯერ კი, გათამამებული, უფრო ღონივრად მოუსვამს ხოლმე ტყუილის ნიჩბებს, ორივე ხელით ჩაებღაუჭება თავისი გამონაგონის ნავს და ღია ზღვაში გასული საბოლოოდ აუშვებს თავისი ფანტაზიის აფრებს. ეს მაშინ ხდება, როცა ადრიანო მეისიც იძულებულია სიცოცხლეს გამოეთხოვოს. საქმე ისაა, რომ ჩვენი მთხრობელი მეორეჯერ კვდება და ამჯერად იგი თვითმკვლელობით „ასრულებს სიცოცხლეს“, ხიდის ფართო მოაჯირზე ქუდის ბაფთაში გაჩრილ ბარათს დატოვებს და სწრაფად გაეცლება იქაურობას, გარბის ქალაქიდანაც. ესეც ასე, იქ, მის მშობლიურ მირანიოში წისქვილის საგუბარში დაიხრჩო მატია პასაკალი, აქ კი, რომში - ადრიანო მეისი ჩაიხრჩო.

ზემოთ ფანტაზიის აფრები ვახსენე და უნდა გითხრათ, რომ „განსვენებულ მატია პასკალში“ გენიალურად მახვილგონივრული და თამამი მიგნებები ისე მიერეკება გამონაგონის ამ ნავს, რომ მკითხველს ხშირად სუნთქვა ეკვრის. აი, ერთ-ერთი საუკეთესო მიგნება მათ შორის: „არ ვიცოდი, რა მექნა და რა მეღონა. ამდენი განცდის შემდეგ ცოტა მაინც რომ გამერთო საკუთარი თავი, გადავწყვიტე, ამ ორ მიცვალებულს პიზაში გასეირნებას მოვუწყობ-მეთქი. ოჰ, მერე როგორი სასიამოვნო გასეირნება გამოგვივიდა! ადრიანო მეისმა, რომელიც აქ უკვე ნამყოფი იყო, გადაწყვიტა, მეგზურობა გაეწია მატია პასკალისთვის, მაგრამ მატია პასკალს იმდენი საფიქრალი და საზრუნავი ჰქონდა, რომ მოღუშული ყველაფერზე თავს უქნევდა, ხანდახან კი ისე გაშლიდა ხელებს, გეგონებოდათ, ის აბეზარა, გრძელთმიანი, სერთუკსა და ფართოფარფლებიან ქუდში გამოწყობილი სათვალიანი ჩრდილი უნდა ჩამოიშორროსო“.

ამის შემდეგ განსვენებული შინ ბრუნდება, „მოელანდება“ თავის ნათესავებს, ცოლ-შვილს, თავის მეგობარს, ვისაც ახლა მისი ცოლი შეურთავს, და მამიდას (სახელად სქოლასტიკა რომ ჰქვია), ვისთანაც დასახლდება კიდეც. მუშაობს ბიბლიოთეკაში, მტვრიან სავირთხეში, სადაც ხანგრძლივი მეზობლობისგან ერთმანეთს შეწებებია უხამსი ტრაქტატი სიყვარულის ხელოვნების შესახებ და ვინმე ბენედიქტელი ნეტარი ბერის ცხოვრება. და მატიაც ამ წიგნების დაცალკევებასა და ვირთხების დევნაში ატარებს დროს.

ჰო მართლა, კინაღამ დამავიწყდა, იგი სასაფლაოზეც დადის ხოლმე, საკუთარ საფლავის ქვას დაჰყურებს წარწერით „ბედუკუღმართობის მსხვერპლი მატია პასკალი, ბიბლიოთეკარი“ და გამვლელებს აკვირვებს, ასე ეუბნება: „მე თვითონ გახლავართ განსვენებული მატია პასკალი... ეს მე ვარ მატია პასკალიო“-ო.

როგორც ზემოთ გითხარით, იგი წერასაც სწორედ ამ სიტყვებით იწყებს, ზის თავის მტვრიან ბიბლიოთეკაში და თამბაქოსფერი მელნით ფურცლებგაყვითლებულ რვეულში აღნუსხავს ნახეტიალებს, აღწერს ცხოვრებას ადამიანისას, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია სიკვდილისთვის, მაგრამ მკვდარია სიცოცხლისთვის.

მართალია, სინიორ პასკალს არ გაუმართლა, სამაგიეროდ, პირანდელოსთვის ეს რომანი პირველ დიდ გამარჯვებად იქცა.

www.pfl.ge

# მეორე გამოცდა

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამო" და ქუთაისის "ტორპედო" - ქართული საკლუბო ფეხბურთის ყველა დროის ეს ორი საუკეთესო კლუბი დაუპირისპირდება ერთმანეთს დავით ყიფიანის თასის ფინალში, რომელიც 26 მაისს "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება.

გუშინდელი ნახევარფინალებიდან დიდ ინტერესს იწვევდა გორში გამართული განმეორებითი მატჩი - ადგილობრივმა "დილამ" თბილისის "დინამოს" უმასპინძლა. ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელიც ორი კვირის წინ თბილისში, ეროვნულზე შედგა, "დინამოს" გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ თამაშის შემდეგ ნახევარ თვესაც არ გაუვლია, ამ მცირე დროში "დინამოში" ეპოქალური ცვლილებები განხორციელდა - თანამდებობა დატოვა მთავარმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა.

ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, გია გეგუჩაძემ ოთხი დღის წინ პირველი გამოცდა ჩააბარა: დაამარცხა ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი, ბოლნისის "სიონი" და ჩემპიონის ტიტულის დაცვის შანსიც რეალური გახადა. გუშინ გეგუჩაძეს და მის გუნდს ახალი, ამჯერად სათასო გამოცდის ჩაბარება უწევდა. მეტოქე არც ამჯერად იყო ხელწამოსაკრავი. მართალია, "დილა" ეროვნულ ჩემპიონატში სერიოზულ ამბიციებს არ ამჟღავნებს და შინ და გარეთ ქულებს არიგებს, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს. გორელებმა ფინალური ეტაპის სტარტზევე დაკარგეს საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის შანსი და ორი კურდღლის დევნას ერთის დევნა ამჯობინეს: მთელი აქცენტი თასის ტურნირზე გადაიტანეს. შემთხვევითი არ არის, რომ "დილამ" მეოთხედფინალში ტურნირს გამოთიშა მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი და ჩემპიონობის პრეტენდენტი, თბილისის "თბილისი".

გეგუჩაძემ ერთ-ერთი მთავარი სამწვრთნელო პრინციპი არ დაარღვია და გამარჯვებული შემადგენლობა არ შეცვალა. თუ არ ჩავთვლით ლადო ახალაიას, რომელსაც მიკროტრავმამ შეუშალა ხელი, გუშინ "დინამომ" ისეთივე შემადგენლობით დაიწყო მატჩი, როგორითაც ოთხი დღის წინ - "სიონთან". რაც შეეხება ახალაიას, მის ნაცვლად სანდრო იაშვილმა ითამაშა და, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, შეხვედრის ბედის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა. არც ტაქტიკურ მონახაზში იყო რაიმე ცვლილება: გეგუჩაძემ ისევ 3-4-3 განლაგება გამოიყენა.

მატჩი მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო, რაც მოულოდნელი არც იყო: გორელებს სტუმრად გაშვებული გოლის გაქვითვა სჭირდებოდათ. შედეგად, ზოიძის კართან რამდენჯერმე დაიძაბა ვითარება და ერთი-ორჯერ მასპინძლები ანგარიშის გახსნასთანაც საკმაოდ ახლოს იყვნენ, მაგრამ ეს "ახლოს" გოლში არ გადაზრდილა. თავის მხრივ, არც "დინამო" ყოფილა გულხელდაკრეფილი და, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, სახიფათოდ უტევდა სოლოლაშვილს.

მთავარი მოვლენები პეორე ტაიმში განვითარდა. 72-ე წუთზე ანჩაბაძემ მოედნის ცენტრიდან ზუსტი და გრძელი პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა იაშვილი, რომელსაც სოლოლაშვილის ჯობნა აღარ გასჭირვებია და ანგარიშიც გაიხსნა, თუმცა, თამაში "დაიხურა": ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ჩათვალეს, რომ პასის მომენტში იაშვილი თამაშგარე მდგომარეობაში იყო, რის გამოც ტრიბუნებიდან ქვების სეტყვა წამოვიდა. მატჩი თითქმის 10 წუთით შეწყდა. მასპინძლებმა გულშემატკივრები დააშოშმინეს და თამაში განახლდა, თუმცა, გასაგები იყო, რომ დარჩენილ დროში "დილა" ვითარების გამოსწორებას ველარ შეძლებდა. ორი მატჩის ჯამში წარმატების მისაღწევად მასპინძლებს უკვე სამი გოლი სჭირდებოდათ. მათ ეს ერთხელაც ვერ მოახერხეს და "დინამომ" ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. გეგუჩაძემ "დინამო 2"-ის კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოსცადა საქმეში: 65-ე წუთზე მელქაძის ნაცვლად მოედანზე შემოვიდა 18 წლის ჯაბა კანკავა, რომელმაც საყრდენი ნახევარმცველის ადგილი დაიკავა, გუნდი კი 3-5-2 განლაგებაზე გადაეწყო. შეიძლება ითქვას, რომ ამ გადაადგილებამ გაამართლა: ახალგაზრდული ასაკისა და სადებიუტო მღელვარების მიუხედავად, კანკავას ურიგოდ არ უთამაშია და გოლიც სწორედ ამ ცვლილების შემდეგ გავიდა.

გია გეგუჩაძე: "წინასწარ ნათელი იყო, რომ ეს მატჩი სანახაობრივი თვალსაზრისით მაინცდამაინც მიმზიდველი ვერ იქნებოდა. ორივე გუნდს შედეგი ესაჭიროებოდა და მოედნის თითოეულ მონაკვეთზე უშეღავათო ბრძოლაც ამან განაპირობა. ველოდით კიდეც, რომ ურთულესი მატჩი გვექნებოდა. მეორე ნახევარში ტაქტიკური ცვლილებები განვახორციელე და არც შევმცდარვარ. კმაყოფილი ვარ იმ ახალი ფეხბურთელების, რომლებიც ვათამაშე. მათ მომავალშიც მივცემ თავის გამოჩენის შანსს. მთავარ მიზანს მივაღწიეთ - 26 მაისს ფინალში ვითამაშებთ."

რაც შეეხება "ოლიმპიკის" სტადიონზე "სპარტაკსა" და ქუთაისის "ტორპედოს" შორის გამართულ მატჩს, აქ ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. ქუთაისელებმა შეინარჩუნეს პირველ შეხვედრაში მოპოვებული ორგოლიანი უპირატესობა. მართალია, ამჯერად "ტორპედოს" ფეხბურთელებს გოლით არ გამოუჩენიათ თავი, მაგრამ საკუთარი კარიც ხელუხლებლად შეინარჩუნეს და ფინალში გავიდნენ.

დოპინგი

# ველით რეკომენდაციებს

ბიბა ბურასაშვილი

ორი დღის განმავლობაში საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციას ევროსაბჭოდან სტუმრობდნენ. სამკაციანი დელეგაციის მიზანი საქართველოში დოპინგთან ბრძოლის საკითხების ახლოდან გაცნობა გახლდათ.

ზოგადად, დოპინგზე, ანუ აკრძალულ პრეპარატებზე მეტწილად დალხენილი ქვეყნის წარმომადგენლებს მიუწვდებათ ხელი, რადგან რიგი პრეპარატები საკმაოდ ძვირი ღირს, მაგრამ ევროსაბჭო წინდაწინვე იჭერს თადარიგს და საქართველოსთვის რეკომენდაციებს არ იშურებს.

ორდღიანი სტუმრობა თბილისში დელეგაციამ გუშინ დაასრულა. ამ დღეებში გამართულ შეხვედრათა ნუსხას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ სტუმრებს გადატვირთული გრაფიკი ჰქონიათ. შეხვედრა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, სპორტის დეპარტამენტში, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და კულტურის სამინისტროში, ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სემინარები სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში; შეხვედრა ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან, ფარმაცევტულ ფირმა "ჯი-პი-სი"-ში. დაათვალიერეს სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრები და, რა თქმა უნდა, შეხვედრა მასპინძლებთან - საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციაში.

ასოციაციის პრეზიდენტის ზურაბ კახაბრიშვილის თქმით, ევროსაბჭოს ექსპერტებმა უამრავი რამ ჩაინიშნეს, შინ დაბრუნებულები კი რეკომენდაციათა სრულ ნუსხას გამოგვიგზავნიან. მაგრამ მანამდე, აქვე, რამდენიმე რეკომენდაციის დატოვება მაინც მოასწრეს. კერძოდ, აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემაში დოპინგის საკითხების შეტანა. ბუნებრივია, ასეთი საკითხები იქ უნდა შევიტანოთ, ვისაც, ზოგადად, სპორტთან, უფრო ზუსტად კი სპორტულ მედიცინასთან აქვს კავშირი. უნდა გამოიცეს ერთგვარი სამაგიდო წიგნი რიგი ქვეყნების ანალოგიური სახელმძღვანელოების გათვალისწინებით, ასევე აკრძალულ პრეპარატთა სრული მონაცემებით. აფთიაქებში ურეცეპტოდ არ გაიცეს ის პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ დოპინგს, ანუ აკრძალულ ნივთიერებებს... ერთი სიტყვით, მალე შედგება რეკომენდაციათა სრული ნუსხა, რომელსაც ევროსაბჭო უახლოეს ხანში გამოგზავნის.

ფეხბურთი

# "აუფშალკეზე" შეხვედრამდე



ფერნანდო მორიენტესმა თამაში მოიგო

"ჩელსი" - "**მონაკო**" 2:2 (1:3)

დასრულდა ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ბატალიები. ერთადერთი ფინალიღა დარჩა და მაისის ბოლოს "აუფშალკეზე" ისიც გაიმართება. გელზენკირხენის ამ შესანიშნავ სტადიონზე თამაშის პატივი ევროპის ორ უძლიერეს გუნდს ხვდა წილად. წლის მთავარ ტიტულს პორტუგალიის "პორტუ" და საფრანგეთის "მონაკო" გაითამაშებენ.

"პორტუ" ჩემპიონთა თასს ერთხელ უკვე ფლობდა. 1986 წლის სეზონის ფინალში მან - 2:1 დაამარცხა მიუნხენის "ბაიერნი". "მონაკო" კი ასეთ სიმაღლეზე არასოდეს აღზევებულა. ამდენად ფინალი უაღრესად საინტერესო სანახაობას გვპირდება.

ეს ფინალი ორივე გუნდმა დაიმსახურა. პორტუგალიელებმა "აუფშალკეს" საგზური სამშაბათს მოიპოვეს. ფრანგები კი მათ გუშინ შეუერთდნენ. ფინალისკენ მიმავალ გზაზე ორივე გუნდმა ევროპული ფეხბურთის თითო აღიარებული გრანდი დაიფრინა. "პორტუმ" "მანჩესტერ იუნაიტედი", "მონაკომ" კი მადრიდის "რეალი". ამ დაპირისპირებაში ყველაზე თვალსასეირო ის იყო, რომ "რეალს" ხუთიდან ორი გოლი ფერნანდო მორიენტესმა გაუტანა, ფეხბურთელმა, რომელიც "სამეფო კლუბმა" "მონაკოს" იჯარით დაუთმო. სწორედ მორიენტესის სახელს უკავშირდება ფრანგების წარმატება "ჩელსისთან" შეხვედრაშიც. ესპანელმა ფორვარდმა "სტემფორდ ბრიჯზე" დუბლი შეასრულა და დიდი შანსია, რომ ის წლევანდელ სეზონში საფრანგეთის გმირად აღიარონ. ყოველ შემთხვევაში მორიენტესი საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელი უკვე გახდა.

თამაშის დაწყების წინ ლონდონის "ჩელსის" რატომღაც ერთხმად მიიჩნევდნენ ამ წყვილის ფავორიტად და მოურიდებლად ვარაუდობდნენ, რომ აბრამოვიჩის ფულით გაჟღენთილი ლონდონური კლუბი იოლად დაძლევდა "მონეგასკურ" ბარიერს. არადა, ორი კვირის წინათ, პატარა სამთავროს წარმომადგენლებმა 10 კაცის ამარა 3:1 დაამარცხა ამბიციური ინგლისელები, მაგრამ ეს ფაქტი რატომღაც ყველამ დაივიწყა. მატჩი დაიწყო და "არისტოკრატებმა" გრონკიაერის მცდელობით პირველი ტაიმის შუაწელში გახსნა ანგარიში. ტაიმის მიწურულს კი ფრენკ ლამპარდმა მეორეც გაუტანა "მონაკოს" მეკარე რომას. თითქოს აქ ყველაფერი დასრულდა, მაგრამ ერთ წუთში მორიენტესმა თავისი გააკეთა. თავური დარტყმით შეამცირა ანგარიშის სხვაობა და მეტოქე აიძულა მეორე ნახევარი პრაქტიკულად თავიდან დაეწყო. მორიენტესის გოლი დეშამის გუნდისთვის ფსიქოლოგიური გამარჯვება იყო. რანიერისთვის კი დიდი თავსატეხი, რომლის ამოხსნაც "ჩელსის" იტალიელმა მწვრთნელმა ვერ მოახერხა.

მეორე ნახევარში მორიენტესმა ლამაზი გოლით საერთოდ დაუსვა წერტილი ინგლისელთა წლევანდელ ამბიციებს - 2:2. ამრიგად აბრამოვიჩი წელს სამი ტიტულის მოგებას აპირებდა - ინგლისის პრემიერლიგა, თასი და ჩემპიონთა ლიგა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ვერც ერთი ტიტულის დაუფლება ვერ მოახერხა. სპეციალისტთა ვარაუდით, "ჩელსის" ფიასკო აბრამოვიჩს დიდი ცვლილებების განხორციელებისკენ უბიძგებს. მით უფრო, რომ "მონაკოსთან" თამაშის წინ ჩუკოტკის გუბერნატორმა განაცხადა - თუ ფრანგებს ვერ გავცდებით გუნდში მხოლოდ ორ ფეხბურთელს დავტოვებ - ლამპარდსა და ტერის სხვებს ახალი კლუბის მოძებნა მოუწევთ. ადვილი შესაძლებელია აბრამოვიჩი ასეც მოიქცეს.

# ზიდანი: "ასე ცუდად არასოდეს მითამაშია"



ეს სეზონი ზიდანის ნამდვილად არ იყო

*მადრიდის "რეალის" საქმეები ცუდად მიდის, უძვირფასესი ვარსკვლავები ველარ თამაშობენ კარგად, მათ შორის ვერც ზინედინ ზიდანი. სამეფო კლუბის ფრანგი ნახევარმცველი "დეპორტივოს" წინააღმდეგ უკანასკნელ მატჩში მოედნიდანაც კი გააძევეს. გთავაზობთ ინტერვიუს ზიდანთან, რომელშიც ის თავის ახლანდელ მდგომარეობაზე საუბრობს.*

**- როგორ გუნებაზე ხარ ლა კორუნიაში მოედნიდან გაძევების შემდეგ?**

- ცოტა არ იყოს, გულდაწყვეტილი. ასეთი ფაქტი შენს თამაშსა და შენს გუნებაზე აისახება. ამის გამო გუნდი იძულებული გახდა, ათი კაცით განეგრძო თამაში. თანაც, ეს უკვე ზედიზედ მესამედ ხდება. ჩემი თანაგუნდელები ძალიან მეცოდება.

**- რას ფიქრობ შენს გუნდზე?**

- უკანასკნელ ხანს ისე არ ვთამაშობთ, როგორც გვინდა, მაგრამ მე ჩემი თანაგუნდელების მაგივრად ვერ ვილაპარაკებ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ პირადად მე ცუდად ვთამაშობ და ეს უკვე ორი თვეა გრძელდება. მაგრამ იმედი არ უნდა დავკარგოთ. წინ სამი მატჩი გვაქვს, თუმცა, არც ამ თამაშებზე მსურს საუბარი. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ცხრა ქულა მოვიპოვოთ, შემდეგ კი ვნახავთ, რა მოხდება. შარშან 78 ქულით მოვახერხეთ ჩემპიონობის მოპოვება. "მონაკოსთან" მარცხის შემდეგ რაღაც დაგვემართა. საკუთარ მოედანზე 0:3 წავაგეთ. წაგება შეიძლება, მაგრამ ასე?

**- გინდა თქვა, რომ ცუდ ფორმაში ხარ?**

- ახლა არ არის საჭირო ამაზე საუბარი. დიდი ხნის განმავლობაში, ჩვენი ძალისხმევის წყალობით, ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერები ვიყავით, გავაღწიეთ ესპანეთის თასის ფინალში და კარგად გამოვედით ჩემპიონთა ლიგის ფინალში. ახლა არ გვაქვს დაღლილობაზე ლაპარაკის უფლება, რადგან ამ ეტაპზე მხოლოდ ერთ მატჩს ვთამაშობთ კვირაში. "მონაკოსთან" მატჩის შემდეგ უცნაური რამ დაგვემართა. უკანასკნელი ათი თამაშიდან ხუთი წავაგეთ, მაშინ როცა რვა თვის განმავლობაში მხოლოდ ოთხი შეხვედრა გვქონდა წაგებული.

**- მას შემდეგ, რაც "რეალის" მაისურა მოირგე, ყველაზე რთული პერიოდი ხომ არ დაგიდგა?**

- ეს ეჭვგარეშეა. მე ცუდად ვთამაშობ და ეს ნათელია. ზოგჯერ ხდება, რომ შენ ისევე თამაშობ, როგორც ვარჯიშობ. ახლა მე ასე ვიქცევი: რეგულარულად ვვარჯიშობ და რეგულარულად ცუდად ვთამაშობ. ეს სიმართლეა. მწვრთნელი არ არის ამაში დამნაშავე, ის ხომ მოედანზე ჩვენს გვერდით არ არის. ეს პრობლემები მე უნდა გადავლახო. ნებისმიერ შემთხვევაში, მე გავაგრძელებ მადრიდის "რეალთან" ერთად ტიტულების მოპოვებას.

**- შენი პრობლემები ფიზიკურ ფორმაშია თუ თავში?**

- თავში. ახლა, მართლაც, ცუდი პერიოდია, მაგრამ ის უნდა გადაილახოს. როდესაც ჩემს თამაშს ვუყურებ, ვხედავ, რომ ასე არ შეიძლება. შესაძლოა, ეს ფიზიკური ფორმის ბრალიც იყოს, მაგრამ ამ საკითხში არ მაქვს პრობლემები. როდესაც იმარჯვებ, გინდა, რომ ასე გააგრძელო, ხოლო როცა ცუდი პერიოდი გიდგას, გინდა, ყველაფერი შეიცვალოს და შენ ისევ დაიწყო გამარჯვება. წინ კიდევ ცხრა ქულაა და ჩვენ გვინდა ამ ცხრა ქულის მოპოვება. იმედი გვაქვს, შარშანდელივით, ჩემპიონები გავხდებით.

**- და თუ ვერაფერს მოიგებთ, ეს კრახი იქნება?**

- დიახ, ეს მეტისმეტად დიდი წარუმატებლობა იქნება. მაგრამ ჯერჯერობით ვაგრძელებთ ბრძოლას.

**- შენი თანაგუნდელები ისევე ცუდად გრძნობენ თავს, როგორც შენ?**

- არა, ისინი უკეთესად არიან. ცხოვრებაში უარესი რამეებიც ხდება. ახლა მხოლოდ საფეხბურთო მოედანზე ვგრძნობ თავს ცუდად, ცხოვრებაში კი ყველაფერი კარგად მიდის. ზოგიერთი ფეხბურთელი ცხოვრებაში უკეთესად გრძნობს თავს, მაგრამ ახლა მათზე არ ვილაპარაკებ. ყველას თავისი აზრი აქვს, ხოლო, როგორც გუნდი, ჩვენ ცუდად ვგრძნობთ თავს. თამაშის სურვილი ყოველთვის მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ეს ცუდად გამომდის. მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე სულ ცუდად ხომ არ ვითამაშებ...

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ლონდონის "არსენალი" აქტიურად ჩაერთო ტურინის "იუვენტუსის" ფრანგი მცველის ლილიან ტურამის გადასაბირებლად. ფრანგმა განაცხადა, რომ წლევანდელი სეზონი უკანასკნელი იქნება ტურინული კლუბის შემადგენლობაში და კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. "იუვემ" ტურამი ტრანსფერზე დააყენა. ფეხბურთელზე "არსენალი", "ჩელსი" და "რეალი" აცხადებენ პრეტენზიას. "კანონირებმა" იტალიელებს უკვე შესთავაზეს 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი. "იუვე" 7 მილიონს ითხოვს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბარსელონამ" დაასრულა მოლაპარაკება "არსენალთან" და ჰოლანდიელ ჯოვანი ვან ბრონჰორსტთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კატალონიურ კლუბს ფეხბურთელთან მხოლოდ პირადი კონტრაქტის დეტალები დარჩა დასაზუსტებელი. შეგახსენებთ, რომ ბრონჰორსტი ამჟამად იჯარის წესით "ბარსელონას" ღირსებას იცავს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფრანგული "ლიონის" ბრაზილიელ ფორვარდს, ჯოვანი ელბერს სურს გერმანულ "ჰერტაში" გადასვლა. ბრაზილიელი, რომლის კონტრაქტი ფრანგულ კლუბთან 2005 წლის 30 ივნისს იწურება, ხელფასის შემცირებაზეც ყაბულს არის, ოღონდ ბერლინურ კლუბში ითამაშოს. "ჰერტას" მთავარი მწვრთნელი დიტერ ჰიონესი აცხადებს, რომ ბედნიერი იქნება, თუ 31 წლის ელბერს თავის კლუბში იხილავს. დარწმუნებული ვარ, ჩვენს კლუბს შესწევს უნარი, ასეთი ტრანსფერი განახორციელოს", - დაამატა ჰიონესმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** არგენტინელი დიეგო მარადონა კვლავ ინტენსიური თერაპიის პალატაშია. როგორც ლეგენდარული ფეხბურთელის პირადმა ექიმმა ალფრედო კაემ განაცხადა, მარადონა საავადმყოფოში ძლიერი გადაღლილობის გამო მოათავსეს. ექიმებს ჯერჯერობით მხოლოდ ჩვეულებრივი შემოწმება აქვთ დაგეგმილი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მილანმა" დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეიძინა "ლიონის" გამთამაშებელი ვიკაშ დორასო. ზოგიერთი ცნობის თანახმად, ფრანგმა მილანურ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. თუმცა, ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება დორასოს გაუჭირდება, რადგან "მილანს" საკმაოდ ჰყავს პლეიმეიკერები. ვარაუდობენ, რომ "მილანს" დატოვებს პორტუგალიელი რუი კოშტა, რომელიც სამშობლოში დაბრუნებას და "ბენფიკაში" თამაშს აპირებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დონეცკის "შახტარის" ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, თანამდებობიდან გაათავისუფლოს გერმანელი სპეციალისტი ბერნდ შუსტერი. შუსტერი გუნდს შარშან, ივნისში ჩაუდგა სათავეში. გერმანელის შემცვლელს 18 მაისს დაასახელებენ. თუ ვინ იქნება "შახტარის" ახალი მწვრთნელი, ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "რომას" სტადიონი "სტადიო ოლიმპიკო" ერთი მატჩით დისკვალიფიცირებულია. ამასთან, რომაული კლუბი ჯარიმის სახით 50 000 დოლარს გადაიხდის. ასეთი სასჯელი დედაქალაქურ კლუბს მილანში "სან-სიროზე" რომაელი გულშემატკივრების ცუდი საქციელის გამო მიესაჯა. მაშინ რომაელმა ფანებმა "მილანის" საჯარიმო მოედანი ცეცხლმოკიდებული პეტარდებით აავსეს და ტრავმა მიიღეს დიდამ და ჯენარო გატუზომ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "რომას" კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი, კლუბის ხელმძღვანელობის არაერთგზის განცხადების მიუხედავად, შეიძლება მომავალი სეზონიდან მაინც აღმოჩნდეს მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში. ტოტიმ განაცხადა, რომ დატოვებს კლუბს, თუ მომავალ სეზონში გუნდი არაკონკურენტუნარიანი იქნება, იბრძოლოს იტალიის ჩემპიონის ტიტულისთვის. როგორც ჩანს, ამ განცხადების სათქმელად ტოტის პროვოცირება გაუწია "მილანთან" მატჩმა, რომელშიც "რომამ", ფაქტობრივად, წლევანდელი "სკუდეტო" წააგო. "როცა ევროპის ჩემპიონატიდან დავბრუნდები, შვებულების წინ მსურს გავიგო, რა ხდება გუნდში: ვის შეძენას აპირებს "რომა" და რომელ ფეხბურთელს გაუშვებს", - განაცხადა ტოტიმ. ტოტის თქმით, ამაზე იქნება დამოკიდებული, დარჩება იგი გუნდში თუ მადრიდის გზას გაუყვება. თუმცა, მარტოოდენ ტოტის სურვილი შეიძლება საკმარისი არ იყოს. ცნობილია, რომ "სამეფო კლუბი" წელიწადში ერთ გახმაურებულ ტრანსფერს სჯერდება. წლეულს კი მადრიდელები რუუდ ვან ნისტელროისა და ტიერი ანრიზე აცხადებენ პრეტენზიას.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ამერიკელი ჩოგბურთელი მაილზ ტომპსონი ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ სამთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ამ ინფორმაციაში უჩვეულო არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი დეტალი. ტომპსონი ინვალიდია და ჩოგბურთს ინვალიდის სავარძლიდან თამაშობს, ხოლო დოპინგი, რომელიც მის ორგანიზმში აღმოაჩინეს - კოკაინია. ტომპსონი დოპინგზე ამხილეს შარშან, ოქტომბერში, ინვალიდებს შორის გამართულ აშშ-ის ღია პირველობაზე, რომელიც სან-დიეგოში გაიმართა. დისკვალიფიკაციის გარდა, ტომპსონმა უნდა დააბრუნოს 100 დოლარი, რომელიც მას საპრიზო ფონდიდან ჯილდოს სახით გადაეცა.

კალათბურთი

# "დინამო" ფინალშია

საქართველოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი. მესამე მატჩი

პაატა თოთაძე

**დინამო - თსუ 74:64**

ერთი რამ უკვე გაირკვა - თბილისის "დინამო" საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტია. გასარკვევი ისღა დარჩათ თბილისელებს, ვინ დაუპირისპირდება გადამწყვეტ მატჩში - თანაქალაქელი "სტუ-ჯეოსელი" თუ ბათუმის "ბასკო". ეს დღეს გაირკვევა. გუნდებს თითო მოთამაშე, სტუ-ს კი მწვრთნელიც დააკლდება. გუშინწინ მომხდარ ინციდენტზე კალათბურთის ფედერაციაში იმსჯელეს და დამნაშავეებს განაჩენი გამოუტანეს. "სტუ-ჯეოსელის" მთავარ მწვრთნელს ნუგზარ ჭეიშვილს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 300 დოლარის ეკვივალენტის ფულადი ჯარიმა "უბოძეს", ირაკლი ჯაფარიძეს - ათმატჩიანი და 500-დოლარიანი, ხოლო ბასკოელ ანატოლი ბერიშვილს ერთი მატჩის გამოტოვება და 200 დოლარის გადახდა მოუწევს.

გუშინდელ მატჩში დროის ერთადერთი მონაკვეთი, როცა თსუ იგებდა, პირველ მეოთხედში იყო. იქიდან მოყოლებული, "დინამო" ნელ-ნელა ზრდიდა სხვაობას ანგარიშში და მატჩიც საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა. პირველი მეოთხედის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ანგარიშში სხვაობა 6 ქულა იყო სტუდენტების სასარგებლოდ, თუმცა, მასპინძელმა "დინამომ" იმდენი მოახერხა, რომ მეოთხედი ერთქულიანი უპირატესობით მოიგო. მეორე მეოთხედში ჩემპიონის უპირატესობა უფრო აშკარა გახდა. მართალია, სხვაობა ანგარიშში კატასტროფულად არ გაზრდილა, მაგრამ "დინამო" თამაშის ხარისხით სჯობდა მოწინააღმდეგეს.

"მეტოქემ ხისტი დაცვა ითამაშა, ხანდახან ბინძურიც, ისეთი, როგორიც სპორტს არ შეშვენის. ამის გარდა, სხვანაირი იყო მსაჯობაც, ანუ მსაჯები იმაზე არ უსტვენდნენ, რაზეც წინა მატჩში. ყველაფერმა ამან განაპირობა ჩვენი მარცხი", - მატჩის შემდგომ თქვა თსუ-ს მწვრთნელმა მამუკა ტურაშვილმა.

სწორედ დაცვაში კარგი თამაში გახდა "დინამოს" წარმატების ერთ-ერთი პირობა. მეორე ნახევარში იყო რამდენიმე ეპიზოდი, როცა სტუდენტებმა, დინამოელთა შეცდომების შედეგად, ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდეც შეამცირეს, მაგრამ ჩემპიონი მალევე ასწორებდა ვითარებას, მატჩის ბოლოს კი "დინამოს" უპირატესობამ 11 ქულასაც მიაღწია. ვერც შენგელიას თავგანწირვამ უშველა სტუდენტებს. წინა მატჩის მსგავსად, ვეტერანი კალათბურთელი ამჯერადაც საუკეთესო იყო თანაგუნდელთა შორის (19 ქულა), მაგრამ... ბოლოს სტუდენტებს ჯერ მაისურაძე, შემდეგ კი თორთლაძე გამოაკლდათ ხუთ-ხუთი პერსონალურის გამო, თუმცა, არც მათი მოედანზე ყოფნის შემთხვევაში შეიცვლებოდა რამე, რადგან მატჩის დამთავრებამდე ძალიან მცირე დრო რჩებოდა.

"ნახევარფინალისა და ფინალის თამაში საქართველოში ძალიან ძნელია. ეს თქვენ ჩემზე კარგად იცით, თუმცა, ჩემმა გუნდმა ხასიათის სიმტკიცე გამოამჟღავნა და გადამწყვეტი ბრძოლა მოიგო", - გახარებული იყო "დინამოს" თავკაცი დრაჟენ ბრაიკოვიჩი. ამის შემდეგ მწვრთნელი ზაზა ფაჩულიას ესაუბრა და მომდევნო დღის შეხვედრაზე შეუთანხმდა. რაც შეეხება ფაჩულიას, როგორც გაირკვა, ის კმაყოფილი დარჩა ეროვნული ჩემპიონატით. "სიმართლე გითხრათ, ასეთ დონეს არც ველოდი, თუმცა, ნაკრებისთვის ეს დონე საკმარისი არაა. ნაკრებს მაღალი მიზნები აქვს და, სასურველია, დღეს მოედანზე მყოფი მოთამაშეების დონეც უფრო მაღალი იყოს", - განაცხადა ფაჩულიამ.

ჩოგბურთი

# რომი ღია ქალაქია

სანდრო ნავერიანი

კარგია, როცა რაიმე საქმიდან მოგებული გამოდიხარ. უფრო კარგია, როცა შენს საყვარელ საქმიანობაში გიმართლებს და წარმატებებს აღწევ. მოგეხსენებათ, რომში მიმდინარეობს მასტერსის ტურნირი, რომელშიც ირაკლი ლაბაძეც იღებს მონაწილეობას. გუშინ ვიუწყებოდით, რომ ირაკლი არგენტინელ გასტონ გაუდიოს უნდა შეხვედროდა. ლაბაძემ სულ იოლად დაამარცხა არგენტინელი (6:3, 6:2).

ამ ბოლო დროს ჩემს თავს ვაკვირდები და ერთი რამ შევნიშნე: ადრე ყოველი მატჩის წინ, რომელიც ირაკლის უნდა ეთამაშა, სულ მეშინოდა, არ წააგოს-მეთქი, მაგრამ რაც "ინდიან ველსის" მასტერსზე თავი გამოიჩინა, მას შემდეგ სულ დარწმუნებული ვარ მის გამარჯვებაში. ასე იყო გუშინაც: დარწმუნებული ვიყავი, ირაკლი გაუდიოს დაამარცხებდა. დაამარცხა კიდეც, მაგრამ უფრო შორს წასვლა ველარ შეძლო. მეორე წრეში ის მეორე ნომრად განთესილ ნიკოლას მასუსთან 2:6, 5:7 დამარცხდა და რომის მასტერსის ტურნირს დაემშვიდობა. არადა, იმ შემთავევაში, თუ ლაბაძე მასუს ბარიერს დაძლევდა, შეიძლებოდა, შეხვედროდა მარატ საფინს, რომელთანაც პორტუგალიის ტურნირის ნახევარფინალში ტრავმის გამო თამაში შეწყვიტა. საფინმა მაშინ შვებით ამოისუნთქა. "ახლა ირაკლი ლაბაძე შესანიშნავ ფორმაშია და მასთან პაექრობა ჩემთვის ძალიან ძნელი იქნება", - უფრთხოდა მაშინ რუსეთის ნაკრების ლიდერი ქართველ ჩოგბურთელს.



*ნიკოლას მასუმ ლაბაძე ტურნირიდან დაითხოვა*

ლაბაძე-გაუდიოს მატჩთან ერთად კიდევ ბევრი შეხვედრა გაიმართა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, ალბათ, მაინც ფავორიტების მონაწილეობით ჩატარებული თამაშები იქნება. შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა შვედი იონას ბიორკმანი დაამარცხა - 7:6, 6:3. ერთადერთი სენსაცია, რომელიც რომის მასტერსზე დაფიქსირდა (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) ენდი როდიკის ტურნირიდან გამოთიშვაა. შარშანდელი სეზონის ნომერ პირველი ჩოგანი არგენტინელმა გილიერმო კანამ დაამარცხა (7:6, 6:1) და ტურნირის პირველი სენსაციაც გამოაცხო. გილიერმო კანას მეტოქე იქნება ესპანელი დავიდ სანჩესი, რომელმაც, თავის მხრივ, რუსი იგორ ანდრეევი 6:2, 6:3 დაამარცხა. ლაბაძის მეტოქე ჩილელი ნიკოლას მასუ იქნება. მასუმ პირველ წრეში იტალიელი მასიმო დელაკუა 6:7, 7:5, 6:3 დაამარცხა. ფედერერი კი ესპანელ ალბერტ კოსტას ეთამაშება. მან პირველ წრეში ასევე ესპანელი ალექს კორეჩა 7:6, 6:1 დაამარცხა. რუსმა მარატ საფინმა იტალიელ სტეფანო პესცოსოლიდოს მოუგო - 6:4, 6:3. საფინის მეტოქე იქნება ტაილანდელი პარადორნ შრიჩაპხანი, რომელმაც იტალიელი ალესიო დი მაურო 7:6, 3:6, 6:3 დაამარცხა. პოსტსაბჭოურ დერბიში, რომელიც სომეხ სარგის სარგისიანსა და რუს ნიკოლაი დავიდენკოს შორის გაიმართა, რუსმა გაიმარჯვა და შემდეგ ეტაპზე ჩილელ ფერნანდო განსალესს შეხვდება. სებასტიან გროსჟანმა ესპანელი ფელისიანო ლოპესი 7:5, 6:2 დაამარცხა და შემდეგ ეტაპზე დაუპირისპირდება ესპანელ დავიდ ფერერს, რომელმაც პირველ წრეში დავიდ სანგინეტის სძლია. შარშანდელი უიმბლდონის ფინალისტი, ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი ესპანელმა ტომი რობრედომ დაამარცხა. მატჩი სამ სეტს გაგრძელდა და ესპანელის გამარჯვებით 6:2, 4:6, 6:4 დასრულდა. რობრედოს მეტოქე იქნება ხორვატი ივო კარლოვიჩი, რომელმაც გერმანელი ტომი ჰაასი დაამარცხა. ესპანელმა კარლოს მოიამ თანამემამულე ალბერტო მარტინი დაამარცხა და მეორე წრეში ხორვატ ივან ლუბიჩიჩს დაუპირისპირდება. ხორვატმა პირველ წრეში ფრანგ არნო კლემანს მოუგო.

ოლიმპიზმი

# ათენს აფეთქებენ - არა საოლიმპიადოდ

ორშაბათ-სამშაბათის გასაყარზე საბერძნეთისა და XXVIII ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ ათენში სამჯერ გაისმა ბომბის აფეთქების ხმა. ოლიმპიადის დაწყებამდე ზუსტად 100 დღით ადრე მომხდარი აფეთქებების ფაქტმა ოლიმპიური თამაშების მასპინძლები და მასში მონაწილე ქვეყანათა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები კიდევ ერთხელ დააფიქრა იმაზე, რამდენად უსაფრთხო იქნება მომავალი ასპარეზობები.

ათენის ერთ-ერთ რაიონში, კალითეას პოლიციის განყოფილებასთან, სამი ბომბი აფეთქდა. მართალია, აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა, მაგრამ ამ ფაქტმა წარმოშვა სავსებით ლოგიკური კითხვა: რამდენად იქნება დაცული უსაფრთხოების ნორმები ოლიმპიადისთვის?

საინტერესოა, რომ აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე საბერძნეთის ხელისუფლებამ მიიღო ანონიმური შეტყობინება, უფრო ზუსტად, გაფრთხილება მოსალოდნელ აფეთებაზე. ბუნებრივია, ხელისუფლებამ ასაფეთქებლად "გამზადებული" ტერიტორია შემოსაზღვრა.

"პირველი ორი აფეთქება ხუთი წუთის ინტერვალით მოხდა, - განაცხადა პოლიციის ერთ-ერთმა მოხელემ. - მესამე კი - ნახევარი საათის დაგვიანებით, რის შემდეგაც ექსპერტები ბომბების ძიებას შეუდგნენ".

ამგვარი შემთხვევები პირველი არაა არც ათენისთვის და არც საბერძნეთის სხვა ქალაქებისთვის. მეტიც: დროგამოშვებით ყოველთვის ხდება. ერთი ეგაა, იმ დაჯგუფებებს, რომლებიც ამ "გასართობებით" იქცევენ თავს, არამც და არამც არ სურთ, მათ აფეთქებებს მსხვერპლი მოჰყვეს. რამდენიმეკაციანი დაჯგუფებების მიზანი სულ სხვა რამ გახლავთ - საკუთარი ქმედებებით რაც შეიძლება მეტი ხმაური გამოიწვიონ, მაგრამ უმსხვერპლოდ.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე თავქარიანის გამოხდომებმა თავისი შედეგი გამოიღო: საოლიმპიადოდ გამზადებულ დელეგაციებს საკუთარი უსაფრთხოების საკითხი მეტისმეტად აფიქრებთ.

ამერიკელი მოცურავის, ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ამერიკელი მარკ სპიცის ამასწინანდელი განცხადება, - ტერორისტული აქტის თავიდან აცილების მიზნით ამერიკის ნაკრებმა, შესაძლოა, ათენში გამგზავრებისგან თავი შეიკავოსო, - საბერძნეთში ერთგვარ წინასწარმეტყველებად აღიქვეს. ცეცხლზე ნავთის დასხმის ეფექტი გამოიწვია რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებამ. მან ეჭვი შეიტანა ნატოს უსაფრთხოების ეფექტიანობაში. საქმე ისაა, რომ ათენის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებაზე ზრუნვა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსაც აქვს აღებული საკუთარ თავზე. კერძოდ, ნატოს ძალები საზღვაო აკვატორიისა და საჰაერო სივრცის გაკონტროლებით იქნება დაკავებული.

"მინდა გითხრათ, რომ ოლიმპიური ათენის ცის პატრულირება არაფრის მომტანი არ იქნება. პირიქით, შესაძლოა, თამაშების მონაწილეები გაალიზიანოს და მათში შიშის გრძნობა დათესოს", - სკეპტიკურადაა განწყობილი ივანოვი.

და მაინც, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ მიიჩნევს, რომ ეს აფეთქებები ოლიმპიადისკენ არის მიმართული. მიუხედავად ამისა, საბერძნეთის ხელისუფლება სოკ-ს აფეთქებების შედეგად განვითარებულ მოვლენებს დაწვრილებით აცნობებს. "მუდმივი კონტაქტი გვაქვს სოკ-თან, მაგრამ ამასთან დაკავშირებით სოკ-ისგან კომენტარები არ იქნება. ეს საბერძნეთის მთავრობის საქმეა. აშკარაა, რომ აფეთქებები ოლიმპიურ მოძრაობასთან კავშირში არ არის. იმედი გვაქვს, საბერძნეთის ხელისუფლება სიტუაციას გააკონტროლებს", - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტრატეგიას გვაცნობს სოკ-ის წარმომადგენელი ჟიზელ დევისი.

მოკლედ

## ცინცაძე "ლოკომოტივის" წინააღმდეგ ითამაშებს

გუშინ მოსკოვის ცსკა-ს კალათბურთელთა გუნდი გადაფრინდა დონის როსტოვში, სადაც რუსეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალური სერიის მესამე მატჩს გამართავს დონის როსტოვის "ლოკომოტივთან. საერთო გამარჯვების მოსაპოვებლად არმიელ კალათბურთელებს ერთადერთი მატჩის მოგება სჭირდებათ.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დუშან ივკოვიჩმა როსტოვში სრული შემადგენლობა წაიყვანა. შინ დარჩა მხოლოდ ეგორ ვიალცევი, რომელიც ხელის ტრავმას იშუშებს და აღდგენით პროცესს აგრძელებს. მწვრთნელის გადაწყვეტილებით, ვიალცევს შეცვლის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე. დონის როსტოვში გამგზავრების წინ არმიელებმა ორსაათიანი ვარჯიში გამართეს.

## შესაძლოა, ოლიმპიური პროგრამიდან ფეხბურთი ამოიღონ

ათენის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან შეიძლება ფეხბურთი ამოიღონ. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს ხელმძღვანელმა ფრედრიკ დონზემ. მისი თქმით, თუ უახლოეს პერიოდში ფიფა არ გააფორმებს ამ ორგანიზაციასთან შეთანხმებას, მაშინ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო ფეხბურთს ოლიმპიური პროგრამიდან ამოშლის.

2004 წლის იანვარში ანტიდოპინგური სააგენტოს შეფი დიკ პაუნდი და ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ერთმანეთს შეხვდნენ. მათ ციურიხში განიხილეს პრობლემის საკვანძო საკითხები და ძირითად პუნქტებში შეთანხმებამდე მივიდნენ. თუმცა, ბლატერს დღემდე შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერია. ამის მიზეზად ფიფა იმას ასახელებს, რომ დოკუმენტი დეტალურად არ შეუსწავლია.

შეთანხმებაზე ხელმოწერის თემა პარასკევს, ფიფას კონგრესზე, ძირითადი საკითხი იქნება. თუ კონგრესის შედეგების მიხედვით შეთანხმება ხელმოწერილი არ იქნება, მაშინ ფიფას მკაცრი სანქციები ემუქრება მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტოს მხრიდან.

ანტიდოპინგურ სააგენტოსთან ანალოგიური შეთანხმება ჯერ არ გაუფორმებიათ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირს, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციას და ციგურაობის საერთაშორისო კავშირს.

## ფორმულა 1-ისთვის ძრავები გაიაფდება

ფორმულა 1-ის რბოლებში წესების შესაცვლელად ესპანეთის გრან-პრის მიმდინარეობისას ერთმანეთს შეხვდება ფორმულა 1-ის ბოლიდებისთვის ძრავების შვიდი მწარმოებელი. საქმე ის არის, რომ ძრავის მწარმოებელთაგან მათი პროდუქციის ფასის ორჯერ შემცირება მოითხოვეს.

Ferrari , BMW, Mercedes-Benz, Renault, Honda, Ford და Toyota თანახმა არიან, ძრავებზე ფასი შემცირდეს (ახლა ისინი მილიარდი ევრო ღირს). ამ უქმეებზე ავტოგიგანტებმა უნდა დააზუსტონ შეთანხმების დეტალები, რათა ძრავების კონფიგურაცია კონკრეტულად შეიცვალოს. ფია-მ ავტოგიგანტებს ოთხი კვირა მისცა იმისთვის, რომ თავიანთი წინადადებები წარადგინონ.

"ყველა, შვიდივე კონცერნი თანახმაა, რომ ძრავების გაყიდვიდან შემოსავალი შეკვეცონ. კომპანიათა წარმომადგენლები ერთმანეთს ბარსელონაში შეხვდებიან, რათა მოილაპარაკონ, როგორ შეამცირონ ძრავების ფასი. ფია-ს მსოფლიო საბჭო 30 ივნისს გაიმართება. ამ დროისთვის უკვე ხელთ უნდა გვქონდეს ძრავების მწარმოებელთა კონკრეტული წინადადებები", - განაცხადა ფიას ბოსმა მაქს მოსლიმ.

ძრავების ფასის დაკლება ფია-ს მხრიდან კიდევ ერთი მცდელობაა, რომ როგორმე შეამციროს "ფერარისა" და მიხაელ შუმახერის უპირატესობა დანარჩენებთან შედარებით. ფია-ს აზრით, თუ უფრო იაფფასიანი და უბრალო ძრავები გამოიყენება, ეს რბოლის დროს ყველა გუნდის შანსს გაათანაბრებს.

## "ბოლტონი" დაეხმარება მარტოხელა რივალდოს

გუშინ საფეხბურთო კლუბ "ბოლტონის" მენეჯერმა სემ ალარდისმა განაცხადა, რომ მის გუნდს სურს, მიიღოს რივალდო. მან განაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა უკვე დაუკავშირდა რივალდოს, რომელმაც განაცხადა, რომ მოსაფიქრებლად დრო სჭირდება. ალარდისმა ასევე თქვა: გვესმის რივალდოს მდგომარეობა. ის ორგზის მსოფლიო ჩემპიონია და მილანის შემდეგ წასასვლელი არსად არა აქვს. ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ბედმა არ გაუღიმა. მან ასევე განაცხადა, რომ ბევრი დრო არა აქვთ და თუ რივალდო პასუხს მალე არ შეატყობინებს, კლუბი იძულებული იქნება, სხვა კანდიდატებზე იფიქროს. მან დაამატა: მე რომ მის ადგილას ვყოფილიყავი, აუცილებლად გამოვიყენებდი ამ შანსს და "ბოლტონში" ვითამაშებდი. შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ალარდისის ამ სიტყვებმა რივალდო მეტად გაანაწყენა. იგი არ აპირებს კლუბ "ბოლტონში" თამაშს, რადგან მიაჩნია, რომ ეს გუნდი მას ვერ შეეწყობა თუმცა, რივალდო არ გამორიცხავს მოკლევადიანი კონტრაქტის გაფორმებას კლუბ "ბოლტონთან" (მხოლოდ ერთი სეზონით).

TV-სპორტი

**ხუთშაბათი. 6 მაისი**

**НТВ + ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. დღიური
07:30 NBA TV. კონფერენციის ნახევარფინალი. პირველი თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი
15:10 რუსეთის თასი. ნახევარფინალი. "ტერეკი" - "შინიკი". პირველი მატჩი
16:55 თავისუფალი დარტყმა
17:10 "დარტყმა გოლისთვის"
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:25 რუსეთის ჩემპიონატი. ნახევარფინალი. "ტორპედო-მეტალურგი" - "კრილია სავეტოვ". პირველი მატჩი
20:10 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
20:40 "FUTBOL MUNDIAL"
21:10 თავისუფალი დარტყმა
21:25 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 საუიკენდო მატჩების ანონსი
21:35 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "ჩელსი" - "მონაკო". საპასუხო მატჩი
23:30 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი
01:20 თავისუფალი დარტყმა
01:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:30 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:25 03:25-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. კონფერენციის ნახევარფინალი. პირველი თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**

11:00, 13:45, 22:30 პრესცენტრი
11:20, 22:45 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:00 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 "Power week - NHL-ის კვირა"
12:15 "რკინის ფაქტორი"
12:45 "ათენის გზაზე`
14:20 ჩოგბურთი. "Masters Series" რომში
16:00 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship". შესვენებისას (17:00) - პრესცენტრი
17:55 მაგიდის ჩოგბურთი. ITTF Pro Tour ეგვიპტეში. ერთეულთა მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
21:15 "მოტოვებული კვირა"
22:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
22:50 სახვალიო ტელეპროგრამა
23:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
23:30 "სპორტის აკვატორია"
00:00 "ჩქაროსნული სამყარო"
00:30 "ბილიარდის მეუფენი"
01:00 ახალი ამბები
01:15 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
01:45 "საუკუნის ათლეტი". ვერა ჩასლავსკა
02:25 02:25-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. პლანეტა ევრო-2004
12:00 ფეხბურთი. პლანეტა ევრო-2004
12:30 ფეხბურთი. ევრო-2004-ის ჩემპიონთა ახალი თაობა
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
14:45 ჩოგბურთი. ახალბედა
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში
19:30 ფეხბურთი. უეფას თასი
20:30 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
21:00 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
21:30 ფეხბურთი. პლანეტა ევრო-2004
22:00 ფეხბურთი. იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთში
23:45 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
00:45 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
01:45 ახალი ამბები
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი
03:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
04:30 ახალი ამბები

## მოკლედ

### სურდოს ვირუსი კიბოს კურნავს

ავსტრალიელმა მკვლევარებმა სენსაციური აღმოჩენა გააკეთეს - მათ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები ცხადყოფს, რომ ჩვეულებრივი სურდოს ვირუსს კანის კიბოს, ანუ მელანომას ზრდა-განვითარების შეჩერება შეუძლია.

მეცნიერთა ჯგუფმა, რომელიც პროფესორ დარენ შაფრენის ხელმძღვანელობით მუშაობს, დაადგინა, რომ მელანომის ავთვისებიანი უჯრედების განადგურება შესაძლებელი ხდება, თუ შევძლებთ მათს ინფიცირებას გაციების ვირუსით.

"მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მიგნებული მეთოდი მეტად საჭირო აღმოჩენაა, რომელიც მედიცინას მელანომასთან ეფექტური ბრძოლის საშუალებას მისცემს", - ამბობს დოქტორი შაფრენი, რომელმაც თავისი მეთოდი უკვე გამოსცადა ცხოველებზე და უაღრესად იმედისმომცემი შედეგებიც მიიღო.

ახლა ჯერი ადამიანებზეა და თუ მათზე ჩატარებული ექსპერიმენტიც ანალოგიურ შედეგს მოიტანს, მაშინ კაცობრიობას უკვე აღარც უნდა ეშინოდეს მელანომისა. უფრო მეტიც, მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მათი მეთოდით მელანომას მკურნალობა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც კი, როცა დაავადების შორს წასულ ფორმებთან გვაქვს საქმე.

მეთოდის არსი მოკლედ შემდეგშია: გრიპის ვირუსი ინექციის სახით შეჰყავთ მელანომაში, რის შემდეგაც ვირუსი ინტენსიურ გამრავლებას იწყებს და ამ დროს ანადგურებს ავთვისებიან უჯრედებს. ამის გამო მელანომა ზომებში მცირდება და საკმაოდ მოკლე დროში სრულიად ქრება კიდეც.

მელანომა, ანუ კანის კიბო, მსოფლიოში კიბოს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა. იგი განსაკუთრებით გავრცელებულია ავსტრალიაში, სადაც მისი პოტენციური მსხვერპლი თითქმის ყოველი მეორე მოსახლეა.

### ავსტრალიელებმა დასახლებული გალაქტიკები გამოთვალეს

ავსტრალიელ ასტრონომთა გუნდმა გამოთვალა ჩვენი გალაქტიკის (ირმის ნახტომი) ის სექტორი, რომელშიც, შესაძლოა, სიცოცხლე არსებობს. სამწუხაროდ, ეს სექტორი ჩვენგან მეტისმეტად შორს მდებარეობს და მას კაცობრიობა უახლოეს პერიოდში ვერ მიაღწევს.

დადგენილია, რომ სიცოცხლის წარმოქმნისთვის საჭიროა ოთხი ძირითადი კომპონენტი: "მკვებავი" ვარსკვლავი (ჩვენთვის ესაა მზე), საკმაო რაოდენობით მძიმე ელემენტები (ნახშირბადი, ჟანგბადი, წყალბადი), რომლებიდანაც ხდება პლანეტების ფორმირება, სრულფასოვანი ევოლუციისთვის აუცილებელი დიდი დრო (მილიარდობით, მინიმუმ 4 მილიარდი წელიწადი), და მთავარი პირობა - სიახლოვეს არ უნდა არსებობდნენ ზეახალი ვარსკვლავები, რომლებიც დიდი აფეთქებებით და, აქედან გამომდინარე, განადგურებით ემუქრებიან ყოველგვარ ცოცხალს.

სწორედ ეს ოთხი კომპონენტი და მათ საფუძველზე სტუდენტი-ასტროფიზიკოსის, იემე ფენერის მიერ შექმნილი პროგრამა გამოიყენეს თავიანთი კვლევისას ჩარლზ ლაინეუივერმა და მისმა კოლეგა ბრედ გიბსონმა. სწორედ ამ ორი მკვლევარის ხელმძღვანელობით მომუშავე ჯგუფმა "აღმოაჩინა" გალაქტიკის დასახლებული ზონა.

მათვე დაადგინეს, რომ მზის სისტემა სრულიად შეეფერება იმ პარამეტრებს, რაც სიცოცხლის ჩასახვისა და განვითარებისთვისაა აუცილებელი. ამასთან, იგი მეტისმეტად ახალგაზრდაა და ძლიერ დაშორებულია გალაქტიკის ცენტრისგან, რაც აუცილებელია სიცოცხლის სრულფასოვანი განვითარებისთვის.

"რამდენიმე წლის წინ ანალოგიური გამოკვლევა უკვე ჩატარდა, მაგრამ მაშინ მისი მიზანი იყო დადგენა, არსებობს თუ არა მზისნაირი სიცოცხლე. ჩვენ ანალოგიური მეთოდიკა გამოვიყენეთ, ოღონდ ამჯერად, მთელი გალაქტიკის მასშტაბით", - ამბობს პროფესორი გიბსონი.

აღსანიშნავია, რომ ავსტრალიელი მეცნიერების მიერ გამოკვლეული ვარსკვლავებიდან მანამდე არცერთი არ იყო დაწვრილებით შესწავლილი. სამაგიეროდ, 2015 წლიდან მათ გამოკვლევას ჩაატარებს ახალი კოსმოსური აპარატი, რომლის შექმნასაც ერთობლივად გეგმავენ ევროპის კოსმოსური სააგენტო და აშშ-ის აეროკოსმოსური კვლევის სააგენტო.

### პლანეტა ურანზე ნახშირჟანგის მოლეკულები აღმოაჩინეს

ფრანგმა ასტრონომებმა გამოაცხადეს, რომ მათმა ტელესკოპმა პლანეტა ურანის ატმოსფეროში ნახშირჟანგის კვალს მიაგნო. აღმოჩენა ეკუთვნის ცნობილ სამხრეთევროპულ ობსერვატორიას, რომელიც ცნობილია იმით, რომ მასში დამონტაჟებულია 8-მეტრიანი ტელესკოპი სახელწოდებით "ძალიან დიდი ტელესკოპი".

ურანზე დაკვირვება წარმოებდა მაღალმგრძნობიარე ინფრაწითელი სპექტრომეტრის მეშვეობით. მკვლევართა აზრით, ურანის ატმოსფეროში ნახშირჟანგის მოლეკულები გარე სამყაროდან უნდა მოხვედრილიყო. შესაძლოა, იქ ნახშირბადის მოლეკულებმა, წყლის მოლეკულების მსგავსად, მეტეორიტების საშუალებით შეაღწია.

ასტრონომები თვლიან, რომ მათ მიერ გაკეთებული აღმოჩენა საშუალებას იძლევა, გავიგოთ დაახლოებით იმის შესახებ, რომ ურანი და მასთან მისი მსგავსი პლანეტა ნეპტუნი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და მათ, ისევე როგორც აგებულება, წარმოქმნის განსხვავებული ისტორიაც გააჩნიათ. მაგალითად, ნეპტუნზე მეტისმეტად დიდი რაოდენობითაა ნახშირჟანგი დაფიქსირებული. უფრო მეტიც, იქ ამ ნაერთის რაოდენობა დაახლოებით ათასჯერ აჭარბებს მისივე შემცველობას ისეთ გიგანტ პლანეტებზე, როგორებიცაა იუპიტერი და სატურნი.

### მფრინავი ავტომობილი საჩვენებელი გამოსვლებისთვის მზადაა

კომპანია "მოლერ ინტერნეიშენელის" შეფმა და დამაარსებელმა, პოლ მოლერმა ჟურნალ "ფორბსთან" საუბარში განაცხადა, რომ ამ წლის მაისში დაგეგმილი აქვს თავისი შედეგის, მფრინავ ავტომობილ "სკაიქარის" საჩვენებელი გაფრენა, რომელიც სან ფრანცისკოს შემოგარენში ჩატარდება.

მოლერი აცხადებს, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში, შეზღუდული რაოდენობით დაამზადებს თავის ქმნილებას. შეზღუდულ რაოდენობაში წლიურად 500 ცალი ავტომობილი იგულისხმება. ასეთ პირობებში მფრინავი ავტომობილის ღირებულება ნახევარი მილიონი დოლარი იქნება. წარმოების მოცულობის ზრდის შემთხვევაში, "სკაიქარის" ღირებულება 60-80 ათას დოლარამდე შემცირდება.

პირველ სამი წლის განმავლობაში, მოლერი ოთხადგილიანი "სკაიქარების" დამზადებას აპირებს, რომელთა ინდექსი იქნება M400. მოგვიანებით კომპანია დაამზადებს როგორც ექვსადგილიან (M600), ასევე ერთადგილიან (M100) მოდიფიკაციებს. უფრო მეტიც, პოლ მოლერი ირწმუნება, რომ მომავალში მისი მფრინავი ავტომობილი წყალზე ცურვასაც ისწავლის.

### კიბოს ნანორობოტები უმკურნალებენ

ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტის პროფესორი ეჰუდ შაპირო და მისი კოლეგები მუშაობენ მიკროსკოპული მოწყობილობების შექმნაზე, რომლებსაც სისხლში შეყვანის გზით, კიბოს დიაგნოსტირებისა და მკურნალობისთვის გამოიყენებენ. ეს მოწყობილობები დამზადდება სინთეტური დნმ-ის ბაზაზე და შეეძლება იქნება სისხლში. დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი საჭირო ადგილზე წამლის გარკვეულ დოზას დატოვებენ და ამით, ლოკალურ მკურნალობას უზრუნველყოფენ.

ეს მოწყობილობები, ფაქტობრივად, ნანორობოტებს წარმოადგენს (ნანორობოტი, იგივე ნანობოტი არის მეტრის მემილიარდე ნაწილის ზომის მოწყობილობა). მათი საფუძვლის ჯაჭვის ნაწილი გაკეთებული იქნება ორგანიზმში რნმ-ის გარკვეულ სახეობათა აღმოსაჩენად, რომლებსაც დაავადებული უჯრედები გამოყოფენ. ნანორობოტის ჯაჭვის მეორე ნაწილი პრაქტიკულად წამლის საცავს წარმოადგენს, რომელიც საშიში ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, დაავადებულ არეში წამალს ტოვებს. აღნიშნული წამალი თრგუნავს აქტიურ გენს, რომელიც დაავადებული უჯრედების გამრავლებას უწყობს ხელს.

დღეისათვის მეცნიერებმა უკვე შეძლეს აღნიშნული მოლეკულური მანქანის რამდენიმე დეტალის დამზადება, რომლებმაც პირველი გამოცდებიც ჩაატარეს - სინჯარაში ჩატარებული ცდებისას, შეძლეს პროსტატისა და ფილტვის კიბოს შესაბამისი გენების იდენტიფიცირება.

მეცნიერები ამბობენ, რომ ჯერ კიდევ დიდი დროა მანამ, სანამ აღნიშნული მეთოდიკა ადამიანების სამკურნალოდ დაინერგება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ უკვე რეალური გამოსავალი დნმ-ის ბაზაზე დამზადებული ნანორობოტების გამოყენების პერსპექტივა.

საინტერესოა ისიც, რომ იმავე ვაისმანის ინსტიტუტში შარშან დნმ-ის ბაზაზე კომპიუტერის მახსოვრობის ბლოკი შექმნეს, კიდევ უფრო ადრე კი შესაძლებელი გახდა ადამიანის მახსოვრობიდან გარკვეული ეპიზოდების ამოშლა. ამგვარ რამეს კი აქამდე ადამიანი მხოლოდ ფანტასტიკურ ფილმში თუ ნახავდა...

# დრეკადი ფრთები - ავიაციის მომავალი

მერაბ ლორთქიფანიძე

ჯერ კიდევ მანამ, სანამ ასი წლის წინ ძმები რაიტები კაცობრიობის ისტორიაში პირველ ფრენას განახორციელებდნენ, კონსტრუქტორები ცდილობდნენ, ფრინველებისგან აეღოთ მაგალითი და თავიანთ საფრან აპარატებში მოძრავი, დრეკადი ფრთები გამოეყენებინათ. ავიაციის გარიჟრაჟზე ამგვარმა გადაწყვეტამ რამდენიმე ავიაკონსტრუქტორის სიცოცხლე შეიწირა და ბუნებრივია, სხვისი მწარე გამოცდილების გაზიარება ამის შემდეგ არავინ ისურვა. თუმცა, უილბურ და ორვილ რაიტები თავიანთი პირველი საფრენი აპარატის მართვისთვის სწორედ დრეკად ფრთებს იყენებდნენ, რომლებიც მართვის სისტემებთან კაბელით იყო დაკავშირებული. და მაინც, ეს სულაც არ იყო იმის მსგავსი ფრთა, როგორებიც ფრინველებს აქვთ.

როგორც ირკვევა, დრეკადსა და ცვალებადი კონფიგურაციის მქონე ფრთებს გაცილებით დიდი პერსპექტივა გააჩნიათ, ვიდრე ფიქსირებულ, მუდმივი ფორმისა და გეომეტრიის მქონე ფრთებს. ხისტ ფრთებს რომ სხვადასხვა რეჟიმში ერთნაირად ოპტიმალურად მუშაობის უნარი არ შესწევთ, ეს დიდი ხანია, ცნობილია. აქედან გამომდინარე, ავიაკონსტრუქტორებმა ადრეული ცდები გაიხსენეს და წარმოიშვა მორფინგის იდეა. მორფინგი არის პროცესი, როდესაც თვითმფრინავის ფრთა ფრინველის ფრთის მსგავსად, ფრენისას ტრანსფორმაციას განიცდის. თანაც, მორფინგის პროცესის ავიაკონსტრუქციებში განსახორციელებლად მეცნიერებს არა მხოლოდ ფრინველების, არამედ თევზების აგებულებაც დაეხმარება.

"კითხვა შემდეგშია: შესაძლებელია თუ არა ისეთი თვითმფრინავის დამზადება, რომელიც ეფექტური იქნება როგორც მაღალი, ისე დაბალი სიჩქარით ფრენისას?" - კითხულობს პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის პროფესორი, აეროკოსმოსურ კონსტრუქციათა ინჟინერი ჯორ ლესიტრი, ვინც აღნიშნულ საკითხზე უკვე რამდენიმე წელია მუშაობს. "ჩვენ შევქმნით თვითმფრინავს, რომელიც ორივე შემთხვევაში ეფექტური იქნება", - პასუხობს თავადვე და ამის საფუძველიც გააჩნია.

პერსპექტივაში, ეგრეთ წოდებულ მორფინგულ, დრეკად ფრთებს ფრთის გაშლის (მანძილი ფრთის ერთი ბოლოდან მეორემდე) 50 პროცენტით ცვლის საშუალება ექნებათ. გარდა ამისა, ისინი ფრთო დიაპაზონში შეიცვლიან განივკვეთის პროფილს, ჰაერის შემხვედრ ნაკადთან დახრის კუთხეს და სხვა გეომეტრიულ პარამეტრებს. ამასთან, საჭირო აღარ იქნება ნაირ-ნაირი ელერონების და ინტერცეპტორების გამოყენება, რომლებიც მეტისმეტად ართულებენ კონსტრუქციას.

პენსილვანიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა კი, ლესიტრის მეთაურობით, უკვე ჩაატარეს პირველი გამოკვლევები და დაამზადეს კიდეც მორფინგული ფრთის მოდელი, რომელიც სამაგიდო ექსპერიმენტებშიცაა. პენსილვანიურ დრეკად ფრთას შეუძლია ფრინველის ფრთასავით მოძრაობა და თევზის მსგავსად, ქერცლითაა დაფარული.

ლესიტრი განმარტავს, რომ მორფინგული ფრთები გამოყენებულ იქნება არა მხოლოდ სამგზავრო ავიაციაში, არამედ კოსმონავტიკასა და სამხედრო ავიაციაშიც. ამ უკანასკნელ სფეროში მას განსაკუთრებული ფასი დაედება. ამგვარი ფრთებით აღჭურვილი სადაზვერვო აპარატები მაღალი სიჩქარით მიაღწევენ დანიშნულების ადგილზე, სადაც, ქორის მსგავსად, დიდი ხნით ერთი ადგილის ზემოთ "დაკიდების" უნარიც ექნებათ და იქ დაზვერვით ოპერაციებს განახორციელებენ.

პენსილვანიის ინსტიტუტში დამზადებულ ფრთებს შეუძლიათ როგორც ფართობის, ასევე განივკვეთის ფორმის შეცვლა. ამ საცდელი ფრთის საფუძველს წარმოადგენს ცვალებადი, უჯრედოვანი ძალური სტრუქტურა, რომელიც "ძვლებისა და სახსრების" მოვალეობას ასრულებს. გარედან ეს სტრუქტურა იმის მსგავსი ქერცლითაა დაფარული, როგორებიც თევზებს აქვთ.

სტრუქტურის რთული გეომეტრია და აგებულება რთული მოძრაობების განხორციელების საშუალებას იძლევა. მათი ურთიერთშეხამებული მოძრაობით კი შესაძლებელი ხდება ფრთის გაშლის რეგულირება. მოძრაობა მეტად რთულია და ის დაწვრილებით აეროდინამიკურ ტესტირებას და ანალიზს მოითხოვს.

უკვე გამოიკვეთა ლესიტრის მიერ შექმნილი სტრუქტურის უარყოფითი მხარეც - კონსტრუქცია მეტისმეტად რთულია და საკმაოდ მძიმეც. ეს კი შეამცირებს იმ დადებით აეროდინამიურ ეფექტებს, რაც მორფინგ-ფრთამ შეიძლება მიანიჭოს პლანერს. აქედან გამომდინარე, პერსპექტივა მეცნიერებს ოდნავ განსხვავებული გზით წასვლას უქადის. თუმცა, პენსილვანიელთა ოპტიმიზმი საწინააღმდეგოზე მეტყველებს.

უფრო მეტიც, ეროვნული აეროკოსმოსური სააგენტოს კუთვნილ, კალიფორნიის ედვარდსის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე მდებარე დრაიდენის საკვლევ ცენტრში უფრო წინაც წავიდნენ - იქ უკვე გამოსცადეს ელასტიკური ფრთით აღჭურვილი ავიაგამანადგურებელი F-18 "ჰორნეტი".

დრაიდენის ცენტრში მომუშავე სპეციალისტების მთავარ ამოცანას წარმოადგენს კონსტრუქციის მასის შემსუბუქება და მართვის გამარტივება. მათ, სამხედრო ავიაციის საკვლევი ლაბორატორიის სპეციალისტებთან ერთად, F-18-ის ფრთის უკანა ნაწილში, ელერონის ნაცვლად, ფრთის მთელ სიგრძეზე დაამაგრეს ერთი ბოლოთი თვითმფრინავის ფიუზელაჟთან ხისტად დამაგრებული დრეკადი სეგმენტი, რომელიც ყოველგვარი რთული შიდა კონსტრუქციის გარეშე, მსუბუქი და დრეკადი მასალებისგანაა დამზადებული. ეს სეგმენტი, აეროდინამიკური ზეწოლის შედეგად, ფორმას იცვლის და ამით, ფრთის უკეთეს აეროდინამიკურ მახასიათებლებს უზრუნველყოფს. მსგავსი ელერონი ერთხანს ფორმულა ერთის სარბოლ ბოლიდებშიც გამოიყენებოდა, თუმცა ავტოსპორტის მესვეურებმა ისინი სახიფათოდ მიიჩნიეს და მათი გამოყენებაც აიკრძალა.

დრაიდენის მკვლევართა ჯგუფის მენეჯერ ლორენს მაიერსის თქმით, ამგვარი, დრეკადი ფრთების მეშვეობით, მომავლის თვითმფრინავებს უფრო მეტი საბრძოლო მასალის გადატანის უნარი ექნებათ და გაცილებით მანევრულებიც იქნებიან. შესაბამისად, მათი ბრძოლისუნარიანობაც გაიზრდება.

მაიერსი და მისი ჯგუფი სამიოდე თვეში შეუდგება ექსპერიმენტების მეორე ფაზას, ლესიტრი კი აპირებს, დაამზადოს თვითმფრინავის ფრთა და რეალურ პირობებში გამოსცადოს იგი. მის გამოკვლევებს ტექნოლოგიებითა და ფინანსებით უზრუნველყოფს თავდაცვის მოწინავე გამოკვლევების პროექტების სააგენტო (DARPA), რომელიც იმედოვნებს, რომ ახლო მომავალში შექმნის სადემონსტრაციო საფრენ აპარატს, რომელიც გამორჩეული იქნება ეფექტური აეროდინამიკით და აქედან გამომდინარე, მანევრულობითაც. საბოლოო პროდუქტი უნდა იყოს თვითმფრინავი, რომელსაც საჭიროებისამებრ შეეძლება როგორც დაბალი, ისე ზებგერითი სიჩქარით ფრენა და უაღრესად მანევრული იქნება.

საერთოდ, მაღალსიჩქარიან თვითმფრინავებს მცირე ზომის, დაკეცილი ფრთები აქვთ, დაბალ სიჩქარეზე მფრენთ კი - გაშლილი, დიდი ფრთები. ლესიტრის ჯგუფის მიერ შექმნილი სტრუქტურა საშუალებას იძლევა, საჭიროებისამებრ დაკეცოს ან გაშალოს ფრთა.

"ჩვენ, ფაქტობრივად, ძველ იდეებზე ვმუშაობთ. განსხვავება ისაა, რომ ერთი საუკუნის წინ ინჟინრები არ ფლობდნენ ისეთ ტექნოლოგიებს, როგორებიც დღეს გაცილებით ფართო ასპარეზს გვიქმნიან", - ამბობს ლესიტრი, რომელმაც თავისი სამუშაო რამდენიმე წლის წინ, ფრინველების ფრენის დაწვრილებითი შესწავლით დაიწყო.

"ჩვენ ქორებისა და სხვა მტაცებელი ფრინველების გამოცდილების გაზიარებას ვცდილობთ. ისინი ჰაერში ლივლივებენ მანამ, სანამ მსხვერპლს შეამჩნევენ, რის შემდეგაც უზარმაზარი სიჩქარით ეშვებიან ზედაპირისკენ და ამ დროს მათი მსხვერპლი, ფაქტობრივად, განწირულია დაღუპვისთვის. დაახლოებით იგივე შესაძლებლობები ექნებათ მომავლის საბრძოლ აპარატებს", - ამბობს ლესიტრი.

მაიერსი კი დასძენს, რომ ამგვარი ფრთების გამოყენებისას მთავარი პრობლემა მათი მართვა იქნება. ფრინველი რეფლექსურად აკონტროლებს თავის ფრთებს, ადამიანმა კი ამგვარი კონტროლის საშუალება ჯერ უნდა გამოიგონოს, შემდეგ კი მათი გამოყენებაც უნდა ისწავლოს.





დრეკადფრთიანი თვითმფრინავი და მორფინგ-ფრთის სტრუქტურა

# ჯაკარტაში მსოფლიოს უმაღლესი შენობა აშენდება

ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტას მომავალ ცენტრში შედგა მსოფლიოს მომავალი უმაღლესი შენობის, "ჯაკარტა ტაუერის" საძირკვლის ჩაყრის ოფიციალური საზეიმო ცერემონია - ათმილიონიანი მეგაპოლისის გუბერნატორმა, ყოფილმა გენერალმა სუტიოსომ, კამაიორანის მოედანზე, იქ, სადაც ადრე აეროპორტი მდებარეობდა, შეკრებილ საზოგადოებას აღუთქვა, რომ მშენებლობა რამდენიმე წელიწადს გასტანს და 2009 წელს, ქალაქის ცენტრში 558-მეტრიანი ცათამბჯენი აღიმართება.

დაახლოებითი დაანგარიშებით, "ჯაკარტა ტაუერის" მშენებლობა 314-400 მილიონი დოლარი დაჯდება. ეს მაშინ, როცა 220-მილიონიანი ქვეყნის მაცხოვრებელთა საშუალო ხელფასი წელიწადში სულ 710 დოლარს შეადგენს. მშენებლობას განახორციელებს ინდონეზიური სამშენებლო კონსორციუმი "პრასადა ჯაპა პამუჯა", რომელშიც მისი დირექტორის, ფერი სანგეროკის თქმით, ასზე მეტი კომპანია და ინდივიდუალური საწარმო მონაწილეობს.

როცა მშენებლობა დასრულდება, "ჯაკარტა ტაუერის" საერთო სასარგებლო ფართი დაახლოებით 40 550 კვადრატულ მეტრს მიაღწევს. აქ განთავსდება 10 ათას ადგილიანი საკონფერენციო დარბაზი, 200-ადგილიანი ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო, 4 000-კვ.მეტრიანი საგანმანათლებლო ცენტრი. შენობაში 8 000 კვ. მეტრი დაეთმობა საოფისე სექციებს, შენობის ზედა ნაწილში კი წრიულად მოძრავი რესტორანი (როგორიც "ოსტანკინოზეა") და მინი-ობსერვატორია განლაგდება.

სუტიოსოს სურს, რომ მსოფლიოს უმაღლესი ცათამბჯენი მის ქალაქში მდებარეობდეს, მაგრამ ამ კოლოსის აღმართვას ბევრი მოწინააღმდეგე, ჰყავს, რომლის უმეტეს ნაწილსაც ღარიბი მოსახლეობა შეადგენს. ისინი აცხადებენ, რომ სუტიოსომ ასობით უბრალო ადამიანის სახლი დაანგრია და მათ ადგილზე ერთ სასახლეს აშენებს მდიდრებისთვის. ამ და სხვა მშენებლობათა "წყალობით" ბოლო სამ წელიწადში დაახლოებით 50 ათასმა ადამიანმა დაკარგა საცხოვრებელი. მათი უმეტესობა სუტიოსომ სწორედ კემაიორანიდან აჰყარა. მშენებლობის დაწყება 1990-იანი წლების ბოლოს იყო დაგეგმილი, მაგრამ ის რამდენიმე წლით გადაიდო, რადგან იმ პერიოდში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას მძიმე ფინანსური კრიზისი დაატყდა თავს და ინვესტორებმა გრანდიოზული პროექტის დაფინანსებაზე დროებით ხელი აიღეს.



ასეთი იქნება ჯაკარტა ტაუერი

რაც შეეხება მსოფლიოს უმაღლეს ნაგებობებს, დღეისათვის მსოფლიოს უმაღლეს ცათამბჯენად მიჩნეულია "კანადენ ნეიშენელ ტაუერი", რომელიც ტორონტოს ცენტრს ამშვენებს და რომლის სიმაღლეც 553 მეტრს შეადგენს. ბოლო 12 წელიწადში აშენებული მსოფლიოს უმაღლესი ათი ცათამბჯენიდან 8 აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის 5 ქალაქში მდებარეობს. სწორედ ამ რეგიონის აღმოსავლურ დედაქალაქადაა მიჩნეული ქალაქი ტორონტო.

"კანადენ ნეიშენელ ტაუერი" 1975 წელს აშენდა და მას შემდეგ მსოფლიოს ყველაზე მაღალი ნაგებობის სტატუსით სარგებლობს. თუმცა, რამდენადაც მას არ გააჩნია სართულები და პირველყოვლისა, სატელევიზიო ანძის დანიშნულებას ასრულებს, ხშირად ცათამბჯენებს შორის მას არ მოიხსენიებენ. მსგავსი მიზეზით, ცათამბჯენთა შორის არ ფიგურირებს მოსკოვის "ოსტანკინოს" კოშკიც, რომლის სიმაღლე 537 მეტრია.

საერთოდ, ცათამბჯენების სიმაღლეს ოთხი განსხვავებული კრიტერიუმით აფასებენ. ესენია: ფაქტობრივი სიმაღლე, მზიდი სტრუქტურის სიმაღლე, სიმაღლე სართულების მიხედვით და ჭერის სიმაღლე.

უმაღლეს ცათამბჯენებს შორისაა "ტაიპეი 101", რომელიც სეისმურად ერთობ აქტიურ ზონაში, კუნძულ ტაივანზე მდებარეობს და რომლის სიმაღლეა 508 მეტრი. მისი მშენებლობა 1.7 მილიარდი ამერიკული დოლარი დაჯდა და გასული წლის ბოლოს დასრულდა.

შემდეგ მოდის მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში მდებარე ცნობილი "ტვინ ტაუერი". ტყუპების სიმაღლე 452 მეტრია. შემდეგია ჩიკაგოს 442-მეტრიანი "სირს ტაუერი" თავისი სატელევიზიო ტყუპი ანძით. მომდევნო ადგილი უკავია შანხაიში მდებარე 421-მეტრიან "ორიენტალ პირლ ტაუერს", ჰონ კონგს კი მოწინავე ათეულში შემავალი ერთდროულად ორი ცათამბჯენი ამშვენებს.

პროექტის მიხედვით, ჯაკარტას კოშკი დღეს არსებულ უმაღლეს ცათამბჯენებს შორის ყველაზე მაღალი იქნება, მაგრამ სანამ მისი მშენებლობა დასრულდება, შანხაიში მწყობრში ჩადგება ახალი კომპლექსი - შანხაის მსოფლიო საფინანსო ცენტრი. ამ შენობის დასრულება 2007 წლისთვისაა დაგეგმილი და როგორც ამბობენ, მისი სიმაღლე 600 მეტრზე მეტი იქნება. 2020 წლისთვის მოსკოვში, საერთაშორისო საქმიან ცენტრ "მოსკვა-სიტიში" დაგეგმილია 115-სართულიანი კოშკის, სახელად "როსიას" აშენება, რომლის სიმაღლეც ასევე ასცდება 600 მეტრს.

თუმცა, არსებობს პროექტი, რომელიც ორ მილიარდ დოლარად ჩინეთის რომელიმე ქალაქში 1000-მეტრიანი ცათამბჯენის, სახელად "ბიონიკ ტაუერი" აშენებას ითვალისწინებს. თუ პროექტს დამფინანსებლები გამოუჩნდა, ეს იქნება არა უბრალოდ ცათამბჯენი, არამედ მთელი ქალაქი, რომელშიც 100 ათასი ადამიანი იცხოვრებს და ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან თანამედროვე ქალაქური ცხოვრებისთვის აუცილებელი სატრანსპორტო თუ სხვა ინფრასტრუქტურით.

# ლეონარდო და ვინჩის ავტომობილი ამოძრავდა

ხუთსაუკუნოვანი უშედეგო მცდელობათა შემდეგ, იტალიელმა მეცნიერებმა, როგორც იქნა, შეძლეს გენიალური იტალიელი მხატვრის, ინჟინრისა და მუსიკოსის, ლეონარდო და ვინჩის ესკიზების მიხედვით თვითმავალი ურიკის აწყობა, რომელსაც ბევრი თანამედროვე ავტომობილების წინამორბედსაც კი უწოდებს და რომელსაც რეალურად შეუძლია მცირე მანძილზე გადაადგილება.

და ვინჩის აღნიშნული პროექტი კარგა ხანს მოსვენებას არ აძლევდა მეცნიერებს, რომლებსაც, იმის გამო, რომ ესკიზების მხოლოდ ნაწილი იყო შემორჩენილი, ვერაფრით მოეხერხებინათ დიდი მხატვრის ჩანაფიქრის ხორცშესხმა. ამიტომაც, ინჟინრებს უწევდათ შემორჩენილი დოკუმენტაციის მიხედვით იმპროვიზირება, თუმცა მიზანს კარგა ხანს ვერ აღწევდნენ და რომ არა კომპიუტერული მოდელირება, შესაძლოა, კიდევ დიდხანს ვერ მიეგნოთ გამოსავლისათვის.

საბოლოოდ, ფლორენციის მეცნიერების ისტორიის მუზეუმის ექსპერტებმა ხორცი შეასხეს თავიანთი გენიალური თანამემამულის იდეას დ როგორც გაირკვა, და ვინჩის ურიკას გადაადგილება მართლაც შესაძლებია. მასზე ამძრავად გამოყენებულია ზამბარების ძალა, რის გამოც მისი სვლის მანძილი სწორედ ამ ძალის სიდიდითაა შეზღუდული. ეს მანძილი დაახლოებით 40 მეტრს შეადგენს.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ლეონარდომ თავისი ხის მოძრავი ურიკა მდიდართა გასართობად შექმნა და სულაც არ ფიქრობდა იმაზე, რომ შეიძლებოდა, სრულფასოვანი გადაადგილებისთვის ვარგისი საშუალებაც დაემზადებინა.

"ეს არის მსოფლიოში პირველი თვითმავალი ურიკა. მას თავისით შეეძლო გადაადგილება და დაახლოებით, 40 მეტრს გადიოდა", - ამბობს მუზეუმის დირექტორი პაოლო გალუცი.

ლეონარდოს რვეულში მრავლადაა სხვადასხვა დანიშნულების მანქანების ესკიზები. მაგალითად, აქ ნახავთ ველოსიპედის, ორთქლის მანქანის, თვითმფრინავის, შვეულმფრენის, წყალქვეშა ნავის, ტანკისა და სხვა მოძრავი მანქანების ჩანახატებს, თუმცა რვეულში განმარტებისთვის ერთი სიტყვაც კი არაა ჩაწერილი. სწორედ ამიტომ იყო, რომ მეცნიერებმა, რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ერთხელაც ვერ შეძლეს სრულფასოვანი, მოძრავი ურიკის დამზადება.

ფლორენციელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ყველა, ვინც და ვინჩის ესკიზების მიხედვით მოძრავი ურიკის შექმნას ცდილობდა, ერთსა და იმავე შეცდომას უშვებდა - არასწორ დანიშნულებას აძლევდა ესკიზებში მითითებულ რესორებს, რომლებსაც ამძრავის წყაროდ მიიჩნევდნენ. კომპიუტერის დახმარებით დადგინდა, რომ ამ მიზნით დიდ მხატვარს სულ სხვა დეტალი ჰქონდა გამოყენებული, რომელიც ურიკის მუცელზე განლაგებულ დოლში იყო მოთასებული. ეს იყო შეკუმშული ზამბარა. აღმოჩენა ეკუთვნის ლოს ანჯელესში მდებარე ლეონარდოს ჩანახატების შემსწავლელი ცენტრის დირექტორ კარლო პედრეტის.



ლეონარდო და ვინჩის თვითმავალი ურიკა

პედრეტის თქმით, ის რესორები, რომლებსაც ადრე მკვლევარები ამძრავის როლს ანიჭებდნენ, მართვის სისტემები ყოფილა. მათი საშუალებით ურიკა ამუხრუჭებდა. დოქტორი პედრეტი მრავალი წლის განმავლობაში, რობოტოტექნიკის ამერიკელ სპეციალისტ მარკ როშაიმთან ერთად სწავლობდა ლეონარდოს ჩანახატებს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა ამოცანის პასუხისაკენ. გზად კი სხვა მეცნიერების მიერ ამოცანის პასუხის წარუმატებელ ნაბიჯებსაც დაწვრილებით სწავლობდა.

პედრეტიმ და როშაიმმა, პირველ რიგში, ლეონარდოს ურიკის კომპიუტერული მოდელი შექმნეს, რომელიც მალე მასშტაბურ მაკეტში გადაიტანეს. მათ სრულად აღადგინეს და ვინჩის იდეა და მისი დემონსტრირებისას ყველას დაანახეს, რომ ურიკას არა მხოლოდ გადაადგილება, არამედ ორივე მხარეს მოხვევაც შეეძლო.

მეცნიერები კი კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ იმაში, რომ ლეონარდო და ვინჩი საუკუნეებით უსწრებდა მისი დროის მეცნიერებას - გართობის მიზნით, მან შექმნა მოწყობილობა, რომელმაც იგი ავტომობილის იდეასთან დააახლოვა ამ უკანასკნელის გამოგონებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე.

# ტონი ბლერი: ბრაიდსჰედის დღეები

*დღეს ერთი წელი გავიდა, რაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ნახევარ საუკუნეს გადააბიჯა. 6 მაისს ის 51 წლის გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში დაუნინგ სტრიტ N10-ის იუბილარი ბინადარი ფრიად არაპოპულარული ფიგურა იყო (ევროს ანდა ერაყის ომის გამო. გახსოვთ, ალბათ, ჯორჯ მაიკლმა ის თავის კლიპში ჯორჯ ბუშის კუდმოქიცინე ფინიადაც დასახა), "დეილი ტელეგრაფი" პრემიერს დაბადების დღეს ულოცავს და მისი სტუდენტობის დროინდელ ამბებს ბლერის თანაკურსელების პირით გვიყვება.*

1972 წელს სენტ ჯონის კოლეჯი ბრიტანეთის ყველაზე პრესტიჟული საგანმანათლებლო დაწესებულება ნამდვილად არ გახლდათ. ამიტომ ტონი ბლერმა, ისევე როგორც დანარჩენი 80 პირველკურსელიდან ბევრმა, ჯერ ბალიოლს მიმართა, მაგრამ მათი ანკეტები, მაინცდამაინც, სენტ ჯონმა მიიღო. ასე აღმოჩნდნენ ბიჭები ნამდვილ სამოთხეში:

"კოლეჯს უამრავი ფული ჰქონდა და ამიტომ კვებაც უკეთესი იყო, ღვინოც გადასარევი ჰქონდათ და ბაღებიც და ოთახებიც", - იხსენებს ისტორიკოსი ჯეიმს სმიტი.

თითქმის 32 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც 1972 წლის კურსმა გამოშვების დღეს სამახსოვრო ფოტო გადაიღო. თუმცა, იმ ახლო ურთიერთობების და ინტიმის გამო რაც კოლეჯში ერთად ცხოვრებას, გამუდმებით ერთად სადილობას და დროსტარებას მოაქვს, ბიჭებს სენტ ჯონი მაინც ნათლად და, რაც მთავარია, ტკბილად აგონდებათ.

სწავლის დაწყებამდე ტონი ბლერმა ერთი წელი შეისვენა – მუსიკითა და თავისუფლებით დატკბა და დრო როკ-ჯგუფებში დაკვრით გაიყვანა. სენტ ჯონში გამოჩენისთანავე ყველამ შეატყო, რომ ტონი თვითდაჯერებული ყმაწვილი იყო. "თქმა არ უნდოდა, ბლერი ექსტრავერტი იყო. კოლეჯში თვითდამკვიდრების დიდი სურვილიც ეტყობოდა", - იხსენებს ქიმიკოსი დევიდ ბრეიშოუ.

ყველას ახსოვს პრემიერის უშუალო და გულწრფელი ღიმილი. თუმცა, ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ამ ღიმილის მიღმა ბლერი გადამეტებულ ამბიციებს ნიღბავდა. "სულელური ტანსაცმელი ეცვა ხოლმე და მემარცხენეებთან დადიოდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ სრულად ჰქონდა გააზრებული საკუთარი პიროვნების მნიშვნელობა", - ჰყვება თანაკურსელი კოლინ მიდი.

ასე რომ, გასაკვირი არ არის, თუ ვიტყვით, რომ ტონი ბლერი სტუდენტობის პერიოდში არც იმ თაობის პოპულარულ გასართობში ყოფილა შემჩნეული – არც ეგზოტიკურ ნარკოტიკებს მიმართავდა და არც გონის დაკარგვამდე თვრებოდა. და ეს მაშინ, როცა მისი თანაკურსელები სწორედ ამგვარი წესით ცხოვრობდნენ. თუმცა, ალბათ, ტონი ბლერის თავშეკავებასაც თავისი მიზეზი ჰქონდა – 1972 წლის გამოშვებიდან ხომ, მის გარდა, არავის ჰყოლია მამა, რომლის პრემიერობის ამბიციებიც გულის შეტევამ მოსპო, და ავადმყოფი დედა.

ასეა თუ ისე, ტონი ბლერი ბევრ თანაკურსელს ძალზე ბუნდოვნად ახსოვს. "მგონი, ტონისთან ერთად დარტსს ვთამაშობდი ხოლმე, მაგრამ კარგად არ მახსოვს; ალბათ, ყველა ასე იყო, სხვასაც რომ ჰკითხოთ ჩემს შესახებ, ნათლად ვერც მე გამიხსენებენ", - აცხადებს ჯეიმს სმიტი. თუმცა, ტონი ბლერი თანაკურსელების მეხსიერებაში ბუნდოვნად რომ არის შემორჩენილი, ეს, ალბათ, მისი ხასიათიდანაც გამომდინარეობს – პრემიერი, თითქოს, ყველასთან მეგობრობდა, მაგრამ ნამდვილ, ახლო ურთიერთობას არავისთან ამყარებდა, თითქოს ამას უფრთხოდა.



ტონი ბლერი (დგას ცენტრში) თანაკურსელებთან ერთად, 1972

პირველ ორ წელს სტუდენტები იქვე, სენტ ჯონის კოლეჯში ცხოვრობდნენ. ხელოვნებისა და მეცნიერების ხალხი ერთმანეთისგან რომ გაეყოთ, ბლერი – იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი – კოშკის ოთახში მოათავსეს ქიმიკოს დუნკან ფოსტერთან ერთად. "ისინი ძალიან განსხვავებულები იყვნენ", - იხსენებს ბობ ლოკვუდი, - "ფოსტერი ევანგელისტი იყო".

როდესაც 1997 წელს, ტონი ბლერი პრემიერი გახდა, ფოსტერს დაუნინგ სტრიტიდან დაუკავშირდნენ და ჰკითხეს, ხომ ვერ გაიხსენებდა რამე სკანდალურ ისტორიას, რომელსაც შემდეგ პრესას მიჰყიდდა. ფოსტერმა მიუგო, გაზეთებს რომ დააინტერესებდა, ისეთი არაფერი ჰქონდა.

ანუ, ტონი ბლერი გართობას ისე ახერხებდა, უკან სკანდალური კვალი რომ არ დაეტოვებინა. მას უამრავი მეგობარი გოგონა ჰყავდა. "ქალების ყურადღების მიპყრობა არასდროს უჭირდა. ურთიერთობაში ძალიან უშუალო იყო და მომხიბვლელი ღიმილი ჰქონდა", - დასძენს ლოკვუდი. იმ პერიოდში ცალ-ცალკე ქალთა და ვაჟთა კოლეჯები ფუნქციონირებდა და შესაბამისად, კოლეჯის ტერიტორიაზე შესვლის საათებიც განსაზღვრული იყო. სამწუხაროდ, არაა შემორჩენილი ამ შიდაგანაწესის დამრღვევთა ნუსხა, მაგრამ სამაგიეროდ ცნობილია, რომ ერთხელ ტონის პროფესორების რისხვა დაატყდა თავს, როდესაც მის ოთახში ტუჩსაცხი აღმოაჩინეს. ბლერი ირწმუნებოდა, რომ ტუჩსაცხი პირადად მისი იყო და იმ ხანად დევიდ ბოუის პოპულარობის გამო მისი სიტყვა პროფესორებს სანდოდ ეჩვენათ.

რაც არ უნდა უცნაური იყოს, ტონი ბლერი არც პოლიტიკურ განხილვებში და დისკუსიებში მონაწილეობდა და არც ევანგელისტურ დაჯგუფებებს უერთდებოდა. თუმცა, სენტ ჯონში სწავლის პერიოდში, მეგობრის, პიტერ ტომსონის გამო ქრისტიანობით მაინც დაინტერესდა. "ბლერი და მისი მეგობრები ხშირად მართავდნენ ხოლმე ნახევრად რელიგიურ საუბრებს ფინჯანი ყავის თანხლებით. მაგრამ, ეს განხილვები არასდროს გადაზრდილა რაიმე სერიოზულ რელიგიურ თემატიკაში", - იხსენებს ჰექტორ სმიტი.

ყველაზე სახალისო გასართობი სტუდენტებისთვის სპორტი იყო. მაგრამ, დანარჩენებისგან განსხვავებით, ტონი ბლერი თავისი ძალების გამომზეურებას სულ სხვაგან – თეატრის სცენაზე არჩევდა.

"ჯანსაღი გარეგნობის იყო და ათლეტურადაც გამოიყურებოდა, მაგრამ სპორტს არ მისდევდა", - გვიყვება ისევ ბობ ლოკვუდი. სამაგიეროდ, დევიდ ბრეიშოუს კარგად ახსოვს ბლერი კოლეჯის წარმოდგენებში, Monty Python-ის გავლენით შექმნილ პატარ-პატარა სკეჩებში. მოგვიანებით, ტონი ბლერი, თავისი მიკ ჯაგერისებური სიარულის მანერით, როკ-ჯგუფ Ugly Rumours-საც შეუერთდა და იქ კი უკვე ყველას დაამახსოვრა თავი თავისი იასამნისფერი შარვლით, კუბური ქუსლიანი ფეხსაცმლით და დეკოლტირებული მაისურით.

ბოლოს კოლეჯიც დაამთავრეს. დაახლოებით, 1980 წელი იყო, რომ კოლინ მიდი ბლერს შემთხვევით გადაეყარა. ახლახან ლეიბორისტულ პარტიაში გავერთიანდიო, აცნობა მან ძველ მეგობარს. "კიდევ რაღაცა მითხრა მის კლუბში მისვლის შესახებ, მაგრამ, მგონი, ეს უკვე ზედმეტი აჟიტირებისგან მოუვიდა".

1972 წლის კურსმა კოლეჯის დამთავრების შემდეგ ორი თავყრილობა მოაწყო. ბობ ლოკვუდს ახსოვს, რომ ერთ-ერთ მათგანზე ბლერის გვერდით იჯდა. ის უკვე ლეიბორისტული პარტიის ლიდერი იყო, მაგრამ მეგობრებს ისეთივე ენაწყლიანობითა და უშუალობით ებაასებოდა, რომ ყველას უკვირდა, წინსვლამ ბლერზე უარყოფითად რომ არ იმოქმედა. მოგვიანებით ლოკვუდმა ტონი ლეიბორისტების ოფისშიც მოინახულა. უამრავი ხალხი ეხვია გარს, მაგრამ ლოკვუდი უყურადღებოდ არ დატოვა – ყველა მოიშორა და მეგობრის საქმიანობით დეტალურად დაინტერესდა.

თუმცა, 1972 წლის კურსიდან თითქმის ყველა გაოცდა სენსაციური ახალი ამბით – როცა ტონი ბლერი პრემიერი გახდა. "ვინმეს რომ ეთქვა ჩემთვის, პოტენციური პრემიერების 500-კაციანი სია ჩამოწერეო, ტონი ბლერს ამ ნუსხაში არასდროს შევიყვანდი", - აცხადებს ჰექტორ სმიტი.

მოკლედ, ვერავინ იფიქრებდა, მაგრამ ცხადია, თანაკურსელის წარმატება გაეხარდათ და სიამაყითაც აღივსნენ. ლოკვუდმა უკვე დაუნინგ სტრიტზე მცხოვრებ მეგობარს მისწერა, იქნებ ჩემმა ქალიშვილმა სტაჟირება თქვენს ოფისში გაიაროსო. ცხადია, ბლერმა გოგონა უყოყმანოდ მიიღო და კერძო საუბარში, კოლეჯში გატარებული წლებიც გაიხსენა.

ამ პერიოდის გახსენებაზე ბევრს ეძალება სენტიმენტალური ფიქრები, განსაკუთრებით კი დევიდ ბრეიშოუს – ახლა ხომ მისი ქალიშვილი სწავლობს იან ბლერთან ერთად ბრისტოლში.

50 წელს გადაბიჯებას ბევრი საზრუნავი მოაქვს. მაგრამ, ბრიტანეთის პრემიერს შეთხელებულ თმაზე საწუწუნოდ დრო არ რჩება და არც უენერგიობას უჩივის. თუმცა, ფაქტია, რამე გასაჭირი და `72-იანი ბიჭები მეგობარს დიდი სიამოვნებით დაუდგებოდნენ მხარში.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

*6 მაისი*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** „ტელელიპუცები" **09.40** სერიალი „შურისძიება" **11.00** სერიალი „სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** „დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა **17.05** სერიალი „მაშველები" **18.20** „ტელელიპუცები" **18.55** „დისკავერი" **19.45** სერიალი „შურისძიება" **22.00** სერიალი „სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **01.00** მხ. ფილმი „სერპიკო". მთ. რ-ში: ალ პაჩინო, ჯონ რენდოლფი.

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა), **13.00,** 16.00(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.40(აფრიკა), **05.00** საინფირმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00,** საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **23.05** დ დიზაინი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი „კეთილი კაცი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ" **15.15** მხ. ფილმი „ფორსაიტების საგა" 15-16ს. **17.00** მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **17.30** ჯანმრთელობა **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი **19.05** „იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი „სოლედადი" **22.00** სერიალი „ფსიქ-ფაქტორი" **00.00** მხ. ფილმი „სისი"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** „ბრავო" „ამაზონი ცეცხლში". მთ.რ-ში სანდრა ბალოკი, კრეიგ შეფერი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი „ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი „რედვოლი" **19.00** სერიალი „ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **21.00** მხ. ფილმი „სიკვდილის ზღვარზე" (ჯეიმი ჯოელ ოსმენტი) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის" (ელიზაბეტ ტეილორი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი" **19.30** სერიალი „ეშმაკუნა" **21.00** დოკ. სერიალი „მოგზაურობა" 1-ლი ნ. **21.30** „ჩემი მშვენიერი ლედი" **22.00** მხ. ფილმი „პროზაკის თაობა"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 2" **14.00** მხ. ფილმი „ტაქსი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **17.15** მხ. ფილმი „ბარი ველური კოიოტი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 3" **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 16.35, 17.20, 01.25** იმედის მელოდიები **07.30** „იმედის" დილა **10.10** სერიალი „ტყუპები" **11.05** ჩ -კლუზივი **12.10** სერიალი „კლონი" **13.25, 00.55** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება" **16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.40** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი „ტყუპები" **19.30** სერიალი „კლონი" **20.30** ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი" **21.30** საქმე ! **23.00** „ესტაფეტა" **23.30** მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება" მე-8ს.

### არხი

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** ისტორიული ფილმი „ნაპოლეონი" 1 ს. **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. „დღეს" **12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" **12.20** კომედია „შესისხლხორცებულნი" **14.25** სათავგადასავლო ფილმი „ზევსი და როქსანა" **16.20** მულტფილმი **16.55** მუსიკალური კომედია „გაუფრთხილდით ქალებს!" 2 ს. **18.20** დოკუმენტური ფილმი **19.00** „დღეს მსოფლიოში" **19.30, 21.40, 23.20, 02.45, 05.40** მუსიკა **20.10** მხ. ფილმი „საჰაერო ტერორისტები" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** ფილმი-ფანტასტიკა „ეკვილიბრიუმი" **03.00** მხატვრული ფილმი „მოცეკვავის დრო"

### ОРТ

**07.00** Телеканал "Доброе утро". **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.35 Сериал „Улицы разбитых фонарей"** **11.20, 19.50** Сериал **"КЛОН"** **12.20** Мультсериал "Кошки-мышки". **12.40** Дисней-клуб: "Тимон и Пумба". **13.20** Олег Меньшиков в фильме **"ЖДУ И НАДЕЮСЬ". 2** с. **14.30** Искатели. "Мятежный форт". **15.10** Город женщин. **16.20** Сериал **"БЕРЕГ МЕЧТЫ". 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** Док. фильм "Невеста для адмирала". **20.50** "Стирка на миллион". **21.00** Евгений Сидихин в боевике **"КАК БЫ НЕ ТАК". 2** с. **22.00, 00.30** Время. **23.35** Кремль-9. "В.Молотов. Арест жены и опала". **00.50** "Фабрика звезд". **01.10** Новые чудеса света. "Евротоннель". **01.40** Теория невероятности. "Зарождение жизни". **02.10** "Гении и злодеи". **02.40** Патрик Берджин в боевике **"СТРАЖА АПОКАЛИПСИСА" 1-2**с.

### НТВ

**06 07.15** Любовь Орлова в комедии **"ВЕСНА" 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00** Сегодня. **09.20** "Растительная жизнь". "Малайзия-II" **10.00** Квартирный вопрос: пять дочек. **11.20** Свидетель века. **11.30** Худ. фильм **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА"**. Фильм 4-й. **14.55** Едим дома. **15.35** "Принцип "домино". "Сексапильна - значит вооружена". **17.20** "Женский взгляд". Лариса Рубальская. **17.55** "Однажды в России. Для тех, кому за..." Фильм Александра Зиненко. **18.25** "Внимание: розыск!" "Большое рязанское сафари". **19.05** Неизвестная война. Битва за Берлин. **20.35** Джим Кэрри в комедии **"ТУПОЙ И ЕЩЕ ТУПЕЕ" 23.30** "Театр имени СССР". Фильм В. Такменева из цикла "Новейшая история". **2**с. **00.20** Джон Кьюсак в вестерне **"ДЖЕК БУЛЛ" 02.30** Сегодня. **02.50** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой.

# საქართველო - მსოფლიო პრემიერების სრულუფლებიანი წევრი

დასავლური მსოფლიო კინო-პრემიერების მთავარი ხიბლი ვარსკვლავები არიან. მსახიობები, რომლებიც საზოგადოებას თავს ეკრანიდან აყვარებენ, პრემიერებზე რიგითი მაყურებლებივით მიდიან და ფილმის ჩვენების პროცესს კიდევ უფრო პომპეზურს ხდიან. ანუ, პუბლიკა ორმაგი კინოს მომსწრე ხდება – შოუ ეკრანზე და შოუ დარბაზის შესასვლელში. ამ პრემიერების ყველაზე საყვარელი გმირი უკონკურენტოდ არის ტომ კრუზი. დანარჩენი ვარსკვლავებისგან განსხვავებით ის დარბაზში შესვლამდე ფანებს ხვდება, არიგებს ავტოგრაფებს, იღებს სურათებს და გულიანად ესაუბრება მათ. მეტიც, ყველას ახსოვს რა ჩაიდინა ტომ კრუზმა ორიოდე თვის წინ, ლონდონში, ლესტერ სკვერზე "უკანასკნელი სამურაის" პრემიერის წინ. ის ცივ ამინდში გარეთ შეკრებილ ფანებთან თითქმის ორ საათს შეყოვნდა და მობილური ტელეფონებით მათ შინ დარჩენილ ნათესავებს და საყვარელ ადამიანებსაც დაურეკა და გაესაუბრა.

ცხადია, საქართველო არც ჰოლივუდია და არც ლონდონი – პრემიერებზე ვარსკვლავები არასდროს ჩამოდიან (თუ, ჯერჯერობით, ერთადერთ გამონაკლისს ნიკ ნოლთის არ ჩავთვლით), მაგრამ ბოლო ხანს ჩვენს ქვეყანას ერთი პლუსი მაინც გაუჩნდა – ფილმებს კინო-თეატრები ხშირად საერთაშორისო პრემიერების თანადროულად აჩვენებენ.

ტრადიციას კინოთეატრი "რუსთაველი" ამჯერად ჰოლივუდის პოტენციური ბლოკბასტერით, "ვან ჰელსინგით" აგრძელებს. ფილმის პრემიერა დიდი ბრიტანეთის, ამერიკის და საქართველოს კინოეკრანებზე ერთ დღეს – 7 მაისს გაიმართება.

თუმცა, ლოს ანჯელესში, "უნივერსალ ამფითეატრის" დარბაზში "ვან ჰელსინგის" წინსაწარი, საქველმოქმედო ჩვენება უკვე შედგა. პრემიერიდან შესული თანხა კალიფორნიის კინოტელეუნივერსიტეტის ფონდში გადაირიცხა – იქ ერთ დროს ფილმის რეჟისორი სტივენ სომერსი სწავლობდა. შეგახსენებთ, რომ სომერსი "მუმიის" და "მუმიის დაბრუნების" ავტორიც არის. კინოკრიტიკოსთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ორივე ფილმში ხელოვნების რანგში აყვანილი სპეც-ეფექტები იყო გამოყენებული.

ცხადია, ჩვენებას ფილმის მთავარი გმირები – ბრიტანელი ქეით ბეკინსეილი და ავსტრალიელი ჰიუ ჯეკმანიც ესწრებოდნენ. მათ ერთობლივ ნამუშევარს ამერიკელი ექსპერტები დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ. თუმცა, ექსპერტებისვე ვარაუდით, "ზაფხულის უდიდეს ბლოკბასტერს" "ტროასთან" (მისი ნახვა, სავარაუდოდ, კინოთეატრ "ამირანის" ეკრანზე იქნება შესაძლებელი), "შრეკი-2"-თან და "კაცი-ობობა-2"-თან შებრძოლება მოუწევს.

ჯეკმანისა და ბეკინსეილის გარდა, ფილმში, ასევე, დაკავებულია ბალეტის ვარსკვლავი უილ კემპი – ეს მოცეკვავე ქორეოგრაფ მეთიუ ბერნის მხოლოდ მამაკაცებით დაკომპლექტებულ "გედების ტბაში" მთავარი გმირი გახლდათ.




რაც შეეხება ფილმს, რომლის ნახვაც 7 მაისიდან შეგეძლებათ, მას რეცენზენტები აღფრთოვანებული ტონით ხვდებიან.

სომერსმა კინოსტუდია "უნივერსალის" მონსტრების პანთეონში შეისეირნა, ვალ ჰელსინგი გამოიყვანა, ახალი სული შთაბერა და კიდევ ერთხელ წარმოგვიდგინა მარადიული, მაგრამ არა ბანალური ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის.

მოქმედება მე-19 საუკუნის ბოლოს ხდება. მონსტრებზე მონადირე დოქტორს, გაბრიელ ვან ჰელსინგს (ჰიუ ჯეკმანი) საიდუმლო საზოგადოება აღმოსავლეთ ევროპაში გამგზავრებას და გრაფი დრაკულას (რიჩარდ როქსბურგი) შეპყრობას უბრძანებს. ვან ჰელსინგმა უნდა შეიპყროს ფრანკენშტაინის მონსტრიც (შულერ ჰენსლი) და მგელ-კაცაც (უილ კემპი).

ჰიუ ჯეკმანის პერსონაჟს, რომელიც პირველად ეკრანზე "უნივერსალის" 1931 წლის კლასიკაში გამოჩნდა, ამ სახიფათო ვოიაჟში თან დაჰყვება უშიშარი ლამაზმანი, ანა ვალერიოსი (ქეით ბეკინსეილი) – მისი ოჯახის წყევლა მხოლოდ დრაკულას განადგურების შემთხვევაში უნდა გაუქმდეს, ანას ძმა ხომ მგელკაცად იქცევა ხოლმე, როგორც კი ცაზე სავსე მთვარე გამოჩნდება...

ასე რომ, საშინელებათა ჟანრის მოყვარულებს წინ დიდი სიამოვნება ელით.

სომერსის ნამუშევრით ისინიც კმაყოფილები დარჩებიან, ვინც სათავგადასავლო ფილმებზე გიჟდება. საოცარი სპეცეფექტების გარდა ხომ რეჟისორი ძალიან ბუნებრივად წარმოგვიდგენს მე-19 საუკუნის ლონდონს, პარიზს, რომსა და ტრანსილვანიას.

პერსონაჟთა გუნდს კი ნამდვილად ამრავალფეროვნებს დრაკულას სამი საცოლე – რომლებიც ბოლომდე იბრძვიან თავიანთი ბატონის დასაცავად, მღვდელი – რომელიც ჰელსინგს შინ დაბრუნებაში უნდა დაეხმაროს და ფრანკენშტაინის ასისტენტი – რომლის ღალატიც კიდევ უფრო ძაბავს სიუჟეტს.

კინოსტუდია "უნივერსალმა" "ვან ჰელსინგის" გამოშვებაზე 150 მილიონი დოლარი დახარჯა, 30 მილიონი დოლარი კი ფილმის რეკლამაზე წავიდა. თუმცა, პროექტის ავტორები იმდენად არიან დარწმუნებულნი თავიანთი ქმნილების წარმატებაში, რომ "ენ-ბი-სი"-სთან ერთად უკვე გეგმავენ სატელევიზიო სერიალის "ტრანსილვანიის" გაკეთებას. "ვან ჰელსინგს" კი სრულ ტრიუმფში პრემიერის დროც ხელს უწყობს – ეს პერიოდი ხომ ჰოლივუდში პირველი ჩვენებისთვის ყველაზე "პრესტიჟულ" თარიღად არის მიჩნეული. ასე რომ, "ვან ჰელსინგი" და საშინელებათა ჟანრი მსოფლიოს ადრენალინით გაჯერებას მთელი ზაფხულის განმავლობაში ჰპირდება.




**ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი (WWF) კომუნიკაციის ოფიცერი**

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი
იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **საზოგადოებასთან ურთიერთობების ოფიცერის (კომუნიკაციის ოფიცერის)** ადგილის დასაკავებლად.
სამუშაოს, მოვალეობების, პასუხისმგებლობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების
დაწვრილებითი აღწერა და დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიკითხოთ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართებზე:
**ktolordava@wwfcaucasus.ge ან office@wwfcaucasusge**
განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 18 მაისი

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.